ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ISSN 1512- 4185

მერმისი

სამეცნიერო შრომების კრებული

VIII

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი 2014

ნომერი ეძღვნება
ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან
150 წლისთავს

Ekvtime Takaishvili Teaching University

ISSN 1512- 4185

MERMISI

Collection of Scientific Papers

VIII

Publishing House **„UNIVERSAL“**

Tbilisi 2014

UDC (უაკ) 378 (479.22) (051.2)
მ-57

მთავარი რედაქტორი	**მაია მარღანია**
Editor – in – Chief	**Maia Marghania**
რედაქტორი	**მანანა შელია**
Editor	**Manana Shelia**
პასუხისმგებელი მდივანი	**მაია ჩქვანავა**
Executive Secretary	**Maia Chkvanava**

სარედაქციო საბჭო:

გულქან ქმოსტელი (ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველო), ტატიანა კომპანიეცი (მენეჯმენტის უმაღლესი სკოლა, ბარსელონა, ესპანეთი), მანანა თანდაშვილი (ფრანქფურტის უნივერსიტეტი), ბერნარდ უტიე (საფრანგეთის მეცნიერებათა ეროვნული ცენტრი), იმრე პაჩაი (ნიერედჰაზას უმაღლესი სკოლის ჰაბილიტირებული დოქტორი, უნგრეთი), საფიატ ჰასანოვა (დაღესტნის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი), ოთარ ჟორდანია (ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი), მანანა ტაბიძე (საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი), ირმა ზაქარაია (ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია), ვაჟა კაკაბაძე (ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი), ვალერი რამიშვილი (ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო), მაკა კაჭარავა, მაია აღაია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო), კობა წურწუმია (სასწავლო უნივერსიტეტი გორგასალი, საქართველო), მარიამ დარბაიძე, ზურაბ ჭავჭანიძე, ზოია ადამია, ნათელა ფარცხალაია, მაია ჩეჩელაშვილი, დარეჯან ბიწაძე, ნანა ჩიკვილაძე, (ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო).

Editorial Board:

Gulkan Kmosteli (Rector of Ekvtime Takaishvili Teaching University, Georgia), Tatiana Kompaniets (Graduate School of Management, Barcelona, Spain), Manana Tandashvili (Frankfurt University), Bernard Outtier (Scientific National Center, France), Imre Pacsai (Dr. habil. CSc., College of Nyiregyháza, Hungary), (Safiat Hasanova (State Pedagogical University of Dagestan), Otar Zhordania (President of Tskhum-Abkhazian Academy of Sciences), Manana Tabidze (St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia, Full Memeber of New York Academy of Sciences), Irma Zakaraia (Tskhum-Abkhazian Academy of Sciences), Vazha Kakabadze (Ekvtime Takaishvili Teaching University, Georgia, Corresponding Member of Engineering Academy of Georgia), Valeri Ramishvili (I. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia), Maka Kacharava, Maia Aghaia (Sokhumi State University, Georgia), Koba Tsurtsumia (Teaching University Gorgasali, Georgia), Mariam Darbaidze, Zurab Chavchanidze, Zoia Adamia, Natela Partskhalaia, Maia Chechelashvili, Darejan Bitsadze, Nana Chikviladze, (Ekvtime Takaishvili Teaching University, Georgia).

მისამართი: საქართველო, რუსთავი, **Address:** 3, Bostankalaki str., 3700, ბოსტანქალაქის ქ. №3. 3700, Rustavi, Georgia.
www.rvali.edu.ge rvaliuni@gmail.com
ტელ.: +995 0 341 24 18 98;
ფაქსი: +995 0 341 24 18 98

ს ა რ ჩ ე ვ ი

C O N T E N T S

ენათმეცნიერება – LINGUISTICS

MANANA SHELIA 8
PHRASEOLOGICAL UNITS WITH THE CONCEPT OF "MONEY"
მანანა შელია
ფრაზეოლოგიური ერთეულები „ფულის“ კონცეპტით

მაია მარღანია, მანანა შელია, მაია აღაია 12
რელიგიური ტერმინების ასიმილაცია ინგლისურ ენაში
MAIA MARGHANIA, MANANA SHELIA, MAIA AGHAIA
ASSIMILATION OF RELIGIOUS TERMS IN THE ENGLISH LANGUAGE

ლიტერატურათმცოდნეობა – LITERATURE STUDIES

ნანა ჩიკვილაძე 18
ბუნების გრძნობა ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში
NANA CHIKVILADZE
FEELING OF NATURE IN THE ROMANTIC POETS' LITERARY WORKS

თამარ გალობერი 27
სივრცის სტრუქტურა ჯეიმზ ჯოისის პროზაში
TAMAR GALOBERI
SPATIAL STRUCTURE IN JAMES JOYCE'S PROSE

უცხოური ენების სწავლების მეთოდიკა
METHODOLOGY OF TEACHING FOREIGN LANGUAGES

თამარ ჯოჯუა, მზია თოფურიძე 29
ინგლისური ენის სწავლების ინტენსიფიკაციისათვის უმაღლეს სასწავლებელში
TAMAR JOJUA, MZIA TOPURIDZE
THE INTENSIFICATION OF TEACHING ENGLISH AT HIGH EDUCATION INSTITUTION

რუსუდან გოგოხია 33
უცხოური ენის ათვისებაში ინდივიდუალურ-ტიპოლოგიური მიდგომები
RUSUDAN GOGOKHIA
INDIVIDUAL-TYPOLOGICAL APPROACHES IN FOREIGN LANGUAGE ACQUISITION

განათლება – EDUCATION

ნათელა ფარცხალაია 37
ეთიკურ-პედაგოგიური იდეები საზღვარგარეთის სოციალური და პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში
NATELA PARTSKHALAIA
ETHICAL-PEDAGOGICAL IDEAS IN THE FOREIGN SOCIAL AND PEDAGOGICAL THINKING HISTORY

სამართალმცოდნეობა – LAW

ნატო როდონაია 41
ექსპერტ-მშენებლის საგამომძიებლო ორგანოებთან და სასამართლოსთან ურთიერთქმედების ასპექტები და ფორმები
NATO RODONAIA
EXPERT-BUILDER'S INTERACTION ASPECTS AND FORMS WITH INVESTIGATIVE BODIES AND THE COURT

ფილოსოფია – PHYLOSOPHY

ვალერიან რამიშვილი 46
თავისუფლების დისკურსი და პასუხისმგებლობა
VALERI RAMISHVILI
DISCOURSE OF FREEDOM AND RESPONSIBILITY

ეკონომიკა და ტურიზმი
ECONOMICS AND TOURISM

ნანა ზაზაძე 60
გლობალური ოფშორული ბაზრის ინტენსიური განვითარება გლობალიზაციის პირობებში
NANA ZAZADZE
GLOBAL OFFSHORE MARKET INTENSIVE DEVELOPMENT IN GLOBALIZATION CONDITIONS

გივი ედიშერაშვილი 64
გლობალიზაციის ფაქტორი ადამიანურ რესურსში
GIVI EDISHERASHVILI
THE FACTOR OF GLOBALIZATION IN HUMAN RESOURCES

ნანა შატბერაშვილი 68
საკადრო პოლიტიკის თავისებურებები
NANA SHATBERASHVILI
FEATURES OF HUMAN RESOURCES MANAGEMENT

სოფიო დეკანოსიძე 71
უცხოურ ლიტერატურაში ლიდეროგის როლისეგრი დიფერენციაციის მიზეზეგის განმარტეგისათვის
SOPIO DEKANOSIDZE
ON REASONS OF ROLE DIFFERENTIATION OF LEADERSHIP IN FOREIGN LITERATURE

თამარ გუკია-ვერულაშვილი 74
ექსტრემალური ტურიზმის რაოგა
TAMAR BUKIA-VERULASHVILI
THE ESSENCE OF EXTREME TOURISM

ფიზიკური აღზრდა – PHYSICAL TRAINING

ზურაგ ჭავჭანიძე 82
საგანმანათლეგლო დაწესეგულეგეგში ცხოვრეგის ჯანსაღი წესის დანერგვის საკითხისათვის
ZURAB CHAVCHANIDZE
INTRODUCTION OF THE HEALTHY LIFE STYLE AT EDUCATIONAL INSTITUTIONS

MANANA SHELIA

PHRASEOLOGICAL UNITS WITH THE CONCEPT OF "MONEY"

This paper is devoted to memory of Eqvtime Takhaishvili, a famous Georgian historian, archaeologist and public figure who in France continued active scientific – research activities. In 1922 he was elected as a member of the Paris numismatists' society. The motivations for collecting money are varied. Possibly the most common type of collector is the hobbyist, who amasses a collection purely for fun with no real expectation of profit. This is especially true of casual collectors and children who collect items on the basis of chance and personal interest.

The paper touches upon the problem of the concept of money used in phraseological units. In phraseological fund of any language there is a certain quantity of phraseological units with different concepts. Concept is a mental construct seen as mediating between a word and whatever it denotes or is used to refer to (4). Different concepts as units connected with actually linguistic reality open new possibilities of research of the major linguistic aspects of a language.

It should be noted that phraseological units enrich expressions, give them vivacity and figurativeness. Phraseological units are considered as a compound component of language idea of the world specification of which for each language doesn't raise doubts (5).

A complex study of expressions as an object of linguistic research is an actual problem from the point of cognitive linguistics and linguoculturology. National specifics of phraseological units are most clearly revealed by comparison of expressions in different languages showing the specifics of language and culture of the people. The lingvocultural analysis of language considers studying of phraseological units, where cultural and valuable priorities of ethnos are expressed.

The object of our research is to carry out the complex comparative analysis of phraseological units, particularly English and Georgian proverbs and sayings including the concept "money".

As is known money is one of the earliest and most significant inventions of civilization and essential for the development of business as well. It is a unit of language and also a standard numerical unit being of measurement of the market value of goods, services, and other transactions. The concept of money at the stage of development of society represents the zone of concept-sphere sensitive in the social and psychological relation.

Conceptualization of the concept "money" finds multiple expressions in language by means of lexical and phraseological units in the form of the signs related to money.

According to researchers of language consciousness, money as one of the most significant realities in human life, takes the second place in language consciousness of British (6). We consider that for the Georgian language consciousness, money isn't on the first place either.

Accordingly, a concept 'pound' is mediating between pound and the set of money denoted by it; this concept might be seen as common to both pound and e.g. lari in Georgia.

"Money" in Georgian and English finds the reflection in a concept existing universal and national-specific signs. Universal signs make nuclear, a concept layer of "money" and have mainly cognitive nature while specific signs represent generally peripheral layers of a concept and are connected both with cultural, and language features.

The use of money is as old as the human civilization. The first people didn't buy goods from other people with money. They used barter. As is known, it is the exchange of personal possessions of value for other goods that you want. This kind of exchange started at the beginning of humankind

and is still used today. Primitive forms of money were e.g. cattle, cowrie shells, whales' teeth, manillas (ornamental jewellery) and etc.

Banking was invented before coins and reached a high level of sophistication in the Egypt of the Ptolemies. Through, history of money has taken many different forms for centures. The first coins appeared in China and the ancient kingdom of Lydia in VII century BC. Coins quickly spread to neighboring barbaric tribes. The first paper money was printed in China as early as the beginning of the IX century. Massive printing of banknotes began in 1024.

The history of the Royal Mint stretches back to 886 A.D. (7) For many centuries production took place in London, initially at the Tower of London, and then at premises nearby in Tower Hill.

During the centuries Georgia has been involved in important events of the cultural and civilized world. Georgian coins reflect our nation's past.

Proverbs as a peculiar tool for measurement of cultural dominants in language reflect specifics of perception of the world and can be measured in inter-lingual comparison by means of cultural concepts.

The comparative analysis of English and Georgian proverbs with the concept "money" allows to draw the following conclusions: the main distinctions are noted in amount of British monetary units used in expressions; in English proverbial field the variety of monetary units are expressed more due to bigger number of names of national bank notes and coins (pound- full name pound sterling, shillings, pence) In Georgian proverbs and sayings the given component is generally expressed only by the word „ფული" – "money". For example:

A *sterling* reputation is better than striking it rich;

In for **a penny**, in for **a pound.**

Better give **a shilling** than lend **a half-crown.**

A penny saved is a **penny** gained.

A nimble **sixpence** is better than a slow **shilling.** (English proverbs)

This time we'll present some Georgian proverbs:

ფული ბატონის ბატონიცაა.

ფული გზას იწალდავსო.

ფული კლდეს გამოესობა.

ფული ფულთან მივაო.

ფულით ჭკუას ვერ იყიდიო.

ფული მოსამსახურედ კარგია, ბატონად კი არაო.

ფულისა ჯოჯოხეთსაც კი ეშინია – არ დამანგრიოსო.

ფულს დათვლა უყვარსო.

ფულის ხარჯვისას დაფიქრდი, როგორი ნაშოვნიაო.

ფული ხმალამოღებული ხელმწიფეაო.

Semantic development of the words representing the concept "money" of all languages is the coexistence of names of modern and outdated monetary units that testifies to the great subjective value of the concept "money" for each people. For example, the remained Russian word – копейка „კაპიკი" – "kapiki" was used in Georgia in the XX century.

ფული **კაპიკობით** შედგება.

კაპიკის ფასადაც არ ღირს თქვენი ჩაფიქრება.

According to the proverbs of both Georgian and English people together with positive attitudes to money (the favorable partner, an award, good luck, happiness, luxury, gloss, magnificence, we come across negative expressions on the given unit (dirt, a filthy, lucre, disgusting pieces of paper). For example:

Money is the root of all evil.

According to this saying, all immorality and wickedness is caused by money.

Money burns a hole of all evil**.** Love to money is a basis of any sin.

Muck and **money** go together. In other words it means that dirt and money go nearby.

Money cannot buy happiness. You cannot buy joy, peace, contentment etc

Money isn't everything. Riches cannot solve all your problems or bring you joy, peace, contentment. (English proverbs)

Georgain variants on the above mentioned meaning are as follows:

ფული ხელის ჭუჭყიაო.

ფულის ახლოს კაცი მალე გაფუჭდებაო.

Reading different ideas stated on money in a number of works, articles and papers show features of development of the nation, defining nuclear components of national character. There are different expressions noted on money both negative and positive ideas, for example: "a low and filthy lucre", "disgusting pieces of paper", "blood of society", "positive balance of life"; money is "prosperity, force, the power, happiness, goodness'', "the instrument of distribution of the benefits", "means of exchanging", "the tool of the Satan", "a special code of culture", etc.

We need to cultivate a godly manner of dealing with our money and material possessions. Money is mentioned about 2.000 times in the Bible. The Biblical expressions teach us how to glorify the Father through our use of money and material possessions. Money is means of a survival, money is an integral part of life, money brings pleasure but we should use money moderately.

And jesus sat over against the treasury, and beheld how the people cast money into the treasury: and many that were rich cast in much **41.**

And there came a certain poor widow, and she threw in two mites, which make **a farthing42.**

And he called *unto him* his disciples, and faith unto them, Verily I say unto you, That this poor widow hath cast more in, than all they which have cast into the treasury **43.**

For all *they* did cast in of their abundance; but she of her want did cast in all that she had, *even* all her living **44 (Mark 12:41-44) 41.**

„იჯდა საგანძურის წინ იესო და ხედავდა, როგორ ყრიდა ხალხი **ფულს** საგანძურში. მრავალმა მდიდარმა ბევრი ჩაყარა **42**. მოვიდა ერთი ღარიბი, ქვრივი დედაკაცი და ჩადო ორი ლეპტა, რომელიც კოდრანტს შეადგენს **43**. დაუძახა მან თავის მოწაფეებს და უთხრა: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ამ ღარიბმა ქვრივმა საგანძურში ყველა ჩადებაზე მეტი ჩადო **44**. ვინაიდან ყველამ თავისი მოჭარბებულიდან ჩადო, ამან კი თავისი სინაკლულიდან ჩადო, ყველაფერი, რაც კი სასიცოცხლოდ გააჩნდა“ **(მარკოზის სახარება 12:41-44).**

Don't love **money;** be satisfied with what you have. For God has said, "I will never fail you. You will never abandon you" (Hebrews 13:5).

„თქვენი გზა იყოს **ვერცხლმოყვარეობის** გარეშე და იმას დასჯერდით, რაცა გაქვთ, ვინაიდან თქვა: „არ მიგატოვებ და არ დაგაგდებ“ (ებრაელთა მიმართ 13:5).

"No one can serve two masters. For you will hate one and love the other; you will be devoted to one and despise the other. **You cannot serve both God and money**" **(Mattew 6:24).**

„..არავის არ შეუძლია ორ ბატონს ემსახუროს: ან ერთი უნდა სძულდეს და მეორე უყვარდეს, ანდა იმ ერთს შეეთვისოს და მეორე დაამციროს. ვერ შეძლებთ ღმერთსაც ემსახუროთ და სიმდიდრესა“ (მათეს სახარება 6:24).

The semantic space of the Georgian and English languages is based on universal ideas of money and the attitude towards them that is confirmed by identification of universal concepts as logical base of a picture of the world in the Georgian and English languages.

As the result of the complex comparative analysis of linguoculturological features of a concept "money" has been revealed ways of verbalization of this concept of the Georgian and English languages and specific conceptualizations have been defined.

Comparative analysis of genetically unrelated languages their general and differential signs are actual in modern linguistics and is object of typological studying which reveals linguistic distinctions and similarities of various languages.

Reference:

1. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა თბილისი, 1989.
2. English Proverbs and Sayings: ინგლისური ანდაზები და ხატოვანი თქმანი ქართულ-რუსული თარგმანითა და შესატყვისებით (შემდგენლები: ი. გვარჯალაძე და ჯ. მჭედლიშვილი), თბ., მერანი, 1970, გვ. 326.
3. Райдаут Р., Уиттинг К. Толковый словарь английских пословиц. СПб., 1997.
4. Matthews P. H. Oxford Concise Dictionary of Linguistics. Oxford University Press, second edition, the UK, 2011.
5. Верещагин Е. М., Костомаров В. Г. Язык и культура. Русский язык. Москва, 1980.
6. Уфимцева Н.В. Этнический характер, образ себя и языковое сознание русских / Н. В. Уфимцева // Языковое сознание: формирование и функционирование. Отв. ред. Н. В. Уфимцева. Москва,1998, с.135-170.
7. Royal Mint website.
8. www.broweuli.com/?q=**ანდაზები** – ქართული რჩეული ანდაზები, შემდგენელი კარლო ჯორჯანელი.

მანანა შელია

ფრაზეოლოგიური ერთეულები „ფულის“ კონცეპტით

რეზიუმე

ნაშრომი ეხება ფულის კონცეპტის პრობლემას და მის გამოყენებას ინგლისურ და ქართულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში. მოცემული პრობლემა უშუალოდ დაკავშირებულია კომპარატიულ ანალიზთან სხვადასხვა ენობრივ სისტემასთან შემეცნებითი დონეზე. ენათა ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი მოიცავს ფრაზეოლოგიური ერთეულების შესწავლას, კერძოდ კი, ანდაზებსა და გამონათქვამებს, სადაც ფართო ფორმით გამოხატულია სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა კულტურული ღირებულებები და პრიორიტეტები. ლექსიკური ერთეულის ფულის შესწავლის ზოგადი და სპეციფიკური ასპექტი არის მნიშვნელოვანი იმიტომ, რომ მოცემული კონცეპტი საზოგადოების განვითარების მოცემულ ეტაპზე წარმოადგენს კონცეპტოსფეროს ზონას სოციალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა კონცეპტ „ფულის“ კომპლექსური კომპარატიული ანალიზის ჩატარება ლინგვოკულტუროლოგიური თავისებურებების, მათი სპეციფიკური მახასიათებელების გამოვლენის თვალსაზრისით ტიპოლოგიურად ორი განსხვავებული ენების: ინგლისური და ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულების მასალაზე დაყრდნობით.

მაია მარღანია, მანანა შელია, მაია აღაია

რელიგიური ტერმინების ასიმილაცია ინგლისურ ენაში

ინგლისურ ენას მდიდარი სიტყვათა მარაგი გააჩნია, რომელიც თავისი განვითარების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა. მისი ლექსიკური ფონდის დაახლოებით ერთი ნახევარი გერმანიკული (ძველი ინგლისური და სკანდინავიური), ხოლო მეორე ნახევარი რომანული (ფრანგული და ლათინური) სიტყვებისაგან შედგება.

ბოლო ორი-სამი ასწლეულის განმავლობაში ინგლისურ ენაში გამუდმებით შედიოდა სიტყვა-ნასესხობები, არა მარტო ევროპისა და აღმოსავლეთის მნიშვნელოვანი ენებიდან (ლათინური, ბერძნული, ფრანგული, სკანდინავიური, არაბული და სპარსული ენები), არამედ ასევე ნაკლებად ცნობილი ენებიდან. სწორედ ამით აიხსნება დღევანდელი ინგლისური ენის ლექსიკის მრავალფეროვნება.

ლექსიკის გამდიდრების ძირითად წყაროს წარმოადგენს სესხება. ნასესხები სიტყვა ყველა ენაში მოიპოვება. ეს ბუნებრივი პროცესია: უცხო მასალა დროთა ვითარებაში უსისხლხორცდება მსესხებელი ენის ლექსიკურ – გრამატიკულ სისტემას და ამდიდრებს ენას (3, 129).

ყველა ენა განიცდის მოდიფიცირებას. ენის ლექსიკის განვითარებაში ყველაზე მკაფიოდ განსაზღვრულ პროცესად ითვლება ენის მუდმივი და ინტენსიური შევსება ახალი, ადრე უცნობი სიტყვებით, რაც მუდმივად ხორციელდება ჩვენს გარემომცველ სამყაროში მომხდარი ცვლილებებისა და ენის მატარებელთა მოთხოვნების შესაბამისად (5, 47).

მრავალი ლექსიკური ერთეული შემოვიდა ინგლისურ ენაში უმთავრესად ლათინურის და ფრანგულის გზით.

ენის განვითარების ერთ-ერთ ასპექტად მოიაზრება მისი ლექსიკური მარაგის გამდიდრება. სესხების ფაქტი ერთ ენას დაქვემდებარებულ მდგომარეობაში აყენებს მეორე ენასთან შედარებით, მაგრამ ამ გზით მსესხებელი ენა ავსებს თავის ლექსიკურ ფონდს მისთვის საჭირო ლექსიკური ერთეულებით (2, 249).

ნაშრომის მიზანია იმ ლექსიკური ერთეულების შესწავლა და ანალიზი, რომლებიც ინგლისურ ენაში დამკვიდრდა ინგლისში ქრისტიანობის შემოღების შემდეგ.

რომაელთა მიერ ქრისტიანობის გავრცელებამ ბრიტანეთის ტერიტორიაზე უდიდესი როლი ითამაშა ქვეყნის ისტორიისა და ინგლისური ენის განვითარებაში.

ანგლო-საქსი ტომები, რომლებიც ბრიტანეთში V-VI საუკუნეებში დასახლდნენ, კერპთაყვანისცემლები იყვნენ. აღსანიშნავია, რომ რომაელთა გავლენით ქრისტიანობას კელტები პირველად III საუკუნეში ეზიარნენ. ქრისტიანობამ ინგლისის ტერიტორიაზე ირლანდიიდანაც შეაღწია. იმ პერიოდში ქრისტიანობას ნაწილობრივ ეზიარნენ უელსსა და შოტლანდიაში. კელტური ქრისტიანული ეკლესია ბრიტანეთში და ირლანდიაში რომზე არ იყო დამოკიდებული.

რომის პაპმა გრიგოლ I-მა (590 – 604 წწ.) დიდი ძალისხმევა გაიღო, რათა ინგლისის მოსახლეობა ქრისტიანული სარწმუნოების ქვეშ მოექცია. რომიდან წარგზავნილი ბერი ავგუსტინე 40 მისიონერით კენტში ჩავიდა, რათა ბრიტანეთში ქრისტიანობა გაევრცელებინა. კენტის სამეფოში ქრისტიანობის შემოღებას თანდათანობით მოჰყვა დანარჩენი სამეფოების: ესექსის, აღმოსავლეთ ანგლიის, ნორთუმბრიისა და, მოგვინებით, მერსიის გაქრისტიანება.

ბერი ავგუსტინე კენტერბერის პირველი არქიეპისკოპოსი იყო (Archbishop of Canterbury), რომელიც რომის პაპმა გრიგოლ I-მა ინგლისის არქიეპისკოპოსად აკურთხა. მან 503 წელს პირველი ქრისტიანული ეკლესია დააარსა ქალაქ კენტერბერში. იმ დროიდან კენტერბერის არქიეპისკოპოსი ინგლისის ეკლესიის წინამძღვრად ითვლება. ინგლისის ჩრდილოეთი ნაწილი შოტლანდიელი და ირლანდიელი ბერების ძალისხმევით, ქრისტიანული გახდა. VII საუკუნის ბო-

ლოსთვის ქრისტიანობა ინგლისის მთელ ტერიტორიაზე გავრცელდა. ქვეყანაში ეკლესია- მონასტრები აიგო (3 ,35).

ქრისტიანობამ შემდგომში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ანგლო-საქსური სამეფოების სახელმწიფოებრივი და კულტურული განვითარების საქმეში. მონასტრებში საგანმანათლებლო ცენტრები ჩამოყალიბდა, დაარსდა ბიბლიოთეკები, ბერების მიერ შეიქმნა პირველი წერილობითი ძეგლები და მატიანეები.

ინგლისელებმა გაქრისტიანების შემდეგ ისწავლეს მრავალი რამ, დაკავშირებული როგორც ეკლესიასთან, ასევე კულტურული ცხოვრების სხვა ასპექტებთან.

ცნობილმა ანგლო-საქსმა ისტორიკოსმა, ღვთისმეტყველმა და მემატიანემ წმინდა ბედა ღირსმა (Saint Bede the Venerable) (673-736), ლათინურ ენაზე დაწერა ნაშრომი „ინგლისელი ხალხის საეკლესიო ისტორია“ – ‘‘The Ecclesiastical History of the English People”, რის გამოც მას „ინგლისის ისტორიის მამა“ უწოდეს. თავის წიგნში ის მოგვითხრობს ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ. IX საუკუნის ბოლოს ეს ნაშრომი უესექსის მეფე ალფრედ დიდის მიერ ინგლისურ ენაზე ითარგმნა. ღირსი ბედა ფლობდა ბერძნულს, ლათინურსა და ებრაულ ენებს. მან ძველ ინგლისურ ენაზე იოანეს სახარება თარგმნა .

ინგლისური ეკლესია, რომელსაც კენტერბერისა და იორკის ეპისკოპოსები განაგებდნენ, დასავლური ქრისტიანული ეკლესიის (the Christian Church of the West) ნაწილს წარმოადგენდა. ეს ნიშნავდა, რომ მას ჰქონდა დასავლური ქრისტიანული ტრადიციის გავლენა იმ საკითხებში როგორებიცაა: თეოლოგია, ლიტურგია, საეკლესიო არქიტექტურა და ბერმონაზვნობის განვითარება.

რელიგიური ხასითის უამრავი ტერმინი შემოვიდა ინგლისურ ენაში ლათინური ენიდან. მათი უმეტესობა ბერძნული წარმოშობისაა.

წარმოვადგენთ ნასესხები ლექსიკური ერთეულების რამდენიმე მაგალითს, რომლებიც მყარად დამკვიდრდა ინგლისური ენის ლექსიკურ სისტემაში. ამ რიგისაა:

ინგლისური სიტყვა **religion** (n.) – რელიგია – წარმოშობილია ლათინური ზმნიდან **Religio** (ქართ. – ვუკავშირდები). სიტყვა religion განიმარტება როგორც ყურადღება, მოწიწება, თაყვანისცემა, ღვთისმოსაობა, მორწმუნეობა, ანუ ყველაფერი ის, რასაც რელიგიას ვეძახით. გადატანითი მნიშვნელობით კი რელიგია ნიშნავს კულტმსახურებას.

პირველად სიტყვა **რელიგია** გვხვდება ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნის წერილობით ძეგლში – რელიგიური ტრაქტატი, რომლის ავტორია რომაელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე ციცერონი.

რელიგიის საფუძველი არის რწმენა. რელიგიას ხალხის (სოციუმის) რწმენა წარმოშობს. ამის გამო რწმენა, მორწმუნეობა და სარწმუნოება რელიგიისა და რელიგიურობის სინონიმებია. ინგლისური სიტყვა **faith** თარიღდება 1200-50 წწ-ით, რომელიც საშუალო ინგლისურში შემოვიდა ანგლო-ფრანგულის **fed,** ძველი ფრანგულის **feid, feit** გზით ლათინურიდან **fidem.**

თეოლოგიური განმარტების თანახმად, **ღმერთი – god** არის უზენაესი სახელი, აღმატებულთა შორის უაღმატებულესი სიტყვა და ცნება. ინგლისური სიტყვა **god** (n.) არის პროტო-გერმანიკული წარმოშობის ***ǥuđán** , მისი ეტიმოლოგია გაურკვეველია. ფიქრობენ, რომ ის წარმოიშვა პროტო-ინდოევროპული საშუალო პასივ პერფექტ მიმღეობის ფორმიდან * *ǵ ʰu-tó-m*.

თეოლოგია – ბერძ**. theós** „ღმერთი**“ + lógos** „საუბარი“ θεολογία – **theology** – ფართო გაგებით, „სწავლა ღვთაებისათვის და პატივისცემისათვის მისისა“ – არის ამ განმარტების განვრცობა და მეცნიერულად დასაბუთების მცდელობა.

სიტყვა **church** (n.) – ეკლესია ბერძნული წარმოშობისაა Kuriakon. მისი პროტო-გერმანიკული ფორმაა *kirika, ძველ ინგლისური **cirice, circe**; საშუალო ინგლისური chereche, chiriche,

chirche (ძველ-საქსური *kirika, ძველ სკანდინავიური kirkja, ძველ-ფრიზიული zerke, საშუალო – ჰოლანდიური kerke, ჰოლანდიური kerk, ძველი ზემოგერმანული kirihha, გერმანული Kirce. ამ სიტყვის შესაბამისი ლათინური ლექსიკური ფორმაა **ecclesia,** ხოლო ფრანგულის – **église**. ბერძნ. **εκκλησία** – „სახალხო კრება“.

სიტყვა **altar** (n.) – საკურთხეველი, გამოჩნდა ჯერ კიდევ ძველ ინგლისურში – **alter** გვიანდელი ლათინურიდან altare (plural altaria).

ტაძარი – **temple** (n.) < ლათ. **templum**, ბერძნ. **temenos** – თავდაპრველად „შეზღუდულ სივრცეს“ აღნიშნავდა. დროთა განმავლობაში სიტყვამ შეიძინა ღმერთების სამყოფელად მიჩნეულ წმინდა ადგილას აგებული შენობის მნიშვნელობა.

ინგლისური **monastery** (n.) – მონასტერი საშუალო ინგლისურში შემოვიდა გვიანდელი ლათინურიდან – **monasterium,** რომელიც თავის დროზე ლათინური ენის მიერ ნასესხები იყო გვიანდელი ბერძნულიდან – **monasterion** – ადგილი, სადაც მამაკაც ან ქალ მონაზონთა საკრებულო ცხოვრობს.

სიტყვა ანგელოსი – **angel** (n.), ბერძნ. **Aggelōs** – ნიშნავს „მაცნეს“, შემდგომში ლათინურში დამკვიდრდა ფორმა **angelus.** ეს არის ადამიანსა და ღმერთს შორის შუალედური ბუნების მქონე სულიერი ქმნილება, ღმერთის მაცნე.

ინგლ. **apostle** (n.) – მოციქული – ბერძნ. **Apostolos.** ეს სიტყვა გამოჩნდა ძველ ინგლისურში შემდეგი სახით – apostol, იგივე ფორმით ის ძველ ფრიზიულსა და ძველ ზემოგერმანულში გამოიყენებოდა. ამ სიტყვის გვიანდელი ლათინური ვარიანტი **apostolus** წარმოშობილია ბერძნული ზმნიდან **apostellein,** რომელიც „წარგზავნას, მივლინებას“ ნიშნავს.

სიტყვა **resurrection** (n.) – აღდგომა **(Risiurrezione)** საშუალო ინგლისურში შემოვიდა გვიანდელი ლათინურიდან **resurrēctiōn –** „გაცოცხლება“.

ინგლ. **Easter** (n.) – აღდგომის დღესასწაულის ეტიმოლოგია შემდეგია: ის წარმოიშვა თანამედროვე გერმანული სიტყვიდან **Ostern**, რომელიც ძველი ინგლისურიდან განვითარდა და დაკავშირებულია წარმართი ქალღმერთის სახელთან **Ēastrun,** -on, ანუ -an; მაგრამ ასევე – **Ēastru,** -o; და Ēastre ანუ Ēostre. ქალღმერთის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ბერი ღირსი ბედა VII-VIII საუკუნეებში, რომელიც წერდა, რომ **Ēosturmōnaþ** (ძვ. ინგლისური **Ēostre'**-ს თვე **Ēosturmōnaþ (Old English 'Month of Ēostre')** თარგმნილია, როგორც „სააღდგომო თვე“ – დაკავშირებული აპრილთან, **"Paschal month".** ამ თვეში იმართებოდა გაზაფხულის დღესასწაული, რომელიც ეძღვნებოდა ქალღმერთ ოსტარას (ეოსტრეს) – **Ēostre.**

ინგლისური სიტყვა **confessor** (n.) – აღმსარებელი, წარმოიქმნა გვიანდელი ლათინური ზმნიდან – **confessore,** რომელიც ნიშნავს აღმასრულებელს, ცოდვათა მომნანიებელს, მოძღვარს, მღვდელმსახური, რომელიც მონანიების საიდუმლოს აღასრულებს. აღსარება – **confess** ლათ. ზმნიდან **confiteri** – ცნობა, აღიარება (დანაშაულისა); გამოტყდომა; აღსარების თქმა, ცოდვათა მონანიება.

ინგლისის ისტორიაში ერთ-ერთი მეფე მოიხსენიება როგორც ედუარდ აღმსარებელი – **Edward the Confessor.** წმინდა ედუარდ, ეთელრედ II-ისა და ემა ნორმანდიელის უფროსი შვილი, უესექსის დინასტიის ბოლო წარმომადგენელი, რომელიც 1041 წელს ინგლისის მეფედ აკურთხეს. ის იყო რელიგიური პიროვნება. შერაცხულია წმინდანად რომის კათოლიკური ეკლესიის მიერ. მისი თაოსნობით ინგლისში ტაძრები აშენდა, მათ შორის, ვესტმინსტერის სააბატო – **Westminster Abbey.**

სიტყვა სააბატოს ინგლისური ვარიანტი **abbey** (n.) არის აბატის იურისდიქციაში მყოფი საეკლესიო ტერიტორია, სააბატო, მონასტერი. ეს სიტყვა გამოჩნდა საშუალო ინგლისურში გვიანდელი ლათინურიდან – **abbatia** ძველი ფრანგული ენის გავლის გზით **abeie.**

ინგლ. **abbot** (n.) – აბატი ჯერ კიდევ ძველ ინგლისურში, გამოჩნდა abbod, „abbot". ამ სიტყვის გრაფიკული ვარიანტი სხვადასხვა ენაში შემდეგი სახით არის წრმოდგენილი: ლათ. **abbatem,** ბერძნ. **Abbas,** არამ. **Abba.** ასე უწოდებდნენ სულიერ მოძღვრად არჩეულ მონაზონს. დღეს, ეს სიტყვა აღნიშნავს დამოუკიდებელი მონასტრის წინამძღვარს, კათოლიკური ეკლესიის საპატიო წოდება.

ინგლისური **Palm Sunday** – ბზობის კვირადღე, ბაიაობა – (პალმის ტოტები – ბაია) – (Palme, domenca delle) – აღდგომის წინა კვირადღე. ქრისტეს საზეიმო შესვლა იერუსალიმში მის ვნებამდე რამდენიმე დღით ადრე.

სიტყვას **glory** (n.) – დიდებას, რომელიც წარმოიშვა ლათინური ენიდან gloria – წირვის დროს წარმოთქვამენ ან გალობენ: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა..." (ლუკა 2:14) – "Glory to God in the highest heaven..." (Luke 2: 14). ეს არის ბერძნული წარმოშობის ძალიან ძველი საგალობელი. ლათინურ ეკლესიაში gloria -დიდება VI საუკუნიდან არის ჩართული საშობაო წირვაში.

festival (n.) – დღესასწაული, **ლათ**. **festa** – 1810-20; მრ. რ. ფორმა – **fēstum** – **"Church Holiday"** – ზეიმი ქრისტიანი წმინდანების დღის აღსანიშნად. ნასესხებია საშუალო ლათინურიდან – **festivalis** – საეკლესიო დღესასწაული.

სიტყვა **evangelization** (n.) ევანგელიზაცია – სახარების ქადაგებას ნიშნავს. ამ სიტყვის ზმნის ფორმა **evangelize** გამოჩნდა საშუალო ინგლისურში ძველი ლათინურიდან – **evangelisen,** ხოლო ლათინურში ძველი ბერძნული ზმნიდან – **euanghelizein.**

სიტყვა **mass** (n.) – ევქარისტია ანუ ლიტურგია (ჟამისწირვა), წარმოიშვა გვიანდელი ლათინურიდან **missa** – საეკლესიო წირვა. ის ძველ ინგლისურში შემდეგი სახით – **mæsse** გამოჩნდა**.**

სიტყვა ეპისკოპოსის ბერძნული ვარიანტია – **Epískopos**, ლათ. **Episcopus,** ხოლო თანამედროვე ინგლისურში – **bishop** – სიტყვა-სიტყვით მეთვალყურეს, ზედამხედველს ნიშნავს. რომის კათოლიკურ, მართლმადიდებლურ და ანგლიკანურ ეკლესიებში არის ღვთისმსახურთა უმაღლესი წოდება, საეკლესიო იერარქიის უმაღლესი წარმომადგენელი.

პაპი – **pāpa** (n.) **('pope') <** ლათ. **pāpa <** ბერძნ. **pāppas**, შემდგომში **pāpas** – წარმოადგენს სიტყვა **padre-**ს კნინობით ფორმას – მამა. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში პაპად იწოდებოდა ყველა მღვდელმსახური და ეპისკოპოსი.

ინგლ. **priest** (n.) – ძველ ინგლისურში **preost** ფორმით არსებობდა**,** შესაძლოა იყოს ძველი გერმანიკული ფორმის შემოკლებული ვარიანტი ძველ საქსური და ძველ ზემოგერმანული **prestar,** ძველი ფრიზიული **prestere,** ძველი გვიანდელი ლათინურიდან **Presbyter** – მღვდელი (Greek πρεσβύτερος).

monk (n.) – მონაზონი ბერი, ბერ-მონაზონი. (ბერძნ. **monachos**. ლათ. **monachus** სიტყვიდან **monos** – მარტო) – მამაკაცი თუ ქალი, რომელიც მონაზვნური ცხოვრებით ცხოვრობს. კათოლოკობაში ასე ეწოდება სამონაზვნო ორდენის წევრს. ეს სიტყვა გამოჩნდა ძველ ინგლისურში – **munuc.**

მონაზონი ქალი – **nun** (n.) წარმოშობილია ძვ. ინგლ. სიტყვიდან **nunne**. მისი გვიანდელი ლათინური ფორმაა **nonna**, სანსკრ. Nona.

სიტყვა **passover** (n.) – პასექი, წარმოიშვა ებრაულიდან **pesah,** ბერძნული ვარიანტია **pascha.** მნიშვნელოვანი რელიგიური დღესასწაულია, როგორც ებრაელთა ისე ქრისტიანთათვის და ეძღვნება უფლის მიერ ებრაელთა გამოხსნას ეგვიპტელთა მონობიდან, პირველშობილი ყრმების გადარჩენას (რასაც წინ უძღვოდა ღვთის რისხვა ეგვიპტელთა მიმართ) და ანტიკური ეგვიპტიდან ებრაელთა გამოსვლას.

ინგლისური სიტყვა **“Trinity”** – სამება – ძვ. ინგლ. Þrenes შემოსულია ენაში გვიანდელი ლათინურიდან **trinitas.**

ინგლ. **Parish** (n.) – საკრებულო, სამრევლო, ლათ. **Parrocia,** ბერძნ. **paroikia** – არის საახლობლო, სამეზობლო, ცალკეული ეკლესიის მუდმივად არსებული, მორწმუნეთა განსაზღვრული საკრებულო.

სამწყსო – ლათ. **Pastoralis.** სიტყვიდან **Pastor**-მწყემსი – ერთ-ერთი განმარტებით ნიშნავს სულებზე ზრუნვის თვალსაზრისით ეპისკოპოსთა და მღვდელმსახურთა საქმიანობის ერთობლიობას.

საეკლესიო სანთელი – ძვ. ინგლ. **candele,** საშ. ინგლ. **candel,** ახ. ინგლ. **candle** ლათ. **candela,** წარმოებულია ზმნიდან candēre – კაშკაში. ქრისტიანობაში სანთლები ღვთისადმი თაყვანისცემის ნიშნად გამოიყენება, როგორც ღვთიური ნათელის სიმბოლო. იგი გამოხატავს სიწმიდესა და სიწრფელეს ჩვენი შესაწირავისა ღმრთისადმი. ანთებული სანთელი სიმბოლოა ჯოჯოხეთზე გამარჯვებული ეკლესიისა, მისი მარადიული ზეიმისა.

ინგლისური სიტყვა **shrine** – წმინდა სამარხს ნიშნავს, ნასესხებია ლათინურიდან – **Scrinium.**

სიტყვას **clerk** – „ეკლესიის მსახური“, სხვა მნიშვნელობებიც გააჩნია: მოხელე, ჩინოვნიკი, კანცელარიის მუშაკი, კლერკი; მდივანი; town clerk – ქალაქის საბჭოს მდივანი; {მოძვ} მედავითნე; a perish clerk – მრევლის მედავითნე. ეს სიტყვა არის ბერძნული წარმოშობის **κληρικός** – klerikōs, რომელიც შემოვიდა ინგლისურში ლათინური ენის გზით – **clericus.**

მაშასადამე, ინგლისში ლათინურის, როგორც საეკლესიო ენის, შემოღების შედეგად ინგლისურ ენაში მრავალი ლათინური სიტყვა დამკვირდა, რომელთა უმეტესი ნაწილი ბერძნული წარმოშობის იყო და რომლებიც, პირდაპირ თუ ირიბად, რელიგიურ-საეკლესიო ცნებებს უკავშირდებოდა.

ლიტერატურა:

1. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბ., 1989.
2. ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, გამომც. „განათლება'', თბ., 1991.
3. უშვერიძე ნ., შელია მ., ინგლისური ენის ისტორია, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009.
4. ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თსუ გამომცემლობა, თბ., 2008.
5. Crystal D. The Cambridge Encyclopedia of the English Language, Cambridge: Cambridge University Press. 1995.
6. Ilyish B. A. History of the English Language: учебник / Ilyish, B.A. – Leningrad: Prosvesheniye. 1973.
7. Ranke L. A History of England. Cambridge University Press. 2011.
8. Rastorgueva T. A., Zhdanova L. F. History of the English Language. M., 1972.
9. Online Etymology Dictionary.

MAIA MARGHANIA, MANANA SHELIA, MAIA AGHAIA

ASSIMILATION OF RELIGIOUS TERMS IN THE ENGLISH LANGUAGE

Summary

The paper deals with the lexical units established in the English language after the introduction of Christianity in England. The spread of Christianity in the British territory played a great role in the country's history and development of the English language.

The English language vocabulary consists of words borrowed from different foreign languages. Borrowings are the result of contacts between nations and interaction between languages. Latin, Greek, Scandinavian and French have been important sources of the enlargement of the English vocabulary. A great number of words connected with religion came into English through Latin and French.

As a result of the introduction of Latin, as the church language, in the English language most of the words connected with religious terms were of Greek origin borrowed into English in their Latin forms.

ნანა ჩიკვილაძე

ბუნების გრძნობა ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში

ქართველმა რომანტიკოსებმა ჩვენი მწერლობის კარები მე-19 ს-ის პირველ ნახევარში შემოაღეს, მაშინ, როდესაც სათავე დაედო ახალ ქართულ ლიტერატურას.

ცნობილია, რომ რომანტიზმი საერთოევროპული მოვლენაა. ის საქართველოში ევროპიდან შემოვიდა და მტკიცედ მოიკიდა ფეხი ქართულ სინამდვილეში. რომანტიკული მსოფლმხედველობისათვის, როგორც მხატვრული მეთოდისათვის, დამახასიათებელია კონფლიქტი არსებულ სინამდვილესთან. ამ დაპირისპირებას ჯერ კიდევ მე-18 ს-ის ბოლოს გერმანელი რომანტიკოსები, ძმები შლეგელები, ხედავდნენ და წამოაყენეს ოპოზიცია: „რომანტიკული“ – „კლასიკური“. ზოგადად კი, „რომანტიზმი სუბიექტის განცდების წინა პლანზე წამოწევაა; რომანტიკოსისათვის მთავარია სუბიექტური ხილვა და იგი გვიხასიათებს არა ობიექტს, არამედ თავისი „მე“-ს განცდებს“ (1, 34).

„კლასიცისტური ლიტერატურის საზოგადოებრივ გმირს რომანტიკოსებმა საზოგადოებისაგან გარიყული მეოცნებე დაუპირისპირეს, გონების კულტს – გრძნობებისა და წარმოსახვის კულტი, საერთოს, საზოგადოებრივს, გარეგანს – ინდივიდუალური, სუბიექტური, შინაგანი“ (5, 34).

რომანტიკოსებისთვის ხელოვნება არ წარმოადგენს სინამდვილის მიბაძვას, როგორც ეს არისტოტელეს „ესთეტიკაშია“ მოცემული, არამედ ის იდეალური სიმართლის ძიებაა. ხელოვნება პიროვნების ნიჭის, მისი მრავალმხრივი შესაძლებლობების გამოვლენის სფეროა. მიუხედავად რეალისტებისაგან განსხვავებული ხედვისა, რომანტიზმმა ბევრი რამ შემატა რეალისტურ ლიტერატურას, კერძოდ, ისტორიზმის პრინციპი, სოციალური თემა, ფსიქოლოგიზმი, ხალხურობის პრინციპი. რომანტიზმმა შექმნა სრულიად ახალი გმირი – მარტოსული, საზოგადოების წინააღმდეგ ამბოხებული, ძლიერი ნებისა და სულის მქონე პიროვნება, რომელსაც შეუძლია გარდაქმნას სამყარო და მიუახლოვდეს იდეალს.

მე-19 ს-ის 10-იანი წლებიდან საქართველოში რომანტიზმი გაბატონებულ ლიტერატურულ მოვლენას წარმოადგენს. ყველაზე სრულყოფილად რომანტიკული ლიტერატურის ტენდენციები ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში გამოვლინდა.

ქართული რომანტიზმი იმით განსხვავდება ევროპულისაგან, რომ ის ტრადიციული და ახალი ელემენტების საკმაოდ რთულ და თავისებურ ნაერთს წარმოადგენს. მარტივად რომ ვთქვათ, ქართველმა პოეტებმა ევროპული ფენომენი ეროვნულ ნიადაგზე გადმონერგეს, ქართულ რეალობას მიუსადაგეს. „ქართულ რომანტიზმს, რომელიც ნაწილობრივ ევროპული და რუსული რომანტიზმის ტრადიციებით იყო ნასაზრდოები, ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები მთელს წინამორბედ ქართულ ლიტერატურაში, საიდანაც მან ბევრი რამ აიღო“ (5, 45).

თუ დავუკვირდებით თხზულებათა მოტივებს, იდეურ-თემატიკურ საკითხებს და მხატვრულ სახეთა სისტემას, მკითხველისთვის ნათელი ხდება რომანტიკოსთა ორგანული კავშირი ძველ ქართულ მწერლობასთან. აქედან გამომდინარე, შეიძლება მსჯელობა ძველი და ახალი მწერლობის ერთიანობის შესახებ. მაგრამ ჩვენთვის ნაცნობი მოტივები თუ სახე-სისტემები რომანტიკოსთა პოეზიაში მაინც ახლებურად, რომანტიკულ კონტექსტშია მოცემული.

ყველასთვის ცნობილია, რომ ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში ბუნების კულტს

ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს. ბუნების რომანტიკული განცდაც იმავე რაკურსით ხდება ქართულ მწერლობაში, როგორიც დამახასიათებელია ზოგადად, რომანტიზმის ესთეტიკისათვის.

ბუნების მშვენიერების განცდა ქართველ რომანტიკოსებთან უაღრესად ინდივიდუალურია. ეგზისტენციალური ფიქრებით დაღლილი, „მსოფლიო სევდით“ შეპყრობილი პოეტებისათვის ბუნების წიაღი დამამშვიდებლად მოქმედებდა. მხოლოდ ბუნებაში შეეძლო შემოქმედს დაწყნარებული ფიქრი საქვეყნო თუ პირად საკითხებზე და ზრუნვა მათი გადაჭრისთვის, ვინაიდან ბუნებაც ადამიანების სულიერი განწყობილებით იმსჭვალება და ერთგვარად პასუხობს პოეტების გულისტკივილს.

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი ბუნების თემას, რომელიც რომანტიკული მსოფლმხედველობის მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენს. ამ მხრივ საინტერესოა მისი ლექსები: „გოგჩა“, „კავკასია“, „გუთნის დედა“ და სხვ.

ალ. ჭავჭავაძე ბუნების სურათების აღქმისას ტიპურ რომანტიკოსად გვეველინება. პოეტი ყოველთვის საკუთარი ემოციური განწყობილების შესატყვის სურათებს ეძებს ბუნებაში. ამას მოწმობს მისივე სიტყვები:

„ბუნებაში საცა რას ვხედავ შვენების მქონეს,
შენი საამო სახე ყველგან მიდგას თვალთ წინა“.

ბუნებაში თავის შეფარება რომანტიკოსი პოეტებისათვის ერთ-ერთი საშუალება იყო სევდისაგან თავის დაღწევისა და ახალი ძალის მოკრებისა, მაგრამ, იმავდროულად, ბუნება სევდის მომგვრელადაც გვევლინება:

„გოგჩა, ტბა ვრცელი, ხმოვანებით ზღვისა მბაძავი,
ოდესმე ზვირთთა აღქაფებით ჰღელავს მრისხანედ;
ზოგჯერ, ვით ბროლი გულუბრყვილო, წმინდა, უძრავი,
თვის შორის ჰხატავს ცისა ლაჟვარდს და მთათა მწვანეთ“.

ლექსში ავტორი ერთმანეთს უპირისპირებს ბუნების სიმბოლოს – გოგჩის ტბას და ქალაქის ნანგრევს, რომელიც ამავე ტბის ნაპირზე მოჩანს. ამ დაპირისპირებით გადმოცემულია ადამიანის, მისი ხელით შექმნილი სიმდიდრის არარაობისა და წარმავლობის, ამასთანავე, ბუნების მარადიულობისა და სიდიადის აღიარება და შეგნება. იქ, სადაც ერთ დროს „ჰყვავებულან დიდებულად ქალაქნი ვრცელნი“, დღეს პოეტი დაჰყურებს „ბუთა და ნატამალთა“:

„უდაბურება, მჩუმარება, არარაობა
თვალთა და გულსა კაცისასა სევდით ავსებენ
და უნებლიეთ წარმოდგება ოხვრით ეს გრძნობა,
აჰა, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი,
აჰა, ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,
აჰა, ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი ხატი,
მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულხარ, ხედვავ ბრმობილო!“

ბუნების გრანდიოზული სურათია მოცემული ლექსში „კავკასია“:

„თხემის შეუპოვარის პონტოის ზვირთთ მიმყრდნობი

და ტერფითა სალითა კასპიისა განმპობი
კავკასი გოლიათი წევს შორის ორთა ზღვათა,
შემოკრებით შემცველი დიდ საკვირველებათა.
მის შინა სჩანს ბუნება საშინელად და მშვენად
გვერდნი მისნი ძლიერნი, ოფლვილნი შეუსვენად,
ქუხვით გარდმომაქანნი მრისხანეთ მდინარეთა,
ჰრწყვენ და განაპოხებენ შორიელთა ველებთა“.

ადამიანსა და ბუნებას შორის, პოეტის წარმოდგენით, უშუალო გრძნობადი კავშირი არსებობს. ბუნების მოვლენები ძლიერ გავლენას ახდენენ მასზე, აღუძრავენ სხვადასხვა გრძნობასა და განცდას:

„ზოგჯერ ღამის სიწყვდიადე მომაჩვენებს გიშრის თმასა,
ზოგჯერ ცისა გაელვება – ბროლის ფიცრის შუქთა ფენას.
თვით ნიავთა ნელი ქროლაც წარმომიდგენს სუნთქვას ტკბილსა,
რომელიცა ცეცხლმოდებულს ლალით გამომზერდა ლხენას!“

მიუხედავად ზემოთქმულისა, ალ. ჭავჭავაძესათან ბუნებას აკლია ის ფილოსოფიურ-ფსიქიკური სიღრმე, რომელსაც ვხედავთ სხვა რომანტიკოსების შემოქმედებაში. ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში კი ბუნება, ჩვენი აზრით, მაინც ავტორის ემოციათა ფონს წარმოადგენს.

ამასთან დაკავშირებით გვინდა გავიხსენოთ „ევროპეიზმის“ ცნება. პირველად იგი გვხვდება 1852 წლის გაზეთ „კავკაზის“ მე-12 ნომერში, ხოლო შემდეგ, 1862 წელს. ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთ თავის წერილში კონსპექტურად განიხილავს ახალი ქართული ლიტერატურის განვითარების გზას და მას ევროპეიზმის მიმდევრად მიიჩნევს.

მაინც რას ნიშნავს „ევროპეიზმი“ და რა თავისებურებებით ხასიათდება იგი? საქმე იმაშია, რომ ის ტიპური ევროპული მოვლენაა და დასავლეთისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თვისების მიხედვით უპირისპირდება აღმოსავლურ ლიტერატურას, მის მხატვრულ-ესთეტიკურ ტენდენციებს.

„ადამიანის სულიერი მონაცემების ასახვისადმი განსაკუთრებული სწრაფვა ასხვავებს ევროპულ ლიტერატურას აღმოსავლური ლიტერატურისაგან. დასავლურ ლიტერატურაში გარეგანი ამბების ადგილს შინაგანი იკავებს. ადამიანის ცხოვრების ფსიქიკური შინაარსისადმი ყურადღების აქტუალიზაცია არის დასავლური ესთეტიკური ტენდენციის ერთი არსებითი ნიშანიც. ესაა სწორედ ის თავისებურება, რომელსაც ხელოვნებაში „ევროპეიზმს“ უწოდებენ“ (1, 151).

ბუნების მშვენიერების შეგრძნება ერთ-ერთი ურთულესი ფენომენია გრ. ორბელიანის შემოქმედებაში. მისი წვდომა ადამიანისაგან დაკვირვებისა და სილამაზის ადეკვატური აღქმის განსაკუთრებულ ნიჭს მოითხოვს. ამავე დროს, ყოველივე ეს დაკავშირებულია ღმერთის ნებასთანაც, ანუ მშვენიერება თავისთავადაც ღვთაებრივის გამოვლენაა ბუნების წიაღში. ქართველ პოეტებთან ბუნების აღქმით გამოწვეული ემოცია სწორედ ევროპეიზმისათვის დამახასიათებელი სიღრმისეული განცდაა და ამით ისინი დასავლურ მენტალობასთან კიდევ უფრო ახლოს დგანან.

ბუნების მასშტაბური სურათი აქვს მოცემული გრ. ორბელიანს ლექსში „საღამო გამოსალმებისა“:

„მზე ჩაესვენა, მის შუქი გამოსალმის ჟამს კავკაზსა,
თავსა ევლება ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა,
ბუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის აყუდებულნი
ჰსხედან, ვით დევნი, სპეტაკის ყინულ გვირგინით შემკულნი!
... წყალნი მთით დაქანებულნი, ალმასებრ უფსკრულს ჰსცვივიან,
თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან!“

აქ დანახული ბუნება მხოლოდ ფონია, სატრფოსთან განშორების მძიმე წუთები რომ გაახსენოს პოეტს.

ბუნების განცდის საინტერესო ნიმუშები გვხვდება გრ. ორბელიანის პროზაულ თხზულებაში „მგზავრობა“: „საღამო იყო მშვენიერი, მზე მიეფარა მთათა და უკანასკნელნი სხივნი მისნი ცეცხლებრ აღანთებდნენ თოვლიანთა მთათა ათასფერად. წმინდა ჰაერსა მოჰქონდა სუნნელება ყვავილთა. ქვეშე ფერხთა ჩემთა არაგვი შორის უფსკრულთა შინა მოიკლაკნებოდა თეთრად ძაფსავით და გრიალი მისი ისმოდა საზარლად. საშინელნი მთანი, ერთმანეთზედა აყვანილნი ცათამდის, დიდებულებით მდუმარებდნენ.

აღმოსავლეთით, მარცხნივ ჩემსა, აღმოდიოდა მთოვარე ბრწყინვალებით, მაშინ მშვენიერი საღამოს ვარსკვლავი სიამით ჰფენდა ნათელსა ღამის სუდარსა ზედა დასავლეთით“.

გრ. ორბელიანმა ბუნების ბრწყინვალე პეიზაჟები სამშობლოს სიყვარულსა და ქვეყნის დიადი წარსულსის მოგონებას დაუკავშირა. პოემა „სადღეგრძელოდან“ მოყვანილი ამონარიდები ამის საუკეთესო მაგალითებია:

„შეწყდა ბინდისას ომი საზარი,
დადუმდა არე, სად ჰქუხდა ბრძოლა,
გამარჯვებითა მოილხენს ჯარი
ურდო ცეცხლებით განათებულა“.

ძალზე ძლიერი და შთამბეჭდავი სურათებია პოემის სხვა ნაწილებში, სადაც სამშობლოს სილამაზე განუმეორებელ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე და ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მას:

„სადა შევხარით ლაჟვარდად ცისა კამარას მორთულსა,
მასზე მავალსა ხელმწიფებრ, მზეს ბრწყინვით განსხივებულსა,
ღამით ვარსკვლოვანს ფირუზსა, მთოვარით განათებულსა!
სიცოცხლის მომფენს ჰაერსა, სუნნელებრ შეზავებულსა!“

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პოემის საფინალო ნაწილი, რომელშიც პოეტს დილის რიჟრაჟის უბრწყინვალესი სურათი აქვს მოცემული:

„ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შეღება,
ცას სიხარული მოჰფინა და ქვეყანასა შვენება!
...მოჰქრის დილისა ნიავიც გულისა მაგრილებელი;
ფშვინვა დაიწყეს ყვავილთა და ბაღში ფოთოლთ შრიალი!
ოჰ, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული!
დაჩუმდით... ყური მიუგდეთ... არ გესმით, ჰგალობს ბულბული?“

ამ ღვთიური სილამაზით მოხიბლული პოეტი გაოცებით კითხულობს: „ამ მშვენიერსა დილასა, კაცს რად ჰსურს სისხლი კაცისა?“ აშკარაა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბუნება დაპირისპირებულია საომარ მოვლენებთან, რაც ერთგვარად ბუნების თავისთავადობის გამოხატულებაა. მსგავსი პასაჟები მოგვიანებით თავს იჩენენ სხვა რომანტიკოსების შემოქმედებაშიც.

გრ. ორბელიანი, სხვათა მსგავსად, საკუთარ სულიერებასა და ემოციებს პოულობს ბუნების წიაღში, რომელთანაც იგი ყოველთვის სრულ შესაბამისობაში იმყოფება. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი „გაზაფხული“:

„ყოველთ სულთა, საცხოვრებლად,
სასიამოდ, საშვებელად,
გაზაფხულით განიღვიძებს!
ნიავი ჰქრის სუნნელების!
მდელო ნაზად აღმწვანდების!
და მზემ სხივნი ჰყო უნათლეს!“

ბუნების სურათების ფონზე სასიყვარულო განცდები კიდევ უფრო შთამბეჭდავი ხდება:

„მთოვარე, აშიკთ მოწამე, სიამით ნათელს მოჰფენდა,
ნიავი სუნნელთ ყვავილთგან ჰკრეფდა და ქროლვით მოჰბერდა,
ბულბულიც ბუჩქში ფარულად ვარდსა გალობით შესტრფოდა,
და მის გულს ცეცხლი ტრფობისა უმეტეს აღმეგზნებოდა“.

ამონარიდიდან ჩანს, რომ ბუნება თავად ხდება მონაწილე სატრფიალო ურთიერთობებისა, რისი დასტურიცაა პოეტური სახეები: „მთოვარე-აშიკთ მოწამე“, „სუნნელების მკრეფავი ნიავი“, „ვარდს გამიჯნურებული ბულბული“. მოყვანილი მხატვრული სახეები მკითხველს ესთეთიკურ სიამოვნებას ანიჭებენ.

ანალოგიური სურათია ორბელიანის ლექსში „მოგონება“:

„აჰა, ადგილი, აჰა, ის არე,
სად ხელმწიფობდი მშვენიერებით;
ჭალა კი იგი, იგივ მდინარე
და გაზაფხული მის ფეროვნებით!

საცა შენ იყავ, მუნცა ყვავილნი
უმეტეს სუნნელთ აღმოფშვინვიდნენ;
მზე ბრწყინვალებდა; აშიკ-ბულბულნი
შენდამი ქებას ტკბილად გალობდნენ!“

აქაც ბუნება პოეტის გულის მოძრაობის თანაზიარია. შეიძლება ითქვას, რომ გრ. ორბელიანთან ბუნება ცოცხალია და ადამიანის სახეს ღებულობს, რასაც ვერ ვიტყვით ალ. ჭავჭავაძის პოეზიაზე. გრ. ორბელიანის ლირიკა ამ ასპექტით, წინამორბედ პოეტთან შედარებით, წინ გადადგმული ნაბიჯია.

მე-19 საუკუნის ქართველი პოეტებიდან არც ერთს არ გამოუმჟღავნებია იმდენი ინტიმობა ბუნებასთან ურთიერთობაში, რამდენიც ნიკოლოზ ბარათაშვილს. ეს ინტიმობა გამოიხა-

ტება ბუნების უნაზეს აღქმაში. პოეტის მიერ გაცოცხლებული ბუნება მკაფიო მასალას იძლევა მისი რომანტიკული ხედვის ცხადსაყოფად.

„საზოგადოებისაგან იმედგაცრუებული, წონასწორობადარღვეული პოეტის სული საკუთარი თავის ღირსებათა მსაჯულად, სიცოცხლის საზრისზე დაფიქრების საუკეთესო გარემოდ ბუნებას თვლის. ბუნება ხალისს უბრუნებს და სულს უამებს დიად საკითხებზე ფიქრით მოღლილ მგოსანს“ (1, 225).

„ბარათაშვილი თავს გრძნობს ბუნების ორგანულ ნაწილად, ბუნება მისთვის სულის მდგომარეობის გამოხატულებაა, თანამგრძნობი და ნუგეშისმცემელი. ცხოვრებასა და ბუნებას იგი ყოველთვის თავისი განწყობილების მიხედვით მსჭვალავს, აძლევს მას ნიშან-თვისებას თავის საკუთარი სულისა და გენიისა. მისი ლირიკა გვაძლევს რომანტიკულად გაგებული ბუნების თავისებურ კონცეფციას“ (2, 87).

„ჰოი, მთაწმინდავ, მთაო წმინდავ, ადგილნი შენნი
დამაფიქვრელნი, ვერანანი და უდაბურნი...
ვითარ შვენიან, როს მონამენ ცვარნი ციურნი,
ოდეს საღამოს დაშთენ ამოს ციაგნი ნელნი!

...მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,
კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი
და წყნარს საღამოს,ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!“

საზოგადოებისაგან გარიყული პოეტის ერთადერთი საიმედო ნავთსაყუდელი ბუნებაა, სადაც ნ. ბარათაშვილს წუთიერად ავიწყდება ცხოვრებისეული პერიპეტიები და დარდს იქარვებს, ბუნება მას იმედიან განწყობილებას და რწმენას უბრუნებს:

„ჰოი, საღამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დამშთი, ჩემად სანუგეშებლად!
როს მჭმუნვარება შემომესევის შენდა მოვილტვი განსაქარვებლად!
მწუხრი გულისა-სევდა გულისა-ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველ ბინდსა ის განანათლებს!“

მტკივნეულ სოციალურ საკითხებზე ფიქრისას პოეტს მესაიდუმლედ ისევ ბუნება ევლინება. მხოლოდ მის წიაღშია შესაძლებელი ღრმად ჩასწვდეს სიკვდილ-სიცოცხლისა და ადამიანის არსებობის აზრის პრობლემებს:

„წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად,
აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად;
აქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით,
აქაც ყოველი არემარე იყო მოწყენით.

...მაინც რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღევსოს,
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?“

სწორედ მტკვრის სანაპიროზე, მოდუდუნე ტალღების წიაღში გამოაქვს ნ. ბარათაშვილის ოპტიმისტური დასკვნა ადამიანის არსებობის აზრის შესახებ. იგი წერს:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან-შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა,
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!“

ასეთივე ოპტიმიზმით ხასიათდება ნ. ბარათაშვილის ლექსი „არ უკიჟინო სატრფოო“. პოეტი შეჰხარის სიცოცხლეს, ბუნების ყოველ გამოვლენას შესტრფის, სატრფოსთან ერთად სურს შეუერთდეს მას და ბუნების განუყოფელი ნაწილი გახდეს:

„არ უკიჟინო, სატრფოო, შენსა მგოსანსა გულისთქმა;
მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობად გამოთქმა!
მინდა მზე ვიყო,რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსამოვავლო,
საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო.
მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი“.

ბუნების ასახვის თვალსაზრისით აღსანიშნავია ლექსი „ჩინარი“. აქ ბარათაშვილი ბუნებაში არსებული საიდუმლო ენის შესახებ ლაპარაკობს, რის გამოც ქართველმა კრიტიკოსებმა პანთეიზმის მიმდევარი უწოდეს, თუმცაღა, გარკვეული დროის შემდეგ, ეს მოსაზრება უარყოფილ იქნა:

„მწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის,
და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის!“

„თუ გრ. ორბელიანმა დიდებული სურათები დაგვიხატა ბუნების, თუ იგიც ადამიანის სახეს აძლევდა ბუნებას, მაინც და მაინც მის ფილოსოფიურ შეხედულებას პანთეიზმამდე არ მიუღწევია. მას არ წარმოუდგენია, თუ ბუნებასაც შესაძლებელია ჰქონდეს თავისი აზრი და გრძნობა, თავისებური სული. ბარათაშვილი კი ამ ფილოსოფიის მოძღვრად ხდება; მან ბუნება გააცოცხლა, სული ჩაუდგა და ხორცით შემოსა“ (1, 150).

ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში ბუნება ზოგჯერ დამოუკიდებელ ხატსაც წარმოადგენს. ასეთია ცნობილი ადგილი პოემიდან „ბედი ქართლისა“, „მორბის არაგვი“:

„მორბის არაგვი არაგვიანი,
თან მოსძახიან მთანი, ტყიანი
და შეუპოვრად მოუთამაშებს
გარემო თვისა ატეხილ ჭალებს,

ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო,
მობიბინენო, შვებით მომზირნო,
ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს
ოდეს შვენება შენი იხილოს“.

ასეთივე დამოუკიდებელი ხატია ლექსში „ღამე ყაბახზედ“:

„მიყვარს ყაბახის არემარე, თვალად საამო,
მაისის ღამე მიბუნდვილი, გრილი და ამო;
მაგრამ უმეტეს მიყვარს ღამე,როს მთვარე შუქით
მოჰფენს ყაბახსა და კოჯორი დაჰქრის ნიავით,
და მომდინარე ხან ზვირთცემით,ხან ნელად მტკვარი
მოოხრავს შორით ვით მიჯნური, ჟამთ მოჩივარი“!

ბუნების რომანტიკული სურათებია ბარათაშვილის პირად წერილშიც, რომელიც მიხეილ თუმანიშვილისადმი არის მიწერილი. მასში სასაფლაოს ფონზე კარგად ჩანს მწერლის სულიერი სიმარტოვე და მისი წარმოჩენა სიკვდილის სახით. სასაფლაო მწერლისათვის ის აუცილებელი ზეციურ-ქვეყნიური სანახაობა და მშვენიერი გამოგონებაა, რომელიც ადამიანს ცხოვრების ჩაღრმავებაში ეხმარება: „...ჩუმად და ნელად მოღელავს მტკვარი, თითქოს ეშინია დაარღვიოს ამ სევდიანი ქვეყნის მყუდროება... მე არ მინდა შეგაშფოთო მჭმუნვარე ფიქრებით, რომელიც გამოიწვია ჩემში ამ ზეციურ-ქვეყნიურმა სანახაობამ! გეტყვი კი, რომ სასაფლაო მშვენიერი გამოგონებაა; ის აუცილებელია, რათა მოკვდავი დროგამოშვებით იმაში თავის ცხოვრებას კითხულობდეს! ბედკრულის ნუგეშინისცემა-დასასრული ბედნიერებისა!“

ამრიგად, ქართველმა რომანტიკოსებმა მთელი სისრულით წარმოაჩინეს ბუნების კულტი. ბუნება მათთვის იყო სულიერი განწყობილების შემქმნელი. ისინი ბუნებაში მიისწრაფოდნენ, რათა უკეთ ეფიქრათ საზოგადოებრივ საკითხებზე და ეპოვათ თავიანთი გულის თანაზიარი.

ქართველმა რომანტიკოსებმა ბუნებას სული ჩაუდგეს, გააცოცხლეს და ამით მკითხველებისთვის მისი აღქმა უფრო შთამბეჭდავი გახადეს. მათთვის უცხო იყო ცხოვრებისაგან გაქცევა და ის უკიდურესი პესიმიზმი, რომლითაც ხასიათდება ევროპული რომანტიზმი.

ლიტერატურა:

1. ევგენიძე ი., ქართული რომანტიზმის საკითხები, თბ., 1982.
2. რადიანი შ., ნიკოლოზ ბარათაშვილი და ქართული რომანტიზმი, თბ., 1946.
3. აბაშიძე კ., ეტიუდები, თბ., 1970.
4. კიკნაძე გრ., ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, თბ., 1978.
5. ნაკუდაშვილი ნ., ლიტერატურული მიმდინარეობები, თბ., 1997.
6. ქართველი რომანტიკოსები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, თბ., 1980.

NANA CHIKVILADZE

FEELING OF NATURE IN THE ROMANTIC POETS' LITERARY WORKS

Summary

The paper with a broad spectrum discusses emotion problem to the nature in the Romantic poets' literary works. Characteristic to the romantism aesthetic reflection of the nature is expressed in their poetry. Only in the nature our poets were able to care and think quietly on personal, public and eternal problems. The emotion caused by the perception of the nature is expressed by deep feeling characteristic to European that makes closer of Georgian romantists to the wetern mentality.

თამარ გალოგელრი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

სივრცის სტრუქტურა ჯეიმზ ჯოისის პროზაში

ჯოისის ქრონოტოპის თავისებურება განისაზღვრება პრინციპის **“Here” and “Now”** გამოყენებითა და სინამდვილის გამოხატვის სინთეზით (გარშემო მყოფი სამყარო, ადამიანის ცნობიერი და ქვეცნობიერი საქმიანობა). წარმოდგენილ სტატიაში ჩვენ შევეცდებით გავმიჯნოთ სივრცე სამებიდან „დრო – სივრცე – ადამიანი“ და დავაკვირდეთ, თუ რა ზომით განსაზღვრა აბზაცების სივრცული ორგანიზება ჯოისის პროზაში მისმა პრინციპმა **“Here” and “Now”.**

– You, Cochrane, what city sent for him?

– Tarentum, sir.

– Very good. Well?

– There was a battle, sir.

– Very good. Where?

The boy's bleak face asked the blank window.

Fabled by the daughters of memory. And yet it was in some way if not memory fabled it. A phrase, then, of impatience, thud of Blake's wings of excess. I hear the ruin of all space shattered glass and toppling masonry, and time one livid final flame. What's left us then?

– I forgot the place, sir. 279 B.C.

– Asculum, Stephen said, glancing at the name and date in the gorescarred book.

– Yes, sir. And he said: *Another victory like that and we are done for.*

That phrase the world had remembered. A dull ease of the mind. From a hill above a corpsestrewn plain a general speaking to his officers, leaned upon his spear. Any general to any officers. They lend ear.

– You, Armstrong, Stephen said. What was the end of Pyrrhus?

– End of Pyrrhus, sir?

– I know, sir. Ask me, sir, Comyn said.

– Wait. You, Armstrong. Do you know anything about Pyrrhus?

A bag of figrolls lay snuggly in Armstrong's satchel. He curled them between his palms at whiles and swallowed them softly. Crumbs adhered to the tissues of his lips. A sweetened boy's breathe. Welloff people, proud that their eldest son was in the navy. /“Ulysses”/

ამ პასაჟში შეკუმშულია ობიექტური და სუბიექტური ქრონოტოპი. ობიექტური სივრცე განისაზღვრება საკლასო ოთახით (Here), რომელშიც საუბრის მომენტში (Now) მიმდინარეობს ისტორიის გაკვეთილი (Action). ის განისაზღვრება ამსტრონგის სასკოლო ზურგჩანთით, რომელშიც „მყუდროდ“ მოთავსებულია პარკით გამხმარი ლეღვის ჩირი.

სუბიექტური ქრონოტოპი წარმოდგენილია მხოლოდ ერთი მოქმედი პირით – მასწავლებლით, ვისი ცნობიერება ჯოისმა შეგნებულად გახსნა მკითხველის აღსაქმელად.

ჯოისს ჰყავს გმირები არაავტობიოგრაფიული თვალსაზრისით, რომელნიც არა მხოლოდ კომფორტულად გრძნობენ თავს დუბლინის ქუჩების ლაბირინთში, არამედ თვითონაც ქმნიან ამ ლაბირინთებს, როგორც ქრონოტოპის ნაწილს.

ჯოისის მოთხრობებში, გმირები უგზო-უკვლოდ დაეხეტებიან ქუჩებსა და მოედნებზე. სივრცე უკიდურესად დაკონკრეტებულია. ეს უკიდურესი კონკრეტიზაცია ტოპონიმური გაჯერების დონეზე (Rutland sq., Dorset street, Dame Street, Baggot Street, Earl Street, ა.შ.) თანაარსებობს მოთხრობებში, ქალაქის უკიდურესად მითოლოგიზაციით, რომელიც მოთხრობებში ბილიკის დონეზე გამოდის, მაგალითად:

“The other houses of the street, conscious of decent lives within them, gazed at one another with brown imperturbable faces” (Araby).

სივრცის მითოლოგიზაციის დროს გმირები „დუბლინელები“ თითქოს ქალაქს თავის მეტოქედ აქცევენ. ალბათ, ამით შეიძლება აიხსნას ამბივალენტური ურთიერთობა გმირებისა და სივრცისა (ქალაქი), სწრაფვა თავის გადატანისა ცენტრიდან მანდილას პერიფერიამდე (to live as far as possible from the city of which he was a citizen).

სივრცის მითოლოგიზაცია და ურთიერთობის ამბივალენტობა დამახასიათებელია ასევე „ულისესათვის“. თუმცა ეს მითოლოგიზაცია სავსებით სხვა სახისაა, მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურულად სივრცე **„ულისეში“** დიდად არ განსხვავდება „**დუბლინელების“** სივრცისგან. რომანში დუბლინიც ტოპონიმური და ონომასტიკურად გაჯერებულია: არ არიან უცნობები, უსახელო ადამიანები, არ არის უცნობი ადგილები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქალაქი წარმოადგენს გარეგნობით “all space”, ე. ი. მაკროსამყარო ყველა საუკუნეში, შეკუმშული 1904 წლის 16 ივნისის დუბლინის ზომებამდე.

შეიძლება ითქვას, რომ „ულისეს“ სივრცე – ესაა არა ქალაქის, არამედ ადამიანის სხეულის სივრცე: ავტორი ამტკიცებდა, რომ ყოველი ეპიზოდი რაღაც სახით კავშირში იყო ადამიანის სხეულის განსაზღვრულ ორგანოსთან (განსაზღვრული მეცნიერება ან ხელოვნება, სიმბოლო და ფერი). „ულისეს“ სივრცე აღმოჩნდა შემჭიდროვებული ერთ წერტილში, ამავდროულად, ესაა წიგნის სივრცე, კერძოდ, წიგნი ხდება ცოცხალი ორგანიზმი და კოსმოსური მოვლენა. ეს არ იყო შუასაუკუნოვანი აზროვნებისათვის სიმბოლური, რადგან არ იყო რაღაც უცნაური, არ განიხილებოდა როგორც შეუსაბამობა.

წიგნში აღწერილი მსოფლიოს მძიმე მდგომარეობის მიუხედავად (it rains dragon’s teeth), ავტორი მას ასრულებს ჰარმონიული სურათით. აქ პარადოქსი მოჩვენებითია: ჰარმონიული სამყარო (all space, all time), რომელსაც შეუძლია სიყვარულით ორგანიზება ქაოსიდან სისტემაში – ეს ისაა, რასაც თავის გონებაში დუბლინში ხეტიალის დროს ეძებდნენ მისი გმირები...

ლიტერატურა:

1. Хоружий С. Коментарии//Джойс Д. Улисс. М., 1993. с. 577.
2. Белова Н. А. Концепт «город» в современном литературоведении. 2012.
3. Фоменко Е. Г. «Городской топос в «Дублинцах» Джеймса Джойса: синхронизация пространственной одновременности».

TAMAR GALOBERI

SPATIAL STRUCTURE IN JAMES JOYCE'S PROSE

Summary

The paper discusses special and temporal structures according to James Joyce’s works. James Joyce’s chronometer is determined by using of “Here and Now” principle and synthesis of expression of reality (world around us, person’s conscious and preconscious activities).

თამარ ჯოჯუა, მზია თოფურიძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინგლისური ენის სწავლების ინტენსიფიკაციისათვის უმაღლეს სასწავლებელში

დღეს საქართველოში მიმდინარე დემოკრატიზაციისა და კულტურათაშორისი ინტეგრაციის პროცესებმა, ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემის გადასვლამ საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში განაპირობა მთელი ამ სისტემის რეფორმირება, კერძოდ, უცხოური ენის სწავლების მოდერნიზაციის აუცილებლობა. ამ პროცესში ინგლისურის, როგორც საერთაშორისო ენის, როლი კონკურენციის გარეშეა.მისი ფლობა განვითარებად ქვეყანაში კარგი სამუშაოს გარანტიაა, განვითარებულში კი – უმაღლესი წარმატებისა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, იზრდება მოთხოვნილება ინგლისური ენის მცოდნე, მაღალი დონის პროფესიონალების მომზადებისა, რომელთა გარეშეც შეუძლებელია დანარჩენი მოსახლეობის უცხოენობრივი უნარ-ჩვევების დონის გაზრდა.

ინგლისური ენის სწავლების ეფექტურობის ამაღლება საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე მოითხოვს უცხოური ენების სწავლების თანამედროვე სტრატეგიისა და ტექნოლოგიის გამოყენებას. ამ დარგის კომპეტენტური სპეციალისტის მომზადების სისტემა უნდა ითვალისწინებდეს მის პრაქტიკულ, ენობრივ, ზოგადფილოლოგიურ, ქვეყანათმცოდნეობით, პროფესიულ-მეთოდურ მომზადებას (2).

რასაკვირველია, ერთი მხრივ, სტუდენტური ასაკის ფსიქოლოგიური თავისებურებების, მეორე მხრივ კი, უცხოური ენის ფლობის გაზრდილი დონის გათვალისწინებით, უმაღლეს სასწავლებელში ინგლისური ენის სწავლებისას უნდა შეიცვალოს და უფრო მრავალფეროვანი გახდეს მეცადინეობის ფორმები. უმაღლესი სასწავლებლისთვის მუშაობის დამახასიათებელი ფორმებია: ლექციები, სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობები, ლაბორატორიული სამუშაოები, სტუდენტური კვლევითი მუშაობა და კონფერენციები. მეცადინეობის ამ ფორმების დაგეგმვისას თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, გასათვალისწინებელია ინგლისური ენის, როგორც სასწავლო დისციპლინის თავისებურება – სწავლების მთავარი მიზანი არა მხოლოდ თეორიული ცოდნის შეძენაა, არამედ სამეტყველო აქტივობის ოთხივე ძირითადი ფორმის უნარ-ჩვევების ფორმირება, სასწავლო პროცესის კომუნიკაციურობის მიღწევა. ინგლისური ენის სწავლებისას საბაკალავრო კურსის დაწყებით და საშუალო ეტაპზე (I-III კურსი) მეცადინეობას ასპექტურ-კომპლექსური ხასიათი აქვს. ეს იმას გულისხმობს, რომ მეცადინეობა ენობრივი და სამეტყველო უნარ-ჩვევების (ფონეტიკური, ლექსიკური, გრამატიკული, აუდირების, საუბრის, კითხვისა და წერის) მიხედვით არის სპეციალიზებული. შესაძლებელია უნარ-ჩვევათა დაჯგუფება ერთ სასწავლო მოდულში, მაგალითად, ფონეტიკა და აუდირება, გრამატიკა და წერა, ლექსიკა და კითხვა ან ლექსიკა და საუბრის ხელოვნება, ამავე დროს, ნებისმიერი მოდულის სწავლებისას სასწავლო პროცესი აუცილებლად სამეტყველო-კომუნიკაციურ ხასიათს უნდა ატარებდეს. ამ ეტაპზე ჭარბობს პრაქტიკული ხასიათის მეცადინეობის ფორმები, თუმცა თეორიული ელემენტების დამატებით, რაც ენის სპეციალისტისათვის სწავლების მნიშვნელოვან და აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს. თეორიული ელემენტების დამატება ენის პრაქტიკულ მეცადინეობაზე ორ მიზანს უნდა ისახავდეს:

1) უზრუნველყოს თეორიისა და პრაქტიკის ერთობლიობა ინგლისური ენის სწავლების პროცესში;
2) საშუალება მისცეს სტუდენტებს, საბაკალავრო პროგრამის სწავლების III კურსიდან მთელი რიგი თეორიული (ლინგვისტური) საგნები შეისწავლონ ინგლისურ ენაზე.

ინგლისური ენის პრაქტიკულ მეცადინეობას უნდა ახასიათებდეს:

1) ინდივიდუალიზაცია;
2) სამეტყველო და ფუნქციური მიმართულება;
3) სიახლე (ახალ-ახალი სიტუაციები და სამეტყველო ამოცანები, თანამოსაუბრეების როტაცია, კომუნიკაციის მრავალფეროვანი არხები და ფორმები);
4) სავარჯიშო-დავალებების ლოგიკური თანმიმდევრობა, სირთულის თანდათანობით გაზრდის პრინციპით;
5) კომუნიკაციური ატმოსფერო;
6) აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო პოტენციალი.

ლინგვისტური და ლინგვოკულტურულოგიური ციკლის თეორიული საგნები (თეორიული გრამატიკა და ფონეტიკა, ლექსიკოლოგია, სტილისტიკა, ქვეყანათმცოდნეობა, ლიტერატურის ისტორია) შეისწავლება ლექცია-სემინარების სახით. ინგლისური ენის სწავლების ეფექტურობის გაზრდის მიზნით, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ლექციას მიეცეს სააზროვნო და არამხოლოდ ინფორმაციული ხასიათი. სემინარიც, მით უმეტეს არ უნდა იზღუდებოდეს (ლექციაზე წაკითხულ ლიტერატურაში) მიწოდებული ინფორმაციის გადმოცემით. ლექცია-სემინარებზე სტუდენტთა უფრო მეტი აქტივიზაცია მოითხოვს, რომ წარმოდგენილი თეორიული მასალა ცდებოდეს სახელმძღვანელოს მიერ შეთავაზებულ მასალას. აუცილებელია რელევანტური თვალსაჩინოების გამოყენება. ლექცია პრეზენტაციის ფორმისა და მასალის შინაარსის გარკვეული ემოციურობით უნდა ხასიათდებოდეს. მას გარკვეული სტრუქტურა უნდა გააჩნდეს (შესავალი-ძირითადი ნაწილი-დასკვნა), რომელსაც ლექტორი გააცნობს სტუდენტებს მეცადინეობის დასაწყისში და რაც მთავარია, ლექცია უნდა აძლევდეს სტუდენტებს სტიმულს, რომ იაზროვნონ. ინგლისური ენის სწავლებისას ლექციის, სემინარისა და პრაქტიკული მეცადინეობის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ახალი უცხოენობრივი მასალის მოცულობა და ხასიათი (მაგალითად, ტერმინები თუ უბრალოდ სწავლული ლექსიკა). სემინარებზე პრაქტიკული მასალა მეტად უნდა გამოიყენებოდეს. ასე, მაგალითად, სტილისტიკის სემინარები, სასურველია, არა იზოლირებული წინადადებების მასალაზე ჩატარდეს, რომლებშიც სტუდენტები სხვადასხვა სტილისტურ საშუალებას პოულობენ და გამოიცნობენ, არამედ დიდ ფრაგმენტებსა და მოკლე მოთხრობებზე. ამ შემთხვევაში სწავლება კარგავს ფორმალურ, მოსაწყენ ხასიათს და კომუნიკაციური ხდება (1).

ინგლისური ენის სწავლების ნებისმიერი ფორმის გამოყენებისას აუცილებელია:

1. უზრუნველყოფილი იქნეს კომუნიკაცია (უკუკავშირი) სტუდენტ-მასწავლებელისა და სტუდენტებს შორის;
2. სტუდენტებს დაურიგდეს ლექციის ამობეჭდილი ტექსტი, სემინარული და პრაქტიკული მეცადინეობისათვის მოსამზადებლად საჭირო წყაროების სია;
3. გამოიყოს საკვანძო ცნებები და დებულებები;
4. ლექციისა და სემინარის დროს სტუდენტებს საშუალება უნდა მიეცეთ დაუსვან კითხვები ლექტორს და ერთმანეთს, გამოვიდნენ ერთმანეთის ოპონენტების (და არა პასიური მსმენელების) როლში;
5. მეცადინეობის დამთავრებისას მომდევნო მეცადინეობის თემატიკა და პრობლემატიკა გავაცნოთ სტუდენტებს, რათა მათ მიეცეთ საშუალება წინასწარ დაფიქრდნენ მასზე; ასეთი მიდგომა ხშირად ზრდის სწავლების მოტივაციას;
6. გავაღვიძოთ სტუდენტთა ცნობისმოყვარეობა, რათა მათ გაუჩნდეთ მოთხოვნილება არა უბრალოდ დაიმახსოვრონ მოწოდებული მასალა, არამედ გაითავისონ კიდევაც ის, დაუფიქრდნენ ზოგიერთ საკითხს, მოინდომონ და მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია;
7. გამოვუმუშაოთ სტუდენტებს დამოუკიდებელი მუშაობის, კერძოდ, ბიბლიოთეკის კატალოგით და ინტერნეტით მასალის მოპოვების უნარ-ჩვევები.

სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას სწავლების ეფექტური და თანამედროვე საშუალებების გამოყენება წარმოადგენს. მეცნიე-

რებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონე განაპირობებს სასწავლო პროცესში ტრადიციულთან ერთად (სახელმძღვანელოები, ვიზუალური, აუდიო, აუდიო-ვიზუალური ინ-ფორმაციის წყაროები), უახლესი საშუალებების – გამოთვლითი ტექნიკის, ინფორმაციულ-კო-მუნიკაციური, პროგრამულ-სააპარატო მოწყობილობების, კომპიუტერის, ინტერნეტის – გამო-ყენებას, რომელთაც კოლოსალური ინფორმაციული შესაძლებლობები გააჩნიათ. სწავლების საშუალებების შერჩევის ძირითად პირობას წარმოადგენს მათი შესაბამისობა თანამედროვე დიდაქტიკის, ლინგვოდიდაქტიკის, ფსიქოლინგვისტიკის მოთხოვნილებებთან (3).

სტუდენტთა მუშაობისთვის დამახასიათებელ ისეთ ტრადიციულ ფორმებს, როგორებიცაა კვლევითი სამუშაო და სტუდენტური კონფერენციები, უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ინგლისური ენის სწავლების პროცესში. კონფერენციები ნაკლებად ფორმალური და უფრო ხში-რი (სემესტრის განმავლობაში 2-3) უნდა იყოს. ლინგოფონურ და კომპიუტერულ ლაბორატორი-ებში მუშაობა უფრო აქტიურ ხასიათს უნდა ატარებდეს. სტუდენტებმა მისი შედეგები ამა თუ იმ ფორმით მეცადინეობაზე უნდა წარმოადგინონ (აუდიო ჩანაწერი, დაგროვებული ქულები, მო-პოვებული მასალები).

სტუდენტები რეგულარულად უნდა ასრულებდნენ ისეთი სახის სამუშაოებს, როგორები-ცაა ცალკეულ სასწავლო თეორიულ დისციპლინებზე პროექტების პრეზენტაცია, დისკუსიის ერუდირებულად და კორექტულად წაყვანა. მათ უნდა შეეძლოთ შემოქმედებითი სახის თემატუ-რი სამუშაოების შესრულება, კვლევითი სამუშაოს ჩატარების უნარ-ჩვევების დემონსტრირება, უნდა ფლობდნენ ინგლისურ ენაზე სამეცნიერო ტერმინოლოგიას, მოპოვებული თეორიული მა-სალის ჩამოყალიბების მეცნიერულ სტილს (4).

სწავლების ძირითად მიზანს ენის პრაქტიკულ და კომპეტენტურ დაუფლებასთან ერთად უნდა წარმოადგენდეს სტუდენტთა კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების, ლინგვისტური, სოციოლინგვისტური და პრაგმატული კომპეტენციების ფორმირებაც, სათანადო თეორიულ-ლინგვისტური ბაზის ჩამოყალიბება, რაც მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს შემდგომში – თანამედროვე, კონკურენტუნარიან შრომისა და განათლების ასპარეზზე მათი წარმატებული პროფესიული და მეცნიერული საქმიანობისა.

ლიტერატურა:

1. ოქრუაშვილი გ., სტუდენტთა მიერ ლექციის შეფასების კრიტერიუმები//ინტელექტი, 2004, N2 (15), გვ. 143-145.
2. ჯოჯუა თ., უცხო ენაზე მეცადინეობის ფორმები უმაღლეს სასწავლებელში//ინტელექტი, 2004, N3 (23), გვ. 290-292.
3. Bacon S., & Finneman, M. A study of Attitudes, Motives, and Strategies of University Foreign Language Students and their Disposition to Authentic Oral and Written Input. 1990, Modern Language Journal. 74(4). 459-73.
4. Hedge T. Teaching and Learning in the language Classroom. Oxford: Oxford University Press. 2000.

TAMAR JOJUA, MZIA TOPURIDZE

THE INTENSIFICATION OF TEACHING ENGLISH AT HIGH EDUCATION INSTITUTION

Summary

Organizational Principales of teaching English at high institution are analysed in the given article. Typical organizational forms of work at high educational institutions are lectures, seminars, laboratory works and students' research work conferences. The article views new requirements that pedagogy and methods of teaching pose towards these forms of work. Besides, specific features of foreign languages as an academic discipline are taken into consideration. The main goal of teaching this subject is not only obtaining theoretical knowledge by the students, but formation of four basic language skills (listening, reading, speaking and writing).

The teaching process should contain elements of communicative teaching. It is underlined that the borderline between the lectures, seminars and practical sessions in teaching in teaching a language and subjects of linguistic cycle is transparent enough. It is suggested that three types of language classes: purely practical, practical classes of some features of lectures and practical classes of seminars should be held. And, vice versa, during seminars and lectures it is desirable that tasks and activities should be applied to a practical session.

რუსუდან გოგოხია

უცხოური ენის ათვისებაში ინდივიდუალურ-ტიპოლოგიური მიდგომები

ჯერ კიდევ 50-იან წლებში ცნობილმა რუსმა მეთოდისტმა და ფსიქოლოგმა ბ. ბელიაევმა (2) ორი ტიპის ადამიანი გაარჩია: რაციონალურ-ლოგიკური და ინტუიტურ-გრძნობადი. პირველის შემთხვევაში ენის შემსწავლელები გონებრივ ოპერაციებს ეყრდნობიან (ანალიზი, განზოგადება). ისინი თვლიან, რომ ენის ხარისხიანად ფლობა თეორიის გარეშე შეუძლებელია. ისინი ენას ნელა და რთულად ეუფლებიან. უცხოურ ენაზე საუბრისას ყურადღებას აქცევენ არა მარტო საუბრის აზრობრივ მხარეს, არამედ მის ენობრივ თავისებურებებს. ისინი ენას ფლობენ რეცეპტულად. ენის პრაქტიკაში გამოყენება მათ არავითარ სიამოვნებას არ ანიჭებთ. უადვილდებათ თარგმანი, არ უძნელდებათ მსგავსი ეკვივალენტების ძიება. თარგმნისას ხშირად იყენებენ ლექსიკონს. მათ ბევრად ადვილად მიაჩნიათ უცხოური ენიდან მშობლიურ ენაზე თარგმნა.

ადამიანები, რომლებიც ინტუიციურ-გრძნობად ტიპს მიეკუთვნებიან, ენას ეუფლებიან პრაქტიკული გზით. ისინი ვერ ხედავენ თეორიული ცოდნის აუცილებლობას, რომელიც ითვლება აუცილებელ ფაქტორად ენის საფუძვლიანად დაუფლებისთვის. სწრაფად ითვისებენ ენას, როგორც კი მას პრაქტიკაში გამოიყენებენ. მათთვის არ არის აუცილებელი ტექსტის გრამატიკული სისწორე. ისინი თავისუფლად აზროვნებენ უცხოურ ენაზე, ენას ფლობენ არა მარტო რეცეპტულად, არამედ პროდუქტიულად. არავითარ განსაკუთრებულ ზომებს არ ღებულობენ იმისთვის, რომ ადვილად დაიმახსოვრონ სიტყვები და სიტყვათშეთანხმებები. სხვებისგან დაშვებულ შეცდომებს ადვილად იგებენ. თარგმნისას უძნელდებათ სიტყვების შერჩევა და არ იყენებენ ლექსიკონს, არ ახდენენ სიტყვებისა და გამოთქმების პერიფრაზირებას და იმისთვის, რომ არ დაავიწყდეთ ენა, ის ხშირად უნდა გამოიყენონ პრაქტიკაში.

არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებისთვის ადვილია რეცეპტული, ანუ პასიური ფლობა უცხოური ენისა (მოსმენა, წაკითხვა და გაგება), ასევე არიან ისეთი ადამიანები, რომლებისთვისაც ადვილია პროდუქტიული, ანუ აქტიური დაუფლება უცხოური ენისა (საუბარი, წერა და საკუთარი აზრის გამოთქმა).

ზოგი ლექსიკას უფრო კარგად ფლობს, ზოგი კი – გრამატიკას. ასევე არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ყველა ამ სფეროს საშუალოდ ფლობენ.

უცხოურ ენაზე მოლაპარაკეები არ იბადებიან. განვითარება ცხოვრების მანძილზე პედაგოგიური ზეგავლენით და სათანადო პრაქტიკით ხდება.

უცხოური ენის განვითარებაზე, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს მემკვიდრეობითი ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებანი.

ცნობილია, რომ ნებისმიერი ენის სისტემაში არის ფონეტიკური, ლექსიკური, გრამატიკული და სტილისტური ნორმები, რომლებსაც ხმარობს ადამიანი პრაქტიკულ მეტყველებაში.

მათ, ვინც უცხოური ენის ფონეტიკას კარგად ფლობენ, აქვთ კარგი სმენა, შეუძლიათ ბგერების დიფერენცირება, კარგი არტიკულაციური მგრძნობელობა, რომელიც ხელს უწყობს ზუსტად წარმოთქვან უცხო ბგერები და კარგად დაეუფლონ უცხოური ენის საარტიკულაციო ბაზას; მათ შეუძლიათ დიფერენცირებული აღქმა და ინტონაციური თვისებების აღდგენა; აქვთ ავტომატიზირებული სამეტყველო მოძრაობების უნარი და მტკიცე სმენითი-მოტორული ასოციაციური კავშირი.

მოსწავლეს, რომელსაც ლექსიკური უნარი აქვს, გამოირჩევა კარგი ვერბალური მეხსიერებით, სიტყვების სწრაფად და ზუსტად გარჩევის ნიჭით; მას შეუძლია მარტივად მოიფიქროს

სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობა; დაიმახსოვროს უცხო სიტყვათშეთანხმებები; არ უჭირს სათანადო სიტყვის მოძიება აზრის გამოსახატავად.

მოსწავლეს, რომელმაც კარგად იცის გრამატიკა, შეუძლია გაარჩიოს სხვადასხვა მეტყველების ნაწილები და წინადადების წევრები, უცხო სიტყვებში იპოვოს ეტიმოლოგიური სტრუქტურა და გაარკვიოს მათი მორფოლოგიური თავისებურებები. მას ასევე შეუძლია მორფოლოგიურად და ეტიმოლოგიურად განასხვავოს სიტყვები; სწორად გამოიყენოს არტიკლი და ზუსტად შეათანხმოს სიტყვები.

სტილისტური ნიჭის მქონე მოსწავლეებს შეიძლება მივაკუთვნოთ ისეთები, რომლებსაც აქვთ უნარი ლექსიკური და გრამატიკული თავისებურებების განზოგადებისა.

ადამიანში კიდევ ორი უნარი არსებობს: აზროვნების უნარი უცხოურ ენაზე და ინტუიტურად წვდომის ნიჭი. უცხოურ ენაზე აზროვნების უნარი სრულიად არ არის ძირითადი პირობა ენის წარმატებით დაუფლებისთვის. უცხოური ენის დაუფლება არის ის პირობა, რომელიც შესაძლებელს ხდის აზროვნებას უცხოურ ენაზე. თუ მხედველობაში გვაქვს ფუნქიონალურ-დინამიკური თანაფარდობა უცხოურ ენასა და მოსწავლის აზროვნებაში, რა თქმა უნდა, ის ერთიანდება. ეს ერთიანობა ხდება სრულიად შეუძლებელი მაშინ, როდესაც ადამიანი არ ფლობს ენას ინტუიტურად. აზროვნების უნარი უნდა ჩავთვალოთ არა მარტო ძირითადად, არამედ ყველაზე მაღალ უნარად.

თუ ჩვენ გამოვყოფთ ადამიანის ისეთ მახასიათებელს, რომელიც განეკუთვნება ზემოთ ნახსენებ ორ თავისებურ ტიპს ენის დაუფლებისა, მაშინ გავიგებთ, რატომ მაინც და მაინც ინტუიტურ-მგრძნობიარე ტიპი ხასიათდება უფრო მეტი სრულყოფილებით, ვიდრე რაციონალურ-ლოგიკური. ის ხასიათდება მშობლიურ და უცხოურ ენას შორის კავშირით.

საბოლოო ჯამში მიიღეს (1) უცხოური ენის უნარის ექვსი კატეგორია, რომელთაგან ორი ჩათვალეს მთავარ უნარად (აზროვნება და ენის გრძნობა) და ოთხი არამთავარ უნარად (ფონეტიკური, ლექსიკური, გრამატიკული და სტილისტური). მთავარ და ძირითად უნარად ჩათვალეს ენის მიმართ მგრძნობელობა. დასახელებული უცხოური ენის უნარები შეიძლება თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად:



ბ. ბელიაევი ადარებს ნიჭს მცენარეს და პედაგოგს-მებაღეს. მებაღეს შეუძლია კარგად გაზარდოს მცენარე ცუდ ნიადაგზეც. კარგმა მასწავლებელმაც შეიძლება მიაღწიოს მაღალ განვითარებას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოსწავლეს არ აქვს ხელსაყრელი მონაცემები. გადამწყვეტი ფაქტორი ამ შემთხვევაში არის სწავლების მეთოდიკა, რომელიც ხელს უწყობს მასწავლებელს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში.

თარგმანი არ აძლევს მასწავლებელს შესაძლებლობას განუვითაროს მოსწავლეებს უცხო-

ური ენის ნიჭი.

უპირველესად, სკოლის კედლებში არ შეიძლება ისეთი უცხო გარემოს შექმნა, რომელიც ცხოვრებაში არ არის შესაძლებელი. მეორე მხრივ, ენის თეორიული ცოდნა ხელს უწყობს სამეტყველო ჩვევას. მესამე, უცხოური ენის ფლობა პირდაპირი ხერხით მოსწავლეს სწრაფად ასწავლის მის გამოყენებას მაშინაც, როცა შეწყვეტს სისტემატურ მეცადინეობას, რაც დიდად დამოკიდებულია ჩვევაზე; ჩვევა ხომ ცოდნით ვითარდება, და ბოლოს-პირდაპირი მეთოდი მოსწავლეს ასწავლის ელემენტარულ ლექსიკასა და გრამატიკას, რაც გათვალისწინებულია სასწავლო პროგრამით.

ამრიგად, ჯერ კიდევ წინა საუკუნის 50-იან წლებში ნათლად განასხვავეს უცხოური ენის დაუფლების ორი ტიპი. ეს ტიპოლოგია ეყრდნობოდა დაკვირვებას და უშუალო პედაგოგიურ გამოცდილებას. მისი შემოწმება ექსპერიმენტული გზით სისტემატურად არ ტარდება.

ლიტერატურა:

1. Ананьев Б. Г. Избранные Психологические Труды. Москва. 1980.
2. Беляев Б. В. Очерки по психологии обученя иностранному языку. Москва. (Essay of Psychology in Teaching the Foreign Language). Moscow. 1959.
3. Biggs J. B. Study process questionnaire. In: Biggs, J. B. (Ed.), Why and How. Do Hong Kong students learn? Using the learning and study process questionnaires, Education papers #14. Faculty of education, university of Hong Kong, Hong Kong, pp.117-124. 1992.
4. Bourdillon H. and Storey A. Aspects of Teaching and Learning in Secondary Schools. The Open University. London and New York. 2001.
5. Brown H. D. Principles of Language Learning and Teaching. 2nd edition. San Francisco State University. Prentice Hall Regents, Englewood Cliffs, NJ 07632. 1987.
6. Carroll J. B. and Sapon S. M. Modern language aptitude test. Psychological Corporation. New York. 1959.
7. Carter R. and Nunan D. The Cambridge Guide to Teaching English to Speakers of Other Language. Cambridge University Press. 2001.
8. Cook V. Second Language Learning and Language Teaching. Edward Arnold. A division of Hodder & Stoughton. London, New York, Melbourne, Auckland. 1991.
9. Hatch E. Second language acquisition. Rowley, Mass.: Newbury House. 1978.
10. Krashen S. Principles and Practice in Second Language Acquisition. Phoenix ELT. Prentice Hall. Macmillan. 1995.

RUSUDAN GOGOKHIA

INDIVIDUAL-TYPOLOGICAL APPROACHES IN FOREIGN LANGUAGE ACQUISITION

Summary

The paper explores the individual-typological approaches in foreign language acquisition and describes two types of humans: rational-logical and intuitive-receptive. In the first case the language learners rely on the mental operation. They consider that it is impossible to learn language perfectly without theory.

Special Attention is paid not only to the mental side of the conversation, but also to linguistic peculiarities. Language acquisition process is becoming receptive. The learners with intuitive and receptive type learn the language in a practical way. They do not see the necessity of theoretical knowledge and master language not only receptive but also productive.

As a result six categories of foreign language skills have been singled out, two of which are considered as main skills (thinking and language feeling) and four as non-main ones (phonetic, lexical, grammatical and stylistic).

Thus, early in the last century of the 50s the two types of mastering a foreign language were clearly distinguished. This typology was based on direct observation and teaching experience.

ნათელა ფარცხალაია

ეთიკურ-პედაგოგიური იდეები საზღვარგარეთის სოციალური და პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში

მასწავლებლის მორალური სახე და მისი პირადი მაგალითი მუდამ იყო და იქნება აღზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი. ჭეშმარიტ პედაგოგს გათავისებული უნდა ჰქონდეს როგორც ეთიკის კატეგორიები, ასევე ეთიკის მეცნიერებაში გამოყოფილი ზნეობის პრინციპები: ბედნიერება, ღირსება, თავმოყვარეობა, სინდისი, შრომისმოყვარეობა, პატრიოტიზმი, ჰუმანიზმი და ა.შ.

აღზრდასა და სწავლებაში ეთიკური ნორმების დაცვას დიდი ყურადღება ექცეოდა ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან. ანტიკური საზოგადოების ფილოსოფოსები, რომელთა შრომებში მოცემულია საინტერესო იდეები აღზრდისა და სწავლების შესახებ, პედაგოგიური ეთიკის საკითხებზე გამოთქვამდნენ სხვადასხვა მოსაზრებას.

მაგალითად, დემოკრიტე (ძვ.წ. 460-370 წწ.) საუბრობს იმის აუცილებლობაზე, რომ აღზრდა უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის ბუნებას. იგი ყურადღებას ამახვილებს ბავშვის ცნობისმოყვარეობის გამოყენებაზე, როგორც სწავლების საყრდენზე, სწავლების ფასეულობასა და მის გარდამქმნელ ძალაზე, დარწმუნების უპირატესობაზე დაძალების საშუალებებთან შედარებით, უარყოფითი მაგალითების მავნებლობაზე: „....აღზრდა გარდაქმნის ადამიანს, გარდაქმნისას უქმნის (მას მეორე) ბუნებას“;[1] „არც ხელოვნება, არც სიბრძნე არ შეიძლება იქნეს მიღწეული, თუ იგი არ ისწავლება“;[2] „კეთილშობილების თვალსაზრისით უკეთესი იქნება ის, ვისაც უბიძგებს მისკენ შინაგანი ლტოლვა და სიტყვიერი დადასტურება, ვიდრე კანონი და ძალა“;[3] „მუდმივი ურთიერთობა უარყოფითთან ანვითარებს უარყოფით საწყისებს“;[4] „ბავშვთა აღზრდა სარისკო საქმეა, ვინაიდან წარმატების შემთხვევაში ბოლოს ხსენებული შეძენილია დიდი შრომის და ზრუნვის ფასად, წარუმატებლობის შემთხვევაში კი უბედურება არ შეედრება არც ერთ სხვას“.[5]

სპარტანული აღზრდის სისტემის პედაგოგიურ ეთიკაზე ზოგად წარმოდგენას გვაძლევს პლუტარქეს (ახ.წ 46-120 წწ.) ბიოგრაფიები. სპარტაში ბავშვებთან მიმართებაში სიმკაცრე და სისასტიკე განიხილებოდა როგორც მამაცი, თამამი და გაკაჟებული ადამიანების აღზრდის საშუალება, რომლებიც შეძლებდნენ სასტიკად გამკლავებოდნენ მონებს. აღზრდაში მონაწილეობას იღებდა მთელი საზოგადოება, ოჯახური აღზრდა იყო უგულებელყოფილი. ბავშვებთან დამოკიდებულება, ფაქტობრივად, განსაზღვრული იყო აღზრდის მიზნებითა და ამოცანებით, რომლებიც ნაკარნახევი იყო მმართველი კლასის მოსაზრებებით და მისი მოთხოვნილებით განსაზღვრული ტიპის პიროვნებებზე, რომლებიც შეუწყობდნენ ხელს ბატონყმური ურთიერთობების შენარჩუნებას.[6].

პლატონი (ძვ.წ. 427-347 წწ.) ამტკიცებდა აღმზრდელის ნებაზე ბავშვების დამორჩილების აუცილებლობის იდეას, მათზე მუდმივი კონტროლის აუცილებლობას, მორჩილების და კეთილსინდისიერების მაღალი შეფასების და „მუქარის და დარტყმის“ გამოყენებას დაუმორჩილებლობის შემთხვევაში: „მას (აღმზრდელს – ავტ. შენ) არ შეუძლია არაფრის თქმა ან გაკეთება იმის

[1] Демокрит в его фрагментах и свидетельствах древности. М.,Соцэкгиз. 1935, фрагмент 615.
[2] Материалисты древней Греции. М., Госполитиздат. 1955, стр. 157.
[3] იქვე.
[4] იქვე გვ,172.
[5] იქვე, გვ.173.
[6] Плутарх. Сравнительные жизнеописания. «Ликург». Т.1. М., Изад-во АН СССР, 1961, стр. 63-72.

გარეშე, – ამბობდა პლატონი, – რომ არ მიეთითებინა, აი ეს სამართლინია, ის კი უსამართლო, რომ ეს ქების ღირსია, ის კი არ გააკეთო“.[7] მაგრამ მიუხედავად ამისა, პლატონი აღმზრდელებს მოუწოდებდა, თავი შეეკავებინათ უხეში ძალმომრეობისაგან. იგი აღნიშნავდა, რომ პედაგოგმა მოზარდებთან ურთიერთობისას უნდა დაიცვას ეთიკური ნორმები, გამოიყენოს ალერსის მეთოდები, რათა მოზარდები მიეჩვიონ დადგენილი წესებისა და კანონების მორჩილებას.

მოზარდი თაობის აღზრდაში ეთიკური ნორმების დაცვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არისტოტელეც (ძვ.წ. 384-322 წწ.). იგი აღზრდას თვლიდა სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ. არისტოტელეს აღზრდის ძირითად მხარედ მიაჩნდა მორალური ცნებებისა და წესების დაცვა, დაუფლება, მაგრამ ამ წესების დაუფლება უნდა ხდებოდეს არა წიგნების საშუალებით, არამედ ყოველდღიური პრაქტიკით. ამის დამამტკიცებელია ერთ-ერთი ეპიზოდი არისტოტელეს ცხოვრებიდან. არისტოტელესთან მივიდა ერთი ახალგაზრდა რჩევისთვის, რომელმაც უთხრა: მოხუცებულები თანდათან კარგავენ გონივრული მოქმედების უნარს და აუტანლები ხდებიან ახლობლებისთვისო, მითხარით, როგორ დავაღწიოთ თავი ასეთ მოხუცებულებს, ხომ არ ჯობს, სანამ მოვხუცდები, თავი მოვიკლაო? – არა, სანამ ახალგაზრდა ხარ და გონიერი, სრულყავი შენი ქცევები და როცა ისინი ჩვევად გექცევა, მოხუცებულობისას შენი გონების დაუხმარებლადაც კარგად მოიქცევი, რადგან ასე მოქცევა შენი ცხოვრების წესი გახდება, – უპასუხა არისტოტელემ.

პროფესიულ დონეზე პედაგოგის ეთიკის საკითხები პირველად წამოაყენა რიტორიკის სკოლის ზედამხედველმა რომში კვინტილიანემ (ახ.წ. 42-118 წწ.) – „ორატორის აღზრდაზე“ ნაშრომის ავტორმა, რომელშიც მოიძებნება ცალკეული გამონათქვამები მასწავლებლის ეთიკის შესახებაც. მ. კვინტილიანეს რეკომენდაციები პედაგოგიური გამოცდილების შეჯამებაა – ისინი აპელირებენ საღ აზრთან, ხელს უწყობენ აღზრდის წარმატებას. კვინტილიანე აფრთხილებდა მასწავლებელს, თავი შეეკავებინა დაძალებისგან, რათა ბავშვს არ შეჯავრებოდა სწავლა და მიმართავდა მას დადებითი გრძნობების გამოყენებაზე: „სწავლა უნდა იყოს მისთვის სახალისო; უნდა წაახალისოთ იგი ხან თხოვნით, ხან შექებით, მიიყვანოთ იგი ისეთ განწყობამდე, რომ მას უხაროდეს, როდესაც რამეს ისწავლის და შურდეს, როდესაც ასწავლიან სხვას, თუ იგი ზარმაცობს“.[8] მას ჰქონდა უარყოფითი დამოკიდებულება ფიზიკური დასჯის მიმართ, რომელიც მაშინ გავრცელებული იყო. ამ ზომებს თვლიდა მხოლოდ მონების შესაფერისად.

შუა საუკუნეებში საზოგადოება თითქმის არ იყო დაინტერესებული პედაგოგიური ეთიკის საკითხებით. სწავლის ძირითად შინაარსს წარმოადგენდა რელიგია – ყველა დანარჩენი სასწავლო საგანი ექვემდებარებოდა მას. ინერგებოდა დოგმატური აზროვნება, გამოიყენებოდა დაზუთხვის მეთოდი. სწავლების პროცესი იყო მტანჯველი (თანაც, სწავლება ევროპაში ხდებოდა არა მშობლიურ ენაზე, არამედ – ლათინურზე). მკაცრი დისციპლინა და ფიზიკური დასჯა განიხილებოდა როგორც სწავლების და აღზრდის განუყოფელი ატრიბუტი. აღსაზრდელის პიროვნება იყო ჩახშობილი, ინერგებოდა შიში და მორჩილება. შუა საუკუნეების განათლების კრიტიკა ჩნდება აღორძინების ხანაში. სქოლასტიკის უარყოფით შეფასებას შეიცავს ფ. რაბლეს (1446-1538 წწ.) „გარგანტუა და პანტაგრუელი“, მ. მონტენის (1533-1592 წწ.) „ცდები“, ე. როტერდამელის (1446-1538 წწ.) „სისულელის ქება“, ტ. მორის (1478-1535 წწ.) „უტოპია“. მიუხედავად იმისა, რომ მათ ნაწარმოებებში საგანგებოდ არ იყო განხილული პედაგოგიური ეთიკის საკითხები, სქოლასტიკური სწავლების კრიტიკის პროცესში, მათ არ შეეძლოთ არ შეემჩნიათ ამ მიმდინარეობის უარყოფითი მხარეები, კერძოდ, ანტიჰუმანისტური დამოკიდებულება მოსწავლეების მიმართ.

ჯ. ლოკმა (1632-1704 წწ.) თავის პედაგოგიურ სისტემაში დიდი ყურადღება მიაქცია მოსწავლისა და მასწავლებლის ზნეობრივ ურთიერთობას. იგი უდგებოდა აღზრდას უტილიტარიზ-

[7] Хрестоматия по истории зарубежной педагогики. М., «Просвещение». 1971. стр. 20.
[8] Глебовский В. А. Древние педагогические писатели в биографиях и образцах. СПБ, 1903, стр. 97.

მის პოზიციებიდან და თვლიდა, რომ ჯენტლმენის მომავალი პრაქტიკული საქმიანობისთვის მომზადების პროცესში, პირველ რიგში, რეკომენდებულია ყურადღება მიექცეს მის ჯანმრთელობას, დახვეწილ მანერებს, გამძლეობასა და თავშეკავებულობას. ჯ. ლოკი თვლიდა, რომ „ასეთი მიდგომით შესაძლებელია მასში მომავალი ცოდნის მიმართ სურვილის შენარჩუნება“[9] და ბავშვი აითვისებს სამჯერ უფრო მეტს, ვიდრე აითვისებდა სურვილის გარეშე. გამოდიოდა რა დაძალების და ფიზიკური დასჯის წინააღმდეგ, იგი ამტკიცებდა, რომ „...მონური დისციპლინა ქმნის მონურ ხასიათს“.[10]

ბავშვების აღზრდაში ჯ. ლოკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მასწავლებლის მაგალითს. „მისი (მასწავლებლის) ქცევა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მის მითითებებს... ცუდი მაგალითები, უდავოდ, კარგ წესებზე უფრო ძლიერად მოქმედებენ და ამიტომ მან ყოველთვის უნდა დაიცვას თავისი აღსაზრდელი ცუდი მაგალითების ზემოქმედებისგან“.[11] ჯ. ლოკის დამოკიდებულებაში სწავლისადმი გამოიხატება ბურჟუაზიული შეხედულება ცოდნის მნიშვნელობაზე.

სწავლების ფეოდალური სისტემა, მასში ჩამოყალიბებული უთანასწორობის ურთიერთობით მკვეთრად გააკრიტიკა გამოჩენილმა ფრანგმა მოაზროვნემ ჟ. ჟ. რუსომ (1712-1778 წწ.). იგი ამტკიცებდა, რომ სკოლა და აღმზრდელები დასნეულებულნი არიან ცოდვებით და ბავშვის მშვენიერი სულის მხოლოდ დამახინჯება შეუძლიათ. იგი თვლიდა, რომ ბავშვის აღზრდა შესაძლებელია მხოლოდ ოჯახის ჩარჩოებში უაღრესად განათლებული აღმზრდელის მიერ, ბავშვის მიმართ ჰუმანური დამოკიდებულებით.

ზნეობრივი აღზრდის ამოცანების ამოხსნაში, ჟ. ჟ. რუსო ძალზედ მნიშვნელოვნად თვლიდა მასწავლებლის მიერ მოსწავლის მიმართ კეთილ განწყობას და აფრთხილებდა აღმზრდელს, რომ თავი შეეკავებინა შესაძლო უსამართლობისგან ბავშვის მიმართ, რომელიც იწვევს აღმზრდელის დიდ ტანჯვას.

თავის პედაგოგიურ ჰუმანისტურ ნააზრევში რუსო არ იყო თანმიმდევრული. გოგონების აღზრდაზე საუბრისას მას თითქოს ავიწყდებოდა თავისუფლება, რომელსაც იგი „ადამიანის ბუნებრივ უფლებად“ თვლიდა და გამოთქვამდა რჩევას, რომ ისინი მორჩილებაში ჰყოლოდათ, ესწავლებინათ მათთვის უსამართლობისა და ჩივილის გარეშე წყენის გადატანა.

აღზრდაში ზნეობრივ ურთიერთობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კ. ჰელვეციუსი დ. დიდრო და პ. ჰოლბახი, რომლებმაც განაცხადეს ადამიანთა ბუნებრივი თანასწორობის შესახებ და ხაზი გაუსვეს საზოგადოებრივი აღზრდის დიდ როლს.

აღზრდაში ყველაზე გადამწყვეტია აღმზრდელის, მასწავლებლის საკუთარი საქციელი. არ იფიქროთ, თითქოს ბავშვს ზრდით მხოლოდ მაშინ, როცა ელაპარაკებით და ჭკუას არიგებთ, ან უბრძანებთ მას. თქვენ მას ზრდით თქვენი არსებობის ყოველ მომენტში, მაშინაც კი, როდესაც შინ არ ხართ. როგორ ელაპარაკებით სხვებს, როგორ მხიარულობთ, ან წუხართ. თუ გვინდა აღვზარდოთ სრულყოფილი და მტკიცე ნებისყოფის მქონე მომავალი თაობა, აუცილებელია, ვიყოთ მისდამი მომთხოვნი და პრინციპული, მაგრამ ამავე დროს მისი პატივისმცემელი, მისდამი ტაქტიანი, რადგან პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა თვალსაზრისით, ძალზედ საყურადღებოა და ანგარიშგასაწევია აღზრდაში ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა ტაქტი და მიდგომა. და ბოლოს, თუ ქირურგისგან ვითხოვთ ოპერაციის კარგად გაკეთებას, თუ ხელოვანს ვთხოვთ იფიქროს თავის შემოქმედებაზე, საზოგადოებასაც აქვს უფლება იცნობდეს იმ ადამიანს, მის გონებრივ შესაძლებლობებს, რელიგიურ კუთვნილებას, ზნეობრივ სახეს, ვისაც მომავალი თაობის აღზრდას ანდობს.

---

[9] Локк Д. Педагогические сочинения. М., 1939.
[10] იქვე, პარ. № 50.
[11] იქვე.

პედაგოგიური მორალი ხდება არა მარტო ანარეკლი, არამედ განსაზღვრული დამოუკიდებლობის, ავტონომიურობის, სპეციალური ფუნქციების მქონე სულიერი რეალობა. თვით პედაგოგიური მორალი ხდება გააზრების, შესწავლის, ანალიზის და ათვისების ობიექტი; იგი გარდაიქმნება ძალად, რომელიც ზემოქმედებს ადამიანებზე, მათ ქცევაზე; იგი მართავს მასწავლებელს ამ ნორმების მართებულად გამოსაყენებლად, ვინაიდან შეცდომას აქ შეიძლება სერიოზული შედეგი მოჰყვეს.

პედაგოგიური მორალი არის ზნეობრივი მოთხოვნების სისტემა, რომელიც წაეყენება მასწავლებელს საკუთარ თავთან და თავის პროფესიასთან, საზოგადოებასთან, ბავშვებთან და სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის ყველა მონაწილესთან დამოკიდებულებისას. ის წარმოადგენს მასწავლებლის ერთ-ერთ რეგულატორს პედაგოგიურ მოღვაწეობაში. პედაგოგიური მორალის მოთხოვნების სისტემა არის გამოხატულება მასწავლებლის პროფესიული მოვალეობისა, მისი ზნეობრივი ვალდებულებისა საზოგადოებისა და იმ საქმის წინაშე, რომელსაც იგი ემსახურება.

ლიტერატურა:

1. შუშანაშვილი გ., გაბიძაშვილი ო., ასათიანი გ., ეთიკა, თსუ, 2001.
2. Демокрит в его фрагментах и свидетельствах древности. М.,Соцэкгиз. 1935, фрагмент 615.
3. Материалисты древней Греции. М., Госполитиздат. 1955, стр. 157.
4. Плутарх. Сравнительные жизнеописания. «Ликург» Т.1. М., Изад-во АН СССР, 1961, стр. 63-72.
5. Хрестоматия по истории зарубежной педагогики. М., «Просвещение». 1971, стр. 20.
6. Глебовский В. А., Древние педагогические писатели в биографиях и образцах. СПБ, 1903, стр. 97.
7. Локк Д. Педагогические сочинения. М., 1939.

NATELA PARTSKHALAIA

ETHICAL-PEDAGOGICAL IDEAS IN THE FOREIGN SOCIAL AND PEDAGOGICAL THINKING HISTORY

Summary

The paper discusses the opinions of classics of Pedagogy giving great importance to protection of ethical standards by teachers. They think that the pedagogy of ethics should be considered as educational activities based on the categories of ethical and moral principles.

ნატო როდონაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ექსპერტ-მშენებლის საგამომძიებლო ორგანოებთან და სასამართლოსთან ურთიერთქმედების ასპექტები და ფორმები

სასამართლო სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზა (სსტე), როგორც სასამართლო საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის სახეობა, მნიშვნელოვან და ხანდახან გადამწყვეტ როლს თამაშობს:

- მშენებლობაში რღვევის, ავარიებისა და უბედური შემთხვევის შესახებ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებასა და სასამართლო გარჩევებში;

- უძრავი ქონებისა და საკუთრების უფლების, შენობების, ნაგებობებისა და შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულებისა და ხარისხის შესახებ სამოქალაქო დავების საერთო იურისდიქციის და საარბიტრაჟო სასამართლოში განხილვისას;

- ადმინისტრაციული კანონდარღვევების შესახებ საქმეების გამოძიებაში, რომლებიც დაკავშირებულია სამშენებლო ობიექტების მშენებლობის და ექსპლუატაციის სისწორისა და კანონზომიერების დადგენასთან.

ბოლო წლებში მშენებლობის ტემპებისა და მასშტაბების ზრდას აქვს სოციალურად მნიშვნელოვანი, დადებითი და, სამწუხაროდ, სერიოზული ნეგატიური ასპექტები, რომლებიც დაკავშირებულია შემდეგი შემთხვევების მუდმივ ზრდასთან: სამშენებლო ორგანიზაციების თანამშრომლების დაღუპვა და ტრავმირება, აგებული და ექსპლუატაციაში მიღებული შენობების ჩამონგრევა, რასაც ხშირად თან ახლავს როგორც მრავალრიცხოვანი ადამიანური მსხვერპლი, ისე მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი. ამის მიზეზია-თანამდებობრივი უფლებამოსილების დანაშაულებრივი, ბოროტად გამოყენება, გულგრილობა-დაუდევრობა, სამუშაოების წარმოების წესების დარღვევა სამშენებლო ინდუსტრიის სხვადასხვა დარგში. შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ხარისხისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა სამშენებლო ობიექტების აგებისას და ექსპლუატაციისას თანამედროვე პირობებში აღარ არის შიდა დარგობრივი პრობლემა, არამედ იგი ხდება ერთ-ერთი უმთავრესი საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანა. მისი გადაწყვეტისას აუცილებელია განვიხილოთ სამეცნიერო-ტექნიკური, მმართველობითი და ფინანსურ-ეკონომიკური ასპექტები, აგრეთვე კანონებით უზრუნველყოფის საკითხები.

მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს იმ პირების პასუხისმგებლობის დაყენებას, რომლებიც დამნაშავეები არიან სამშენებლო ობიექტების არ უზრუნველყოფაში. ასეთი სახის დანაშაული სისხლის სამართლის შემადგენლობისა და კვალიფიკაციის ყველა განსხვავებით, შეადგენს კრიმინალისტიკური მახასიათებლების თვალსაზრისით, საზოგადოებისთვის საშიში ქმედებების ერთიან („მონათესავე“) ჯგუფს, რადგანაც მათი ჩადენისა და გახსნის საფუძველში დევს შემდეგი სისტემა – წარმომქნელი ფაქტორების საერთო კომპლექსი:

- ასეთი სახის ყველა დანაშაულს ჩადიან სუბიექტები, რომლებიც მოქმედებენ ეკონომიკის ერთ სფეროში-სამშენებლო წარმოებაში;

- დანაშაული ჩადენილია პირების მიერ, მათი პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში და ვლინდება მისი მარეგლამენტირებელი ნორმებისა და წესების დარღვევაში;

- დანაშაულის მექანიზმის ელემენტებად გვევლინება მასალები, მოწყობილობები, სამშენებლო ტექნიკა და სხვა საგნები, რომლებიც გამოიყენება სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას;

- დანაშაულებრივი ქმედების კვალი სამშენებლო სფეროში პოულობს თავის ასახვას, როგორც თვითონ სამშენებლო წარმოების პროდუქციაში, ისე შესაბამის დოკუმენტაციაში.

სამშენებლო სფეროში დანაშაულის წარმატებულ გამოვლენასა და გახსნას უზრუნველყოფს სისხლის სამართლის გამომძიებელი სუბიექტების მიერ სპეციალური სამშენებლო-ტექნიკური ცოდნის გამოყენებით სისხლის სამართლის საქმის წამოწყების წინასწარი გამოკვლევის სტადიაზე. სპეციალური ცოდნა საშუალებას იძლევა დადგინდეს დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებები და მიღებული იქნეს დასაბუთებული გადაწყვეტილებები სასამართლო განხილვის მსვლელობისას. განსახილველი კატეგორიის საქმეების ძიების და სასამართლო პრაქტიკის განზოგადება აჩვენებს, რომ ცოდნა ყოველთვის არ გამოიყენება, იმ დროსაც კი, როცა ეს ძლიერ აუცილებელია, ან გამოიყენება არასრული ზომით და არა დადგენილი სახით, რაც თავის მხრივ იწვევს სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე დაუსაბუთებელ უარს, ან პირიქით, მათ აღძვრას არასაკმარისი საფუძვლით; განუსაზღვრელად იზრდება გამოძიების ვადები, დამნაშავეები თავს აღწევენ სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, რაც აგრეთვე ართულებს ან შეუძლებელს ხდის მშენებლობასთან დაკავშირებული შემთხვევის და ნეგატიური მოვლენის მიზეზების გამოვლენას.

სპეციალური სამშენებლო-ტექნიკური ცოდნა აუცილებელია სისხლის სამართლის სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე წარმოქმნილი პრობლემების ყველაზე ფართო წრისათვის. ეს განპირობებულია:

- ორგანიზაციისა და სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროფესიონალური ხასიათით, მათი ტექნოლოგიური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფით;

- მშენებლობის სფეროში დანაშაულის ჩადენის მექანიზმის კავშირით სამშენებლო სუბიექტების პროფესიულ-საქმიანობასთან – სამშენებლო დარგში მცოდნე პირებთან;

- კრიმინალისტიკური თვალსაზრისით – არატრადიციული ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენის, დათვალიერებების, ფიქსაციისა და გამოკვლევის სირთულით, აგრეთვე შემთხვევის მატერიალური კვალის და მისგან განპირობებული შედეგების შემცველი ნორმატიული, ტექნოლოგიური და სხვა დოკუმენატაციის შესწავლის აუცილებლობით;

- სამშენებლო სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული დანაშაულის გამოვლენისა და გახსნისას სპეციალური ცოდნა გამოიყენება, როგორც პროცესუალური, ისე არაპროცესუალური ფორმით (გამომძიებლისათვის საკონსულტაციო დახმარების აღმოჩენა, მისთვის სპეციალური ლიტერატურის, მონაცემების წარდგენა და ა. შ.). პირველ შემთხვევაში მცოდნე პირის მონაწილეობაში იგულისხმება მისი, როგორც სპეციალისტის მონაწილეობა გამოძიების პროცესში – შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ტექნიკური და სხვა დოკუმენტაციის გამოთხოვა, სამშენებლო წარმოების ხელმძღვანელებისა და რიგითი თანამშრომლების დაკითხვა და ა.შ. და რაც მთავარია, სსტე-ს ჩატარება. საქმისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სპეციალისტისა და ექსპერტის დაკითხვას წინასწარი გამოძიებისას სასამართლოში.

სამართლებრივი რეგულირების დონიდან გამომდინარე, არსებობს შემდეგი ფორმები: პროცესუალური (გათვალისწინებული უშუალოდ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიერ განხილვადი კატეგორიის საქმეებთან მიმართებაში) და არაპროცესუალური, რომელიც გამომდინარეობს კანონის არსიდან და გათვალისწინებულია საუწყებო ნორმატიული აქტებით.

საპროცესო ფორმა გულისხმობს მოკვლევითი ორგანოების (მოკვლევის მწარმოებელი პირის) მიერ გამომძიებლის ან მშენებლობის სფეროში გათვითცნობიერებული პირის ჩართვას საგამომძიებლო (სასამართლო) მოქმედებებში სპეციალისტის როლში მონაწილეობის მიღების მიზნით ან სასამართლო სამშენებლო ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებას (შემდგომში სასამართლო სამშენებლო ტექნიკური ექსპერტიზა). ცნობითი ხასიათის მონაცემები, რომლებიც წარმოდგენილია მშენებელ-სპეციალისტის მიერ გამომძიებლის (სასამართლოს) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე განხილვად საქმესთან დაკავშირებით, ასევე იძენენ პროცესუალურ ფორმას და შეიძლება გამოყენებულ იქნენ საქმის მტკიცებულების სახით. იმისთვის, რომ გამოძიების განმახორციელებელი პირისა და მშენებლობის სფეროში გათვითცნობიერებული პირის ურთიერთქმედება იყოს განსაკუთრებულად ნაყოფიერი, იგი, ჩვენი აზრით, უნდა განხორციე-

ლებული იქნეს ექსპერტიზის ჩატარების ყველა ეტაპზე: მისი დანიშვნის, გამოკვლევის ჩატარების და ექსპერტის დასკვნითი ნაწილის გამოტანის დროს, რიგ შემთხვევაში, ექსპერტიზის ჩატარებისას მიზანშეწონილია მისი დასწრება, რაც გათვალისწინებულია კანონით. ეს ხელს შეუწყობს საექსპერტო გამოკვლევის მეთოდიკის უკეთ გათვითცნობიერებას, ექსპერტის დასკვნების სწორ შეფასებას, მათი მნიშვნელობისა და ადგილის განსაზღვრას საქმესთან დაკავშირებულ მტკიცებულებებში, მოგვცემს დამატებითი და განმეორებითი ექსპერტიზების, ასევე ექსპერტის მიერ გაკეთებული დასკვნის შესახებ ახსნა-განმარტებების მიცემის მიზნით დაკითხვაზე არასაჭირო გამოძახების თავიდან აცილების საშუალებას. ექსპერტიზის დანიშვნის წინა პერიოდში გათვითცნობიერებული პირი შეძლებს დახმარების აღმოჩენას იმ შეკითხვების სწორად ფორმულირებაში, რომლებიც დაისმება ექსპერტების წინაშე.

ურთიერთქმედება არაპროცესუალურ ფორმაში ახდენს რეალიზაციას სპეციალისტ-მშენებლის ზეპირი ან წერილობითი კონსულტაციების სახით, რომლებსაც გააჩნიათ ორიენტირებადი მნიშვნელობა და რომლებიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულება. მაგალითად, თუ უბედური შემთხვევა მოხდა სამშენებლო ობიექტის ჩამონგრევის შედეგად, გამომძიებელს შეიძლება ეცნობოს, რომ მომხდართან დაკავშირებული მიზეზების დადგენის მიზნით აუცილებელი გამოკვლევების ჩატარებისას ექსპერტმა თავის განკარგულებაში უნდა მიიღოს საპროექტო და აღმასრულებელი დოკუმენტაცია, ასევე ის დოკუმენტაცია, რომლებიც ასახავენ სამშენებლო ობიექტის ექსპლუატაციის პროცესს. მათი შესწავლა საშუალებას მოგვცემს მოვიძიოთ ფაქტები მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დარღვევის შესახებ, რომლებმაც ობიექტის პროექტირების, აგებულების, რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის ამა თუ იმ ეტაპზე გამოიწვიეს დარღვევები, ასევე განვსაზღვროთ მიზეზობრივი კავშირები დაშვებულ შეცდომებსა და გამოწვეულ შედეგებს შორის.

ურთიერთქმედებების არაპროცესუალური ფორმები ასევე ითვალისწინებენ მშენებლობის სფეროში გათვითცნობიერებული პირების მიერ სამართალდამცავი ორგანოებისთვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

კონტროლისა და აღრიცხვის, გამოყენებადი საშუალებებისა და აღჭურვილობის, საქმესთან დაკავშირებული შესამოწმებელი საქმიანობის, მისი სტრუქტურისა და სპეციფიკის, ძირითადი მიმართულებების განხორციელების პირობების დაცულობის რეჟიმი, ტექნოლოგია ორგანიზაცია;

დოკუმენტის დახასიათება, რომელიც ასახავს სამშენებლო კომპანიის საქმიანობას, საბუთების ბრუნვის წესრიგსა და თავისებურებებს, დოკუმენტების შესაძლო ადგილსამყოფელს;

სპეციალური ტექნიკური, სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურა, რომელიც შეიცავს მონაცემებს საქმეში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით;

საკითხების განხილვა, რომლებიც ექვემდებარება სასამართლო სამშენებლო ტექნიკური ექსპერტიზის მიერ ნებართვის მიცემას, იმ სპეციალისტების მოძიება, რომელთა წარმოებაში ჩართვა და საგამოძიებო (სასამართლო) მოქმედებებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება მიზანშეწონილია, საწარმოების და დაწესებულებების შერჩევა, რომლებშიც შეიძლება ჩატარდეს ექსპერტიზა;

განსაზღვრული დროით გამოძიებისთვის აუცილებელი სამსახურებრივი ფართების, სპეციალური საზომი ხელსაწყოების, ტელეფონების, აპარატურისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გადაცემა.

განსახილველი ურთიერთქმედებები ასევე ითვალისწინებენ შემდეგს:

იმ გარემოებების ერთობლივი განხილვა, რომლებიც ექვემდებარება დეტალურ გაცნობას, დაგეგმილი სამუშაოების საორგანიზაციო საკითხებს და მათი რეალიზაციის პროგრამებს;

შეკრებილი ინფორმაციისა და მოსაზრებების ტაქტიკურად დასაბუთებული გაცვლა;

სპეციალისტების განმარტებების, დაზუსტებების, კომენტარების მიღება ჩატარებული გამოძიების (სასამართლო გარჩევის) შედეგებთან დაკავშირებით, გაუთავლისწინებელი საშუალებების, მეთოდების, არსებული სირთულეების, პრობლემების გადაჭრის საშუალებების, შეგ-

როვებული მონაცემების შემოწმების ოპტიმალური გზების მოძიება და ა. შ.

ჩადენილი (ჩადენის პროცესში მყოფი) დანაშაულის შესახებ შეტყობინებების ერთობლივი შემოწმება;

სამშენებლო ორგანიზაციის საპროექტო, ტექნიკური და სხვა დოკუმენტაციის, ტექნოლოგიური, ფინანსური სქემების, ჯაჭვების, ოპერაციების, რაციონალური წინადადებების, „არანორმატიული“ სამშენებლო კონსტრუქციების ერთობლივი შესწავლა და განხილვა;

უბედური შემთხვევების ავარიების, სამშენებლო ობიექტების ნგრევების თავიდან აცილების მიზნით, შესაბამისი ზომების შემუშავება და გეგმის დასახვა როგორც კონკრეტულ სამშენებლო ორგანიზაციასთან მიმართებაში, ასევე რეგიონალურ, დარგობრივ მასშტაბში და გეგმების რეალიზაცია (მაგალითად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამოსვლა, პუბლიკაციების მომზადება სპეციალურ პერიოდულ გამომცემლობებში);

საკონტროლო-საზედამხედველო ორგანოების თანამშრომლების მიერ სამართალდამცავი ორგანოების დროული შეტყობინება უბედური შემთხვევების, ავარიების, სამშენებლო ობიექტების ნგრევების, სამსახურებრივი გამოძიების დაწყებისა და დასრულების შესახებ. ასევე მათთვის გამოძიების მასალების გადაცემა დანაშაულის ჩადენის ფაქტის მოძიების შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მიზნით;

სამართალდამცავი ორგანოების მიერ საკონტროლო-საზედამხედველო ორგანოების თანამშრომლებისათვის დახმარების გაწევა, აუცილებლობის შემთხვევაში, მათი სიტუაციაში ჩართვა. ეს მოითხოვს სამართლებრივი და ოპერატიული-სამძებრო ხასიათის ზომების განხორციელებას სამსახურებრივი გამოძიების ფარგლებში, რომელსაც ატარებენ სპეციალისტები (მაგალითად, საცხოვრებელი სახლიდან გასული მოწმეების ახალი საცხოვრებელი ადგილის მისამართის გარკვევა, დაზარალებულების გამოვლენა და ა. შ.);

სამართალდამცავი ორგანოებისათვის წინა შემოწმებების და გამოძიების მასალების წარდგენა, რომლებიც ჩატარდა საკონტროლო-საზედამხედველო ორგანოების მიერ შემოწმებული ორგანიზაციებისა და პირების მიმართ.

გამომძიებელს (მოსამართლეს) შეუძლია, რაც სავსებით სამართლიანია, მოითხოვოს მხოლოდ კონკრეტული ექსპერტის დანიშვნა სამუშაო კონტაქტის (ე.ი. უშუალო ურთიერთქმედების) წესის შესაბამისად, მაგრამ არ გააჩნია დავალების მიცემის უფლება, ვინაიდან ყოველივე ზემოთქმული ნიშნავს სხვის კომპეტენციაში შეჭრას. გამომძიებელს (მოსამართლეს) შეუძლია კონკრეტული ექსპერტის (ექსპერტების) დანიშვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერტიზა ტარდება საექსპერტო დაწესებულების გარეთ. ამასთანავე, ხორციელდება მისი უშუალო კონტაქტი გათვითცნობიერებულ პირთან.

ლიტერატურა:

1. კაცაძე ა., „სასამართლო სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზის თანამედროვე მდგომარეობის, პრობლემებისა და ამოცანების მიმოხილვა“, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“, №8 (10), თბილისი, 2013, გვ. 129-135.
2. Бертовский Л. В., Образцов В. А. Выявление и расследование экономических преступлений. М., 2003.
3. Орлов Ю. К. Использование специальных знаний в уголовном судопроизводстве, учеб.пособие. Вып., 3. Судебная экспертиза, процесуальная форма. 2004.
4. Шамсеева Л. И. Понятие, сушность и формы взаимодеиствия следователя со сведушим лицом- криминалистом, 1986.

NATO RODONAIA

EXPERT-BUILDER'S INTERACTION ASPECTS AND FORMS WITH INVESTIGATIVE BODIES AND THE COURT

Summary

The paper discusses the role of the expert-builder in the court proceedings, various aspects of the interaction with the court which is one of the important preconditions for the effectiveness of the proceedings.

ვალერიან რამიშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თავისუფლების დისკურსი და პასუხისმგებლობა

თანამედროვე ადამიანი გლობალურ, მულტიკულტურულ, კროსკულტურულ და სწრაფად ცვალებად სამყაროში ცხოვრობს. ის დგას გლობალური პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სულიერი ტრანსფორმაციების წინაშე, რაც პრობლემას ქმნის ადამიანის ღირსეული ყოფიერების განხორციელების გზაზე. ეს არ არის ისტორიული განვითარების ბრმა აუცილებელობის შედეგი, არც ღმერთის განგების შედეგი, არც ისტორიის კანონზომიერების აუცილებელი შედეგი, რომელსაც ადამიანი ვერაფრით დაუპირისპირდება, არამედ ადამიანის მიზან-რაციონალური მოქმედების შედეგია და ამიტომ ადამიანი პასუხისმგებელია საკუთარი თავის წინაშე მის მიერვე ჩადენილი მოქმედებების გამო. ადამიანი არის განვითარების საფუძველიც და მიზანიც. ადამიანი თვითონ არის ამ პრობლემების წყარო და მისი გადაჭრის საშუალებაც. გლობალური ტრანსფორმაციები არის ადამიანთა კოლექტიური და ერთობლივი მოქმედების შედეგი. მაგრამ გაურკვეველი რჩება, თუ ვინ არის პასუხისმგებელი: კაცობრიობა, საზოგადოება, მასა, პიროვნება თუ ადამიანი? პასუხისმგებლობა ანონიმური ხდება, რადგან პასუხისმგებელია ყველა და არავინ.

ეს ვითარება წარმოშობს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სულიერი ხასიათის პრობლემებს ადამიანის ღირსეული ყოფიერების განხორციელების გზაზე. ადამიანის მიერ საკუთარი ყოფიერების განხორციელება გამოწვევის წინაშე აყენებს ადამიანის ღირსეულ ყოფიერებას და მისგან მოითხოვს შემოქმედებით, დამოუკიდებელ, თავისუფალ აზროვნებას და პასუხისმგებლობას. ადამიანმა უნდა იცოდეს მის მიერ ჩადენილი პოლიტიკური, სოციალური თუ ზნეობრივი ქმედების მართებულობა, სამართლიანობა, გონივრულობა და ასევე საკუთარი მოქმედების მიზეზი, საფუძველი და მოსალოდნელი შედეგი, რათა იკისროს პასუხისმგებლობა. თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარების ახალი დონე იწვევს იმას, რომ ადამიანი აზროვნებს და მოქმედებს ტექნოლოგიურად, რისი შედეგიც აშკარდ ნეგატიურია. სამყარო ადამიანს მუდმივი არჩევანის წინაშე აყენებს. არჩევანი კი მოითხოვს გაცნობიერებულ და პასუხისმგებლობით აღსავსე მოქმედებას. ადამიანის ტექნიკური მოქმედების კოლექტიური ხასიათი აქტუალურს ხდის კოლექტიური პასუხისმგებლობის ფენომენს, რაც ასევე ცვლის პასუხისმგებლობის ეთიკური პრინციპის სტატუსს. თანამედროვე ფილოსოფიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ადამიანის პასუხისმგებლობის ზრდის აუცილებლობას ტექნიკის ბატონობის პირობებში და პასუხისმგებლობის ახალი კონცეფციის შექმნას, რომელიც შეაჩერებდა ადამიანის კოლექტიური ტექნოგენური საქმიანობის უარყოფით შედეგებს.

თანამედროვეობის გლობალური ტრანსფორმაციების ეპოქაში უმნიშვნელოვანესია ადამიანის გარდაქმნის საზღვრების, ადამიანის ღირსეული და თავისუფალი ყოფიერების პრობლემა. დღეს კიდევ უფრო აქტუალურად ჟღერს ცნობილი, მარადიული ფილოსოფიური კითხვები: რა შემიძლია ვიცოდე? (სამყარო, საზოგადოება, საკუთარი თავი), რა უნდა გავაკეთო? (პოლიტიკა, საზოგადოება, ზნეობა), რისი იმედი შეიძლება მქონდეს? (მეცნიერება, მეტაფიზიკა, რელიგია), როგორც სამშობლოს მოქალაქეს, საზოგადოების წევრს, ზნეობრივ პიროვნებას და ბოლოს, როგორც ადამიანს. ამ კითხვებზე ყოველი ეპოქა და თითოეული ადამიანი საკუთარ პასუხს ეძებს. ამიტომ მნიშვნელოვანია მისი ყოფიერების წესის, ადამიანური ცოდნის ხასიათის

და მისი მიმართებების კვლევა. თანამედროვეობის წინაშე დგას საკითხი: უნდა განიხილული იქნეს ადამიანის ტექნიკური მოღვაწეობის ეთიკური ასპექტი, რაც არის მცდელობა გაკონტროლებული იყოს ადამიანის ტექნიკური მოღვაწეობა და მისი შედეგები. პასუხისმგებლობის ეთიკა ტექნოლოგიურ ეპოქაში უნდა იყოს ორიენტირებული ბუნების, კაცობრიობის და მისი მომავლის შენარჩუნებაზე.

ადამიანი იმყოფება თავისი ისტორიული განვითარების გზაჯვარედინზე. ადამიანს არასოდეს ჰქონია ასეთი ძლიერი გავლენა სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე, როგორც დღეს. ასევე არასოდეს ჰქონია ამდენი ცოდნა, შესაძლებლობა და ძალაც შეცვალოს საკუთარი გარემო, ბუნება, დედამიწა. მიუხედავად ამ მზარდი ცოდნისა და უდიდესი შესაძლებლობებისა, ადამიანის არსებობის მრავალი სფერო ღრმა კრიზისშია. ეს არის პასუხისმგებლობის პრობლემა. თანამედროვე საზოგადოების განვითარების არსებული ვითარება მოითხოვს ადამიანის თავისუფლების გვერდით განიხილული იქნეს ადამიანის პასუხისმგებლობის ფენომენი.

აუცილებელი ხდება ახალი ტექნოლოგური რეალობის შესატყვისი ეთიკის პრინციპების შექმნა და პასუხისმგებლობის ახალი პარადიგმის დადგენა. ტრადიციულ ეთიკურ კონცეფციებს არ შეუძლია გადაჭრას ტექნიკური ცივილიზაციის მიერ წარმოშობილი რეალობის პრობლემები. ადამიანის ტექნიკური მოქმედების შედეგები არ არის წინასწარხედვადი და შორეულ მომავალზეა გათვლილი. ასევე შეიცვალა ადამიანური მოქმედების ხასიათი. იგი გახდა შეუდარებელი თავისი მასშტაბით და შედეგებით. ტექნიკის შესაძლებლობების ბოროტად გამოყენების შედეგებიც ასევე მასშტაბური და ძნელად გამოსასწორებელია, ტექნიკამ ზოგადადამიანური პრობლემები კიდევ უფრო აქტუალური გახადა. ადამიანური მოქმედების მიზანი განსაზღვრავს ტექნიკური მოქმედების ხასიათს. ზნეობრივად უარყოფითი ხასიათის მატარებელია ბუნებისა და ბუნებრივი რესურსებისადმი არასწორი დამოკიდებულება, ადამიანის არსებობის ბუნებრივი გარემოს განადგურება. ბიოტექნოლოგიებისა და გენური ინჟინერიის განვითარებამ ადამიანი დააყანა პრობლემის წინაშე – სადამდე შეიძლება ადამიანის ბუნების შეცვლა, რომ იგი დარჩეს ადამიანად. ადამიანის უდიდესმა ცოდნამ და შესაძლებლობებმა გაზარდეს მისი პასუხისმგებლობა. აუცილებელია გააზრებული იქნეს ადამიანის პასუხისმგებლობის ახალი განზომილება. მან უნდა ისწავლოს საკუთარი ცოდნისა და შესაძლებლობების სწორი გამოყენება, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა შეაბიჯოს პასუხისმგებლობის ახალ განზომილებაში და ახლებურად გაიაზროს ადამიანური მოქმედების ხასიათი.

გლობალური ტექნოლოგიური ცივილიზაციის პირობებში ადამიანური მოქმედების ძირითადი სახე ხდება ადამიანის ტექნოლოგიური აზროვნება და მოქმედება. ადამიანმა აღმოაჩინა ადამიანის ტექნიკური მოქმედების სახიფათო ხასიათი ბუნების, დედამიწის და თვითონ ადამიანისათვის. ეს თვალსაჩინოს ხდის ადამიანის ტექნიკური მოქმედების ეთიკური ანალიზის აუცილებლობას. ადამიანს სურს არა მარტო ტექნიკურ, არამედ ზნეობრივ კონტროლსაც დაუქვემდებაროს ადამიანის ყოფიერების ერთ-ერთი გადამწყვეტი სახე – ტექნოლოგიური აზროვნება და მოქმედება. ადამიანი პასუხისმგებლობის ფენომენის ახლებური გააზრებით, პასუხისმგებლობის ახალი გაგებით ცდილობს თავისი ყოფიერება, ბუნება, დედამიწა და მომავალი დაიცვას საკუთარი ტექნიკური მოქმედების მოსალოდნელი უარყოფითი შედეგებისაგან. ტექნოლოგიის ფილოსოფიური გააზრების შედეგად წამოყენებული იქნა პასუხისმგებლობის ახალი იდეა, მაგრამ იგი არ არის საკმარისად თემატიზებული მისი არსის, სტრუქტურის და დაფუძნების ასპექტით.

ადამიანის ტექნოლოგიური მოქმედების ანონიმური და კოლექტიური ხასიათი რთულს ხდის პასუხისმგებლობის ტრადიციული ცნების მიყენებას ადამიანის ტექნიკური მოქმედებისადმი. პასუხისმგებლობის ტრადიციული ცნება გულისხმობდა: ადამიანის პასუხისმგებლობას

მეორე ადამიანის მიმართ და ადამიანის პასუხისმგებლობას წარსულსა და აწმყოში ჩადენილი მოქმედების გამო. პასუხისმგებლობის ფენომენის ახლებური გააზრება აუცილებელია. ადამიანი პასუხისმგებელია არა მხოლოდ საკუთარი მოქმედების გამო, არამედ ადამიანი დღეს პასუხისმგებელი ხდება ყველაფერზე, რაც ხდება სამყაროში და, უპირველესად, იგი პასუხისმგებელია სხვის გამო საკუთარი თავის წინაშე და არა მხოლოდ საკუთარი მოქმედების გამო სხვის წინაშე. ადამიანი პასუხისმგებელია საკუთარი თავის გამო, სხვის გამო და მთელი სამყაროს გამოც საკუთარი თავის, სხვის და მთელი სამყაროს წინაშე. პასუხისმგებლობის ტრადიციული გაგებისაგან განსხვავებით, დღეს ადამიანი პასუხისმგებელია მომავალზეც. მოკლედ, პასუხისმგებლობა არის ახალი ეპოქის ძირითადი ცნება და ახალი ეპოქის არსის გასაღები.

პასუხისმგებლობის ფენომენის ახლებური გააზრების საფუძველია ადამიანის მიერ საკუთარი გაზრდილი თავისუფლებისა და შესაძლებლობების გაცნობიერება, რასაც ტექნიკა და ტექნიკური მოქმედება აძლევს ადამიანს და იწვევს ადამიანის შეშფოთებულ დამოკიდებულებას საკუთარი შესაძლებლობისადმი. ადამიანს ეშინია ცთუნების, არ გამოიყენოს ეს შესაძლებლობა ბოროტად, ძალაუფლებისადმი ნების სამსახურში. ადამიანმა შეიძინა შესაძლებლობა და თავისუფლება გაანადგუროს ბუნება, დედამიწა და თვითონ ადამიანიც. ეს ვითარება არ ჰქონდა გააზრებული ტრადიციულ ეთიკას, რადგან მაშინ ადამიანს ეს შესაძლებლობა არ ჰქონდა. პასუხისმგებლობის ეთიკის თანამედროვე კონცეფცია ორიენტირებული იყო მოქმედების შედეგის ფენომენზე და დროის მოკლე პერიოდზე. გლობალურ და ტექნოგენურ ცივილიზაციაში ადამიანის ტექნიკური მოქმედების შედეგს აქვს გლობალური ხასიათი როგორც სივრცისეული, ისე დროითი ასპექტით. ეს მოითხოვს პასუხისმგებლობის სფეროს გაფართოებას და მისი ტრადიციული შინაარსის ახლებურად გააზრებას. ამიტომ დღეს მნიშვნელოვანია ადამიანის ტექნიკური აზროვნების და მოქმედების, კაცობრიობის კოლექტიური პასუხისმგებლობის ფენომენის ფორმებისა და მასშტაბების ახლებური განსაზღვრა.

განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს კონცეფციები, რომლებიც დაკავებული არიან პასუხისმგებლობის ფენომენის ანალიზით ისეთი მოვლენების ფონზე, როგორებიცაა: ადამიანის ტექნიკური აზროვნება და მოქმედება, სამყაროს გლობალიზაცია, ღმერთის სიკვდილის ფენომენი, ადამიანის ტექნიკური შესაძლებლობა მოსპოს ბუნება, დედამიწა და გარდაქმნას ადამიანი. ადამიანის ტექნოლოგიური აზროვნების და მოქმედების პასუხისმგებლობის ფენომენის ახალი განზომილების დაფუძნება შეუძლებელია ადამიანის ყოფიერების მეტაფიზიკური და თეოლოგიური განზომილების დადგენისა და გააზრების გარეშე. ეს ცხადს გახდის, თუ რა შინაგანი რესურსი აქვს ადამიანს საკუთარი თვითშეზღუდვის-პასუხისმგებლობის დადგენისათვის? პასუხისმგებლობა ხდება ეპოქის „ზნეობრივი იმპერატივი“ და მას გაიაზრებენ არა მარტო ეთიკის სფეროში, არამედ ონტოლოგიური კუთხითაც, პასუხისმგებლობა ხდება ადამიანის ყოფიერების ფუნდამენტური მახასიათებელი. ყოველივე ეს, თავის მხრივ, მოითხოვს ადამიანის ყოფიერებისა და ცნობიერების ფენომენოლოგიურ და ექსისტენციალურ ანალიზს. პასუხისმგებლობის ახალი ეთიკა, პასუხისმგებლობის ახალი განზომილების დაფუძნება გულისხმობს ახალ ონტოლოგიურ კონცეფციას: ონტო-ტექნო-ლოგიას, რადგან ადამიანისა და არსებულის მიმართება გაშუალებულია ტექნოლოგიით. ეს გულისხმობს სამყაროში ადამიანის ადგილის ახლებურ განსაზღვრას.

გლობალური, ტექნოლოგიური, მულტი და კროს-კულტურული მსოფლიო ადამიანს დიდ არჩევანს სთავაზობს. არჩევანი კი მოითხოვს გაცნობიერებულ და პასუხისმგებლობით აღსავსე მოქმედებას. ადამიანის ტექნიკური მოქმედების კოლექტიური ხასიათი აქტუალურს ხდის კოლექტიური პასუხისმგებლობის ფენომენს, რაც ასევე ცვლის პასუხისმგებლობის ეთიკური პრინციპის სტატუსს. პრობლემის აქტუალურობას განსაზღვრავს ადამიანის პასუხისმგებლობის ფენომენის როლის, მნიშვნელობის, გაგების და დაფუძნების განსხვავებული და დაპირისპირებული პროექტები.

ადამიანის ყოფიერების საზრისი, თავისუფლება და პასუხისმგებლობა არის XX საუკუნის აზროვნების ძირითადი თემები. ამას ჰქონდა ისტორიული გამართლება. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში პასუხისმგებლობის ფენომენის განხილვის აქტიურობა განპირობებულია ამ ეპოქის ისეთი ფენომენებით, როგორებიცაა: „ღმერთის სიკვდილი“, მასების ბატონობის და ადამიანის გაუცხოება, კონფორმიზმი. ეს ფენომენები ადამიანს სთავაზობდნენ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას. პასუხისმგებლობისაგან ამ გათავისუფლების შედეგი იყო გრანდიოზული რევოლუციები, ორი მსოფლიო ომი, ჰოლოკოსტი, საკონცენტრაციო ბანაკები, ტოტალიტარული სისტემები და ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა. ეპოქის ლოზუნგი იყო თავისუფლება.

თავისუფლების და პასუხისმგებლობის მიმართება ქმნიდა მე-20 საუკუნის პარადოქსს: რაც უფრო მეტ თავისუფლებას ფლობს ადამიანი, მით უფრო ნაკლებ ესწრაფვის საკუთარ თავზე აიღოს პასუხისმგებლობა. ერთი მხრივ, სრული თავისუფლების მოთხოვნა და, მეორე მხრივ, სრული, ტოტალური კონტროლის შესაძლებლობა და სურვილი ხელისუფლების მხრივ. ატომური იარაღი, ეკოლოგიური კრიზისი, რესურსების გამოლევის საფრთხე არის ადამიანის მოქმედების შედეგი. ადამიანი იმყოფება რისკის ეპოქაში. რისკის ეპოქა ზრდის ადამიანის პასუხისმგებლობას საკუთარი მოქმედების გამო. პასუხისმგებლობა ვლინდება როგორც საზოგადოებრივი ერთიანობის საფუძველი. ადამიანის პასუხისმგებლობიდან გამომდინარეობს ადამიანის უფლება და არა პირიქით, უფლებიდან გამომდინარეობს პასუხისმგებლობა. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ მრავალი მოაზროვნე დაკავებული იყო პასუხისმგებლობის, თავისუფლების, ტექნიკის და მეცნიერების მნიშვნელობისა და როლის ანალიზით ადამიანის ყოფიერებაში (მ. ვებერი, ფენომენოლოგია, ექსისტენციალიზმი, მ. ჰაიდეგერი, მ. შელერი, ჰ.გ. გადამერი, ჟ.პ. სარტრი, ა. კამიუ, მ. ბუბერი, ე. ლევინასი, ა. შვაიცერი, ჯ. როლზი).

თანამედროვეობის ნიშანია საყოველთაო სამართლებრივი რესპონსიბილიზაცია და მის გვერდით ხდება ზნეობრივი პასუხისმგებლობის ეროზია, ზნეობრივი პასუხისმგებლობის სამართლებრივი პასუხისმგებლობით ჩანაცვლება. რაიმე არსებობს, თუკი იგი იურიდიულად არის დადგენილი და განსაზღვრული. ყველაფრის შეფასება ხდება იურიდიული კატეგორიებით. სამართალი ხდება არა მარტო შეფასების, არამედ არსებობის კრიტერიუმი. შეიძლება იყოს ადამიანი ყველაფერზე პასუხისმგებელი? ადამიანს შეუძლია ყველაფერზე იქონიოს საკუთარი აზრი, რაც მან იცის და დააფიქსიროს. ამით შეიქმნება ერთიანი საზოგადოებრივი აზრი, მაგრამ იგი არ არის ქმედითი. რისაგან გათავისუფლებაზეც ადამიანი იტყვის უარს, ის არის ადამიანის არსობრივი მახასიათებელი. მოდით, ჩავატაროთ ასეთივე მეთოდოლოგიური ექსპერიმენტი პასუხისმგებლობის ფენომენზე და დავადგინოთ, თუ ვის წინაშე და რაზე პასუხისმგებლობისათვის არის მზად ცალკეული ადამიანი? მაგრამ გაურკვეველი ხდება, თუ ვინ არის პასუხისმგებელი: კაცობრიობა, საზოგადოება, მასა თუ პიროვნება? პასუხისმგებლობა ანონიმური ხდება, რადგან პასუხსიმგებელია ყველა და არავინ. ადამიანი პასუხისმგებელია არა მარტო თავისი მოქმედების გამო, არამედ სხვის გამოც. ეს არის სწორედ სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის გამოხატულება. ყველა და თითოეული პასუხისმგებელია იმაზე, თუ როგორია ქვეყნის მდგომარეობა და ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის დონე. ადამიანი პასუხისმგებელია, უპირველესად, საკუთარი თავისა და საკუთარი ღირსების წინაშე. ეს არის ყოველგვარი პასუხისმგებლობის საფუძველი და ადამიანური თავისუფლების პირობა. ეს არის პასუხისმგებლობა, რომელიც გამოიხატება ფორმულით: „იყავ ის, ვინც ხარ“. ამ შემთხვევაში იგი არის პასუხისმგებელი მთელი მსოფლიოს წინაშე და მთელ მსოფლიოზე. ასეთ პასუხისმგებლობას შეუძლია დაძლიოს აბსტრაქტული რესპონსიბილიზაცია და შეცვალოს რეალური და ქმედითი პასუხისმგებლობით, რომელსაც შეუძლია შეცვალოს რეალობა. იგი ნათელსა და გასაგებს ხდის მომავლის პერსპექტივას.

თანამედროვე სამყაროს ცხოვრება ეფუძნება ორ დოკუმენტს: „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას“, რომლის მიზანია ადამიანის, როგორც პიროვნების, ღირსების და უფლებების დაცვა და „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას“, რომლის მიზანია მშვიდობის დაცვა და განვითარებაზე ზრუნვა. დღეს პასუხისმგებლობა, უპირველესად, ნიშნავს პასუხისმგებლობას მომავალი თაობების წინაშე, რომ მათ დავუტოვოთ სიცოცხლისათვის გამოსადგეგი პლანეტა და ბუნებრივი რესურსები. ჩვენ პასუხს ვაგებთ არა მარტო წარსულის, არამედ მომავლის გამოც.

პოსტმოდერნი თვლის, რომ ადამიანმა მიიღო თავისუფლება, რომელიც არავისგან და არავისთვის არ არის წართმეული. მე ვარ თავისუფალი, რომელიც არავის წინაშე არ მავალდებულებს. ნებისმიერი რამ, რაც შეზღუდავს ამ თავისუფლებას, არის რეპრესია ადამიანის მიმართ. ეს არის თავისუფლება პასუხისმგებლობის გარეშე, მიზნის გარეშე. თავისუფალი ყოფნა არის თვითმიზანი. პოსტმოდერნის ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპი მოითხოვდა ყველაფრის თავისუფლების პრინციპის შემოწმებას. იმ დროს, როცა თავისუფლების ლოზუნგი მართავს საზოგადოებას, მათ მოითხოვეს ადამიანის ყოფიერების თავისუფლებით შემოწმება. მოდით, ვცადოთ ყველაფრისაგან გავთავისუფლდეთ. თანამედროვე ადამიანი ატარებს თავისუფლების ექსპერიმენტს. მას აინტერესებს, შეუძლია თუ არა ადამიანის გათავისუფლება ყოველგვარი შეზღუდვებისაგან, აკრძალვებისაგან და არის თუ არა აქ რაიმე ზღვარი. ამ მეთოდოლოგიური პრინციპით აღმოჩენილი იქნება ადამიანად ყოფნისათვის აუცილებელი ზნეობრივი, სოციალური, პოლიტიკური პრინციპები, რომელთა საფუძველზე აიგება ახალი საზოგადოება.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ადამიანი ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ახლებურად დაისვა პასუხისმგებლობის პრობლემაც. საუკუნის მეორე ნახევრის ძირითადმა მოვლენებმა: გლობალიზაციამ და ადამიანის ტექნოლოგიური შესაძლებლობების უპრეცედენტო ზრდამ, ატომური და ეკოლოგიური კატასტროფების მომატებულმა საფრთხემ, გენური ინჟინერიის უკონტროლო განვითარებამ, ცხადი გახადა ტექნიკის, ტექნოლოგიის განვითარებისა და გაბატონების, ადამიანის ტექნოლოგიური აზროვნებისა და მოქმედების აშკარად ნეგატიური შედეგები. ამან გამოიწვია განსაკუთრებული ინტერესი ადამიანის ტექნოლოგიური აზროვნებისა და მოქმედების პასუხისმგებლობის მიმართ და აუცილებელი გახადა პასუხისმგებლობის ფენომენის ახლებური გააზრება.

პასუხისმგებლობის ისტორიული და დინამიკური ხასიათი განაპირობებს ამ ცნების შინაარსის ცვლილებას. შეიცვალა მისი მასშტაბიც. უკვე საუბარია ეკოლოგიურ პასუხისმგებლობაზე, დედამიწის, მომავალი თაობების წინაშე პასუხისმგებლობაზე. პასუხისმგებლობის ცნების შინაარსის ცვლილება ნიშნავს მსოფლმხედველობის ცვლილებას, ანუ კოსმოსში ადამიანის ადგილის და როლის ახლებურ გაგებას. ეს განაპირობებს პასუხისმგებლობის ფენომენის მრავალმხრივი – ფენომენოლოგიური, ჰერმენევტიკული და ექსისტენციალური – ანალიზის აუცილებლობას. აშკარა გახდა ადამიანის ტექნოლოგიურად აზროვნებისა და მოქმედების ნეგატიური შედეგები. ფილოსოფიური აზროვნება განსაკუთრებით უსვამდა ხაზს ადამიანის პასუხისმგებლობის ზრდის აუცილებლობას ტექნიკის ბატონობის პირობებში (მ. ჰაიდეგერი, კ. იასპერსი, ო. გასეტი, ი. ჰაბერმასი, ჰ. იონასი, ა. რორტი). ეს საკითხი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა თანამედროვე ტექნოლოგიების, გენური ინჟინერიის განვითარების ეპოქაში (ი. ჰაბერმასი, კ. მიტჩემი, ა. რორტი, ა. კულმანი, ა. ბიუკენენი და სხვები).

დღეს საუბარია პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ, ზნეობრივ პასუხისმგებლობაზე, მოქალაქის და პიროვნების პასუხისმგებლობაზე. პასუხისმგებლობის ფენომენი შინაგანად რთული ფენომენია და აუცილებელია პასუხისმგებლობის, როგორც უნარის, მიმართება სინდისის, მოვალეობის, ნების თავისუფლების ფენომენებთან, ასევე პასუხისმგებლობის კავშირი ადამიანურ გონიერებასა და სიმამაცესთან. ყველა და თითოეული უწყვეტად პასუხისმგებელია,

რადგან თავისუფლება, საზოგადოება და ადამიანობა უწყვეტი ქმედების პროცესია, რომელიც უწყვეტ ძალისხმევას მოითხოვს.

დღეს შეიძლება ვისაუბროთ ტრადიციული მორალის პრინციპულ შეზღუდულობაზე, რადგან იგი ხაზს უსვამდა მხოლოდ ადამიანის წინაშე პასუხისმგებლობას და არა ცხოველების, ბუნების, ბიოსფეროს, დედამიწის წინაშე პასუხისმგებლობასაც. დღეს აღიარებულია არსებობაზე „ბუნების მორალური უფლება". ახალი პასუხისმგებლობის ეთიკა მოითხოვს ონტოლოგიისა და აქსიოლოგიის ერთიანობას. რაც ნიშნავს ტრადიციული ეთიკის საზღვრებიდან გასვლას, რომელიც იცნობდა მხოლოდ პოლიტიკურ, სოციალურ, მშობლის და სხვა სახის პასუხისმგებლობას. ახალი პასუხისმგებლობის ეთიკა უნდა გახდეს ონტოლოგიური დისციპლინა.

ტრადიციული ფილოსოფია პასუხისმგებლობას აფუძნებდა თეოლოგიურ, დეონტოლოგიურ, უტილიტარისტულ, სოციალურ-პოლიტიკურ საფუძვლებზე. კლასიკური ეთიკა ადამიანს აკისრებდა პასუხისმგებლობას ჩადენილ მოქმედებაზე. დღეს ადამიანი პასუხისმგებლობას უნდა იღებდეს მომავალზე, სამყაროს მომავალ მდგომარეობაზე, რაც მისი უშუალო მოქმედების შედეგი შეიძლება არც იყოს, ამიტომ მომავალზე პასუხისმგებლობა არის შინაგანი მოთხოვნილება და არა გარედან მოხვეული ვალდებულება, რომელიც შეიძლება დაფუძნებული იყოს მესთვის გარეგან ინსტანციაზე, იქნება ეს საზოგადოება, ფიურერი, მასა, ტექნიკა თუ სხვა ინსტანცია. ეს არის კანტის კატეგორიული იმპერატივის ახალი ვერსია. ეს ახლებურად სვამს მორალური სუბიექტის შესაძლებლობის საკითხს. დღეს კაცობრიობის ფუნდამენტური პრობლემა ასე დგას: შეძლებს თუ არა ადამიანი შეინარჩუნოს ზნეობრიობის ტრადიციული ღირებულებები, რადგან ადამიანად ყოფიერება ამ ზნეობრივი ნორმების წესით ყოფიერებას ნიშნავს. პასუხისმგებლობის ახალი გაგება უნდა დაეფუძნოს არა ადამიანის ნებას, რომელიც ემყარება არსებულზე ბატონობის სურვილს, არამედ ადამიანის ღირსებას.

ტექნოლოგიური აზროვნება და მოქმედება იწვევს პასუხისმგებლობის ცნების შინარსის, მისი დროითი და სივრცითი საზღვრების გაფართოებას და წინა პლანზე გამოდის კოლექტიური პასუხიმგებლობა და ასევე ფართოვდება პასუხისმგებლობის ობიექტიც, რის მიმართაც ადამიანი გრძნობს პასუხისმგებლობას. ეს გულისხმობს „დამნაშავის პასუხისმგებლობიდან" გადასვლას წინმსწრებ, პრევენციულ პასუხისმგებლობაზე მომავლის მიმართ.

პასუხისმგებლობა არის პროცესი, რომლის მიზანია აიცილოს მომავალში ადამიანის ტექნოლოგიური მოქმედების ნეგატიური შედეგები. ადამიანი პასუხისმგებელია არა მარტო ჩადენილ მოქმედებაზე, არამედ მოვლენაზე, ფაქტზე, რომელიც შეიძლება მოხდეს მომავალში, რომელსაც ნეგატიური შედეგები ექნება ადამიანისა და კაცობრიობისათვის. მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის პრინციპის პიროვნული და კოლექტიური, საზოგადოებრივი გამოყენების პრინციპის და შესაძლებლობის დასაბუთება. როგორ უნდა მოხდეს საზოგადოების შეთანხმება პასუხისმგებლობის ერთიან პრინციპზე და მისი სავალდებულო და ლეგიტიმური ხასიათის დადგენა. ტექნოლოგიური ცივილიზაცია იწვევს პასუხისმგებლობის ცნების შინაარსის გაფართოებას. ბუნებისადმი მოწიწებიდან უნდა გადავიდეთ ბუნებასთან კომუნიკაციურ დიალოგიზე (ა. შვაიცერი, ი. ჰაბერმასი).

ტრადიციული ეთიკის კიდევ ერთი თავისებურება იმაშია, რომ იგი ორიენტირებულია სტატიკურ და უცვლელ სამყაროზე. დღეს სწრაფად ცვალებად სამყაროში ადამიანი ვეღარ ასწრებს ზნეობრივ რეაგირებას ტექნოლოგიურ რეალობაზე. ასევე ნებისმიერ ეთიკურ შეცდომას ძალიან დიდი უარყოფითი შედეგები მოსდევს. ე. იუნგერი შენიშნავდა, რომ ტექნიკა ადგენს ძალადობას როგორც სიცოცხლის მოდუსს, რომელიც ვრცელდება მთელ საზოგადოებაზე და იმორჩილებს ადამიანს თავისი რაციონალობით და ორგანიზებულობით. ტექნოლოგიური და ეთიკური რაციონალიზმის დაპირისპირების აშკარა მაგალითია დილემმა: ტექნოლოგიური იმპერატივი ამბობს – ადამიანმა უნდა გააკეთოს ის, რაც შეუძლია, ანუ რაც ტექნიკურად მისაწვდომია და

შესრულებადია. ხოლო ეთიკა ემყარება უარის თქმის უნარს, ადამიანის თვითშეზღუდვას, რადგან ადამიანი იწყება აკრძალვით. ახალი პასუხისმგებლობა მოითხოვს, რომ ადამიანმა უნდა თქვას უარი ყველაფერ იმის კეთებაზე, რაც ტექნიკურად შესაძლებელია. ზნეობრიობა არის ნებისმიერი ადამიანური მოქმედების შემადგენელი ელემენტი. ამ აზრით, ზნეობა უნივერსალურია ადამიანის ყოფიერებისათვის. ზნეობრივად შეიძლება შეფასდეს ტექნიკური მოქმედებაც. ამდენად, ტექნიკა და ტექნიკური მოქმედება არ არის ზნეობრივად ნეიტრალური მოქმედება.

აუცილებელია პასუხისმგებლობის სუბიექტის, პასუხისმგებლობის ობიექტის და პასუხისმგებლობის ხარისხის შეფასების დადგენის კრიტერიუმების გამოვლენა. პასუხისმგებლობა არის ადამიანის თვითრეგულაციის უნარი. მისი ქონა ადასტურებს, რომ ადამიანს აქვს შინაგანი მოვალეობის და სინდისის გრძნობა და უნარი განახორციელოს საკუთარი მოქმედების თვითკონტროლი და თვითმართვა. პასუხისმგებლობა ვლინდება როგორც საზოგადოებრივი ერთიანობის საფუძველი. ადამიანის პასუხისმგებლობიდან გამომდინარეობს ადამიანის უფლება და არა პირიქით, უფლებიდან – პასუხისმგებლობა.

ახალი პასუხისმგებლობის დაფუძნება გულისხმობს გონების, ნების, თავისუფლების, პასუხისმგებლობის ახალი მიმართების დადგენას. უნდა განვიხილოთ ფორმალური რაციონალიზმი, მიზან-რაციონალური მოქმედების და მიზანშეწონილი მოქმედების მიმართება და განსხვავება. ადამიანის პასუხისმგებლობა განისაზღვრება იმით, რომ იგი არსის სფეროშიც მოქმედებს ჯერარსის მიხედვით, ამიტომ არის ის პასუხისმგებელი. მაგრამ ტექნიკა თავისი არსებობის წესით უპირისპირდება ჯერარსულ წესრიგს. ეს არის მათ შორის კონფლიქტის საფუძველი. რადგან ეთიკა ახდენს ტექნიკის და ტექნოლოგიური რეალობის შეფასებას, რამდენადაც იგი ხორციელდება ადამიანის მიერ. ეს გულისხმობს ტექნიკური რაციონალიზმის და ღირებულებითი რაციონალიზმის დაპირისპირებას და მათ შორის ბალანსის დარღვევა იწვევს ადამიანის შინაგანი სამყაროს გაორებას. მორალური სფეროს ღირებულებითი რაციონალობა კონსერვატორულია და ძალზედ ნელა ვითარდება, ხოლო ტექნიკური რაციონალიზაცია სწრაფად იცვლება და ვითარდება. ეს არის მათ შორის დაპირისპირების საფუძველი. ღირებულებითი ცნობიერება სულ მუდამ ჩამორჩება ტექნოლოგიური ცვლილებების სიჩქარეს. ხდება ეთიკის მარგინალიზაცია და იგი არ არის წარმმართველი, პირიქით, ეთიკა იძულებულია მოერგოს ტექნოლოგიური განვითარების მოთხოვნებს, მას არ შეუძლია მართოს ტექნოლოგიური განვითარების შედეგად წარმოშობილი რეალობა. ეს ახალი ვითარება მოითხოვს ახალი ეთიკის დაფუძნებას და ღირებულებითი ცნობიერების ცვლილებას, რაც, უპირველესად, პასუხისმგებლობის ახალი პარადიგმის დაფუძნებას ნიშნავს.

მულტიკულტურულ და გლობალურ მსოფლიოში მრავალმხრივი და კროსკულტურული გავლენები ადამიანს ავალდებულებს შეინარჩუნოს პასუხისმგებლობა წარსულისა და მომავლის წინაშე და ამავე დროს, შეინარჩუნოს თავისუფალი არჩევანისა და გადაწყვეტილების უფლება. ახალი პასუხისმგებლობის ეთიკა ორიენტირებული უნდა იყოს კაცობრიობის და მისი მომავლის შენარჩუნებაზე, რადგან ამ ამოცანის შესრულება მოითხოვს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას. ბუნებასთან ერთად ჩვენ ვართ ჩვენი მომავლის თანაშემოქმედები და ამიტომ პასუხისმგებელი ვართ მასზე. თანამედროვე ტექნოგენურ ცივილიზაციაში ადამიანის ადამიანურობის და კაცობრიობის არსებობის შენარჩუნების საფუძველია ადამიანის მორალური უნარი -პასუხისმგებლობა.

პასუხისმგებლობის ახალი საზრისი უნდა დაეფუძნოს ახალ რაციონალიზმს, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობის საზრისის ახლებურ გაგებას და პასუხისმგებლობის ექსისტენციალურ (ა. კამიუ, სენტ-ეგზიუპერი, ჰ. იონასი, კ. შრეიდერ-ფრეჩეტე, დენიელ ვალერო), ფუნდამენტურ ონტოლოგიურ (მ. ჰაიდეგერი), პასუხისმგებლობის კომუნიკაციურ სტრუქტურასა და პასუხისმგებლობის კომუნიკაციურ დაფუძნებას (ი. ჰაბერმასი). ახალი რაციონალიზ-

მის ნიშანია არა გონებისა და ნების, გონებისა და თავისუფლების, არამედ გონებისა და პასუხისმგებლობის ახალი თანაფარდობის დადგენა. ნება ძალაუფლებისაკენ უნდა ჩანაცვლებული იქნეს ნებით პასუხისმგებლობისაკენ. ადამიანისა და არსებულის მიმართება გაშუალებულია ტექნოლოგიით. პასუხისმგებლობის ახალი ეთიკა, პასუხისმგებლობის ახალი განზომილების დაფუძნება გულისხმობს ახალ ონტოლოგიურ კონცეფციას. ახალი ონტოლოგია: ონტო-ტექნოლოგია არის პასუხისმგებლობის ახალი გაგების ონტოლოგიური საფუძველი, ეს გულისხმობს სამყაროში ადამიანის ადგილის ახლებურ განსაზღვრას. პასუხისმგებლობა არის ადამიანის თვითრეგულაციის უნარი. მისი ქონა ადასტურებს, რომ ადამიანს აქვს შინაგანი მოვალეობის და სინდისის გრძნობა და უნარი განახორციელოს საკუთარი მოქმედების თვითკონტროლი და თვითმართვა.

თავისუფლების და პასუხისმგებლობის გლობალურ ასპექტში განხილვასთან ერთად ეს საკითხი აქტუალურია ქართული საზოგადოებრივი და პოლიტიკური განვითარებისათვის. საზოგადოება ეძებს თავისუფლების მისეულ გაგებას. პასუხისმგებლობა თავისუფლების საზღაურია. თავისუფლება არის ტვირთი, რომლის ზიდვაც ყველას არ შეუძლია. ადამიანი მზად უნდა იყოს, მეტიც პასუხიმგებლობა უნდა აიღოს საკუთარ თავისუფლებაზე. ამას ასაბუთებდა ჰეგელიც, როდესაც თავისუფლებისათვის საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებას აუცილებლად მიიჩნევდა. ქართულმა ცნობიერებამ არ გააცნობიერა თავისუფლების მოპოვების და შენარჩუნების სირთულე და ადამიანის შინაგანი მზაობა იყოს თავისუფალი. იგი მძიმე ტვირთია. ადამიანი ყოველთვის არ არის მზად იკისროს პასუხისმგებლობა, მაგრამ მოვალეა. ადამიანი პასუხისმგებელია, უპირველესად, საკუთარი თავის წინაშე, რაც ვლინდება სინდისის ფენომენში და შემდეგ პასუხისმგებელია ღმერთის, სხვა ადამიანის, საზოგადოების თუ სახელმწიფოს წინაშე. თავისუფლების ფენომენი იყო ორი პოლიტიკური ბლოკის იდეოლოგიური და მსოფლმხედველობრივი დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი თემა.

მოქალაქის თავისუფლება დაცულია სახელმწიფოს მიერ და ის არის ამ თავისუფლების გარანტი. მაგრამ ადამიანის პირადი თავისუფლება მის პირად მსოფლმხედველობაზეა დამოკიდებული, რადგან თვითონ შეიძლება თქვას უარი საკუთარ თავისუფლებაზე. ადამიანს შეუძლია თავისუფლებაზე უარი მრავალი სახით თქვას: კონფორმიზმი, პასუხიმგებლობაზე უარის თქმა, მასა, ჯარისკაცი, მუშა. ესენი არიან ადამიანის გაუცხოების ფორმები, რაც, უპირველესად, თავისუფლებაზე, ადამიანობაზე უარის თქმას ნიშნავს და, მაშასადამე, პასუხისმგებლობაზეც უარის თქმას. მე-20 საუკუნის უმთავრესი პრობლემა იყო კონფორმიზმი, როდესაც ადამიანები ემორჩილებიან, ეთანხმებიან ხელისუფლებას, ბელადს, ავტორიტეტულ პირებს და თავს არ იწუხებენ აზროვნებით, გადაწყვეტილების მიღებით. მათი მოქმედების პრინციპია: „როგორც ყველა, მეც ისე“. უნდა იაზროვნო, მიიღო გადაწყვეტილება, რომელზეც პასუხისმგებელი ხარ. ჰაიდეგერი წერს, რომ თანამედროვე ადამიანი აღარ აზროვნებს ყველაზე უმნიშვნელოვანეს საკითხებზე: ყოფიერებაზე, ღმერთზე და დაკავებულია მხოლოდ ტექნიკური აზროვნებით. ამიტომ ადამიანს არ შეუძლია იკისროს პასუხისმგებლობა.[12] ადამიანის თავისუფლება, უპირველესად, აზროვნების თავისუფლებას ეფუძნება. გაურკვეველი ხდება, თუ ვინ არის პასუხისმგებელი: კაცობრიობა, საზოგადოება, მასა თუ პიროვნება? პასუხისმგებლობა ანონიმური ხდება, რადგან პასუხსიმგებელია ყველა და არავინ. ადამიანი პასუხისმგებელია არა მარტო თავისი მოქმედების გამო, არამედ სხვის გამოც. ეს არის სწორედ სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის გამოხატულება. ყველა და თითოეული პასუხისმგებელია იმაზე, თუ როგორია ქვეყნის მდგომარეობა და ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის დონე.

მ. მამარდაშვილი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელიც ცდილობდა თავისუფლების და პა-

[12] რამიშვილი ვ., ადამიანის ადამიანობა მის ღირსებაში მდგომარეობს, თბ., 2102, გვ. 156.

სუხისმგებლობის ევროპული გამოცდილების გაცნობიერებას და ქართულ რეალობასთან შედარებას და ადაპტირებას. იგი წერდა: „ჩემთვის თავისუფლება არის შემდეგი: ადამიანმა უნდა მოიპოვოს თავისი შინაგანი თავისუფლება საკუთარ თავთან და საზოგადოებასთან ბრძოლაში“.[13] თავისუფლებისათვის აუცილებელი ეტაპი, რაც გაიარა ევროპამ – განმანათლებლობა და მისი გამოცდილება არ აქვს ქართველს და მისთვის ძნელია საკუთარ აზროვნებაზე დაყრდნობა და ყველაფრის რაციონალურიად განსჯა. თავისუფლად ყოფნას აზროვნების გაბედულება სჭირდება. ქართველებმა „დავკარგეთ პოლიტიკის შეგრძნების უნარი, აღარ ვიცით როგორ ვიცხოვროთ რთულ საზოგადოებაში“.[14] თავისუფლება და პასუხისმგებლობა ადამიანის წინაშე რთულ ამოცანას აყენებს: „საჭიროა, საკუთარი თავის წინაშე აღმართო ღირსების და პატივის იდეალი და გეყოს ვაჟკაცობა, გაიარო საკუთარი თავის მიმართ უკიდურესი სიძულვილის გზაზე“.[15] ერთია თავისუფლების სურვილი და მისწრაფება გამოძრავებდეს და მეორეა, შეძლო თავისუფლების განხორციელება. თავისუფლება არ სცდება ზოგადი მოწოდების ფარგლებს, რომელიც არ არის არც თემატიზებული, არც არტიკულირებული და არც ინსტიტუციონალიზებული. მოკლედ, ქართულ საზოგადოებას მხოლოდ თავისუფლებისადმი შინაგანი მისწრაფება და სურვილი აქვს, რომელიც მითოსის და უტოპიზმის ელემნეტებით არის გაჟღენთილი. ქართული უტოპიზმის კიდევ ერთი ნიშანია მომლოდინე და მოიმედე ხასიათი: „ვიღაც დაგვეხმარება, ვიღაც გვიშველის“. თავისუფლებას ვერავინ ვერ გასწავლის, იგი თვითონ უნდა ისწავლო, განიცადო და მხოლოდ შემდეგ შეძლებ მის განხორციელებას. მაშინ მიხვდები, რომ „თავისუფლებისათვის უწყვეტი ბრძოლა და აზროვნებაა აუცილებელი. ამ საქმეში მასწავლებლები არ არსებობენ, მათ შეიძლება მხოლოდ მიგითითონ, მიგანიშნონ და მეტი არაფერი. ყველამ თვითონ უნდა გაიაროს თავისუფლების გააზრების და მოპოვების გზა“.[16] თავისუფლება პასუხისმგებლობას, შრომის, განათლების, ახალი ცხოვრების წესების, გამოწვევების და სტანდარტების ათვისებას ნიშნავს. თავისუფლება მუდმივ შრომას და პასუხისმგებლობის განცდას გულისხმობს. სხვისი თავისუფლების დამოძღვრით ვერ მიხვალ თავისუფალ აზროვნებამდე, რაც ნამდვილი თავისუფლების საფუძველია. თავისუფლება, უპირველესად, შრომის თავისუფლებაა. „საჭიროა ნაციონალური ცხოვრება წარიმართოს ერთი მოვლენის კვალდაკვალ – ეს არის თავისუფლი შრომა. უნდა ვისწავლოთ შრომა, მუშაობა მოდერნული, ანუ თანამედროვე მსოფლიოს დონეზე. ამისათვის საჭიროა ხელახლა მოვიპოვოთ ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური უფლება და არა მოვალეობა შრომისა“.[17] დღეს, საქართველოსათვის თავისუფლება, უპირველესად, ნიშნავს თავისუფლი შრომის მოპოვების უფლებას, იმის გაცნობიერებას, რომ ქვეყნის წინსვლა და სახელმწიფოს და მოქალაქის თავისუფლება შრომის გათავისუფლებაზე გადის. შრომის გათავისუფლება შრომისადმი განსხვავებული დამოკიდებულების შემუშავებას ნიშნავს, რომ შრომა არის ადამიანის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პოზიციის განმსაზღვრელი. დემოკრატია და „Laissez-faire“ პრინციპზე დაფუძნებული საზოგადოებრივი მოწყობის მოდელი ეფუძნება შრომის წესრიგს.

თავისუფლების მოპოვებისათვის აუცილებელია ადამიანის აზროვნების თავისუფლება, რაც უტოპიზმისა და მითისაგან გათავისუფლებას გულისხმობს. თავისუფლებისათვის ბრძოლაში და, უპირველესად, შინაგანად თავისუფლების მოპოვებაში ვერავინ დაგეხმარება. „ასეთ დროს არავის ძალუძს მათი დახმარება, არც რაიმეს გაკეთება მათ მაგიერ. ამგვარი დახმარების ილუზიიდან გამოსვლა აუცილებელია, რადგან მას ტოტალიტარული შედეგები მოჰყვება. რა

[13] მამარდაშვილი მ., ცნობიერების ტოპოლოგია, თბ., 2011, გვ. 191.
[14] იქვე, გვ. 189.
[15] იქვე, გვ.190.
[16] იქვე, გვ. 192.
[17] იქვე, გვ. 26.

არის ტოტალიტარიზმი თუ არა პატერნალიზმი?“[18] ადამიანის მოლოდინის, რომ მას მისცემენ თავისუფლებას, შედეგი არის ტოტალური და პატერნალისტური სისტემების შექმნა, რაც სწორედ თავისუფლების დაკარგვაა. ქართველი უნდა მიხვდეს, რომ მას არავინ მისცემს თავისუფლებას და ვერავინ ვერ ასწავლის რა არის თავისუფლება. ქართველმა თვითონ უნდა მოიპოვოს თავისუფლება და ამისათვის მან უნდა გაბედოს და ისწავლოს თავისუფალი აზროვნება. ეს არის გზა ნამდვილი თავისუფლების მოპოვებისა.

თავისუფლების მოპოვების აუცილებელი პირობაა „გაბედე იაზროვნო“. ამის გარეშე შინაგანად ვერ გახდები თავისუფალი, რაც მოქალაქეობრივი და ეროვნული თავისუფლების საფუძველია. თავისუფალი აზროვნება კი თავისუფლების დისკურსის წარმართვისათვის აუცილებელ ახალ სიტყვებს მოიხმარს. ადამიანის აზროვნების თავისუფლება ჯერ ენაში ვლინდება და შემდეგ მოქმედებაში. მ. მამარდაშვილმა ქართულ აზროვნებას და საზოგადოებას გააცნო თავისუფლების დისკურსის თავისებურება. ეს ქართველს საშუალებას მისცემს ჩაერთოს თავისუფლების თანამედროვე დისკურსში.

თავისუფლების ამგვარი გაგებისათვის აუცილებელია შესაბამისი პასუხიმგებლობა. უნდა იკისრო პასუხისმგებლობა გახდე თავისუფალი. პასუხიმგებლობა წინ უსწრებს თავისუფლებას და პასუხიმგებლობა არის თავისუფლების შემდეგაც, თუ რამდენად სწორად იყენებ ამ თავისუფლებას. თავისუფლების სწორი გამოყენებაა თავისუფლების გაფართოება. ამ თავისუფლების მიზანი არ უნდა იყოს სხვისი დამონება. ამისათვის უნდა იაზროვნო და ეს აზროვნება არის ფილოსოფიური, დამოუკიდებელი აზროვნება.

მ. მამარდაშვილი ლაპარაკობს პასუხისმგებლობის ევროპულ ტიპზე და ევროპის პასუხისმგებლობაზე. „ევროპელისთვის მრავალი რამაა ისეთი, რაც თავისთავად ხდება, რაც თითქოს ბუნებრივია; იშვიათად უწევენ ანგარიშს საკუთარი არსებობის საფუძვლს, მძაფრად არ აცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ ადამიანი არის დროში შეჩერებული, დროში დაკიდებული ძალისხმევა, მუდმივი, შეუნელებელი მცდელობა ადამიანად გახდომისა. ადამიანი – ეს არ არის ბუნებრივი მდგომარეობა, ადამიანი ეს არ არის ბუნების მდგომარეობა; ეს ისეთი მდგომარეობაა, რომელიც განუწყვეტლივ იქმნება“.[19] ასევე ქართველს უნდა ჰქონდეს მუდმივი პასუხისმგებლობა ქართული იდენტობისა და ეროვნული თავისუფლებისათვის. სწორედ ასეთი პასუხისმგებლობის დეფიციტს განიცდის ქართული საზოგადოება და ქართველი. „ევროპულ იდენტობას არ გააჩნია ასაკი, იგი მუდამ დაბადების მდგომარეობაშია. სწორედ ეს არის ევროპის პასუხისმგებლობა, ევროპული პასუხისმგებლობა საკუთარი თავის წინაშე“.[20] ევროპელის თავისუფლება გულისხმობს პასუხისმგებლობას და დისციპლინას, რასაც თავისუფლების ქართველისეული გაგება მოკლებულია.

ევროპელში რელიგიური რწმენის გვერდით მოცემულია რწმენის სხვა სახეც „შინაგან პრინციპზე, მთავარ რწმენაზე თითოეულში, რასაც უწოდებენ „მეტყველების ძალას“. ეს არის სხვაობა მეტყველების ძალასა და გარეგან კანონს შორის“.[21] იგი აცნობიერებს თავისუფლების, პასუხისმგებლობის არტიკულაციის და თემატიზაციის მნიშვნელობას და ამ პროცესის მუდმივი და რეფლექსური ხასიათის აუცილებლობას. საზოგადოება, მოქალაქე მუდამ უნდა აცნობიერებდეს და საკუთარ თავს უწყობდეს აზრობრივ თავგადასავლებს. ევროპელობას ახასიათებს რეფლექსურობა გამოთქმის უნარში, მას შეუძლია გამოთქვას ყველაზე ანტიმორალური, ანტირელიგიური, ანტიადამიანური აზრიც კი და ეს მას ეხმარება იყოს საკუთარი თავის ძიებასა და ქმედებაში. ეს მეტყველების ძალა არ ახასიათებს სხვა კულტურას და ამიტომ მათ არ აქვთ

[18] იქვე, გვ.190.
[19] მამარდაშვილი მ., ცნობიერების ტოპოლოგია, ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2011, გვ.196.
[20] იქვე, გვ.196.
[21] იქვე, გვ. 199.

ცვლილების, განვითარების რესურსი. „ენის, მეტყველების უფლებამოსილება, რომელიც გამომდინარეობს შინაგანი პრინციპიდან, არის ყველაზე არსებითი რამ, რაც მართავს ადამიანის ძალისხმევასა და ბრძოლას“.[22] საკითხავია, რამდენად მზად არის ქართველი, ისტორიულად და კულტურულად, ამ ნაბიჯისათვის. მისთვის ევროპის, როგორც ცვალებადობის, შესაძლებლობის და ფორმის საფუძველია სწორედ მეტყველების ეს უნარი – არტიკულაცია მოახდინო ყველაფრის, რაც შეიცავს მუდმივი გარდაქმნის და ცვალებადობის რესუსრსს. ეს ადამიანს ეხმარება საკუთარ თავში აღმოაჩინოს ის, რაც მისი ადამიანობის, ადამიანად ყოფნის დაბრკოლებას წარმოადგენს. ადამიანად ქმნადობაში განსაკუთრებულია სწორედ ეს „მეტყველების ძალა“-უნარი გამოთქვა, გააცნობიერო, იაზროვნო ყველაფერზე. ეს ევროპული კულტურის და ადამიანის ყოფნის რეფლექსურობის გამოხატულებაა. მამარდაშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მეტყველებას, მაგრამ რა მნიშვნელობით გაიგებს იგი მას? ევროპელის უნარს გამოთქვას ყველაზე სანუკვარი, სახიფათო, საზარელი, მკრეხელური და ასე შემდეგ. ეს არის ქმნადობის და კათარსისის საფუძველიც. „სიტყვაში „ენა“ ბერძნები გულისხმობდნენ სივრცეში ყველაფერ იმის გამოთქმას, რასაც ადამიანები განიცდიან, რაც სურთ, რასაც ფიქრობენ, ასევე გულისხმობენ ენის გამოყენებას სახალხო აგორაზე. მათი აზრით, ეს იყო ენა, მეტყველება.[23]

„ადამიანი ის ქმნილებაა, რომელიც მუდამ საკუთარი თავის ქმნადობის მდგომარეობაშია და მთელი ისტორია – ეს არის ადამიანად გახდომის მცდელობის ისტორია. ადამიანი არ არსებობს, იგი იქმნება“.[24] ეს ალბათ სარტრის მთავარი დებულების – „არსებობა წინ უსწრებს არსებას“ – გამოძახილია.

თავისუფლება, დემოკრატია ყოველთვის შეიცავს ბარბაროსობის საფრთხეს. ეს არის საფრთხე ევროპისათვის და, ბუნებრივია, საქართველოსათვის. ევროპის საფრთხეა თანამედროვე ბარბაროსობა. მხედველობაშია პირველი და მეორე მსოფლიო ომები. ევროპა დგას იმავე საფრთხისა და პასუხისმგებლობის წინაშე. „ეს არის მოდერნული, თანამედროვე ბარბაროსობა“,[25] „ბარბაროსს არ აქვს მეტყველება“.

მ. მამარდაშვილი ქართველისაგან მოითხოვს თანამედროვე გლობალური პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებას და გაცნობიერებას. ეს კი თანმიმდევრულ აზროვნებას და მაღალ პასუხისმგებლობას გულისხმობს. იგი კარგად შენიშნავს ქართველის ბუნების ორაზროვნებას. „ჩვენ ვიქეცით ორსახოვან ხალხად. ერთი მხრივ, ნიადაგ უკმაყოფილო, კრიტიკული ვართ, საკუთარი ღირსების დამფასებელი, საკუთარი კულტურის გადასარჩენად შეფარვით მებრძოლი. მეორე მხრივ, თვითგადარჩენის მძაფრმა სურვილმა ქართველებს კარგად შეაძლებინა სისტემით სარგებლობა, საკუთარი მიზნებისადმი მისი მისადაგება, რის შედეგადაც ისინი გაებნენ ხსენებული წყობისათვის დამახასიათებელ კორუფციის, ქრთამის, მაქინაციების ხაფანგში. მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალური კეთილდღეობისაკენ სწრაფვა მთელი საზოგადოებრივი სივრცის ნგრევით სრულდება. სისტემასთან შეგუების ასეთი ფორმა ერთდროულად იწვევს მკვეთრ ზნეობრივ დაცემას და იოლი გზის ძიების კონსერვატიზმს – ჯობია ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც არის. ასე კი ძნელია დემოკრატიისაკენ გზის გაკვლევა“.[26] ევროპის თავისებურება სწორედ ამ უნარშია – გამოთქვა ყველაფერი, რაც მისი გააზრების და გადალახვის აუცილებელი პირობაა. ევროპელი საკუთარ თავს საშუალებას აძლევს ჩამოაყალიბოს თავისი წინარე აზრები, ნებას რთავს იფიქროს ის, რასაც ფიქრობს. ადამიანის ძირითადი თვისება არის ის, რომ თავისი თავი განახორციელოს, შვას ის, რაც დაბადების, წარმოქმნის მდგომარეობაშია

[22] იქვე, გვ. 199.
[23] იქვე, გვ. 200.
[24] მამარდაშვილი მ., ცნობიერების ტოპოლოგია, თბ., 2011, გვ.199.
[25] იქვე, გვ. 199.
[26] იქვე, 210.

და ეს ძალზედ ძნელია“,[27] „ადამიანი მხოლოდ მაშინ არის ადამიანი, როდესაც არსებობს სივრცე ცოცხალი აგორისა – სავსე სამეტყველო არტიკულაციით, როცა უძლური ინდივიდი მიმართავს განსჯა-მედიტაციას ადამიანური სირთულის მისაღწევად. განმანათლებლობა არის რეალური უნარი, რეალური ძალა დამოუკიდებელი აზროვნებისა – გარეგანი ავტორიტეტების გარეშე გაძლების რეალური უნარი, ძალა უყავარჯნოდ, სხვათა დაუხმარებლად, საკუთარ კიდურებზე დაყარდნობით სიარულის უნარი“.[28]

მოქალაქის თავისუფლების და აზროვნების დამოუკიდებლობის ერთ-ერთი ფუნდამენტური ნიშანია დისკურსის უფლება და საშუალება. განსაკუთრებულია დისკურსის მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში და მოქალაქის თავისუფლების და პასუხისმგებლობის ჩვევის შემუშავებაში. „მეტყველების სამყაროს ჭიშკარი გაიღო და ჩვენ ცოცხალი და სოციალური არსებები, ანუ ადამიანები – უკვე ვაცნობიერებთ საკუთარ თავს, ჩვენს პრობლემებს, რეალობასა და მისაღწევ მიზნებს. ამ ღია სამყაროში ისე შევედით, რომ რეალობა ჯერ კიდევ არ შეცვლილა. უჩინარდება ტოტალური მეტყველების ფანტომური ფორმები, სასაუბრო ფიქციები, სამეტყველო კონვენციები. აქ ქრება ტოტალიტარიზმის ლინგვისტური რეჟიმი და იბადება რეალური სიცოცხლის გრძნობა.[29] არ იფიქრო, არ აკეთო ის, რაც გინდა ფულის ან შიშის გამო, არ აკეთო ის, რაც გევალება – ეს არის მონობის ფორმები. ახალმა ვითარებამ მოითხოვა პასუხისმგებლობის ფორმების განსხვავება: პასუხისმგებლობა, მოვალეობა, ვალდებულება, ანგარიშვალდებულება, რომლებიც ადამიანის საკუთარ პასუხიმგებლობასთან დამოკიდებულების ფორმებს -მოდალობებს განსაზღვრავს.

თავისუფალმა ერმა თავიდანვე და ხელახლა უნდა მოიპოვოს თავისუფლება, ეროვნული და კულტურული იდენტობა, რაც დიდ სულიერ და პოლიტიკურ მუშაობას მოითხოვს.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი ყველა ეროვნება დარწმუნებული იყო საკუთარ ნაციონალურ თვითმყოფადობაში, მაშინ როდესაც მათი ეროვნულობა დატვირთული იყო ოდენ ეგზოტიკური თუ ფოლკლორული შინაარსითა და არსით. ამგვარი ფიქციური ფორმა აკმაყოფილებდა ნაციონალური იდენტობის მოთხოვნილებას. „პოსტტოტალიტარიზმთან ერთად ეროვნული რეალობის ეგზოტიკური და ფოლკლორული ფიქციები იშლება, ე.ი. ერები იღვიძებენ, უბრუნდებიან საკუთარ თავს“.[30] ფოლკლორული და ეთნიკური თავისთავადობა უნდა შეიცვალოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობითა და თავისუფლებით. ქართველის და ქართული სახელმწიფოს თავისუფლება და პოლიტიკური და ინტელექტუალური სიმწიფე, რაც აზროვნების თავისუფლებას და ევროპულ პასუხისმგებლობას გულისხმობს და ქართული საზოგადოება, როგორც თავისუფალი და პასუხისმგებლობით გამსჭვალული, შეიძლება გახდეს კავკასიის ინტელექტუალური გამაერთიანებელი. მისი აზრით, სწორედ ევროპული თავისუფლება და პასუხისმგებლობა არის საქართველოს ერთიანობის საფუძველი, რადგან ეს მისგან კავკასიის ლიდერობას მოითხოვს.

თავისუფლების და პასუხისმგებლობის დისკურსი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განსხვავდება თავისუფლების და პასუხისმგებლობის დისკურსისაგან, რომელსაც ახორციელებდა ქართული საზოგადოება დამოუკიდებლობის მოპოვებამდე. თუ პირველ შემთხვევაში ქართველისათვის თავისუფლების ნეგატიური გაგებაა მთავარი, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მთავარია თავისუფლების პოზიტიური გაგების დადგენა.

თავისუფლების ადრინდელი დისკურსისათვის დამახასიათებელია თავისუფლების იდეის უტოპიურობა, რადგან იგი თამაშობდა ზოგადი იდეის როლს და არ იყო გაცნობიერებული, თე-

[27] მამარდაშვილი მ., ცნობიერების ტოპოლოგია, თბ., 2011, გვ. 200.
[28] იქვე, გვ. 204.
[29] იქვე, გვ. 248.
[30] მამარდაშვილი მ., ცნობიერების ტოპოლოგია, თბ., 2011, გვ. 254.

მატიზირებული თავისუფლების ფორმები და ადამიანის, საზოგადოების მზაობა და პასუხისმგებლობა თავისუფლებისადმი. ამიტომ მასში სჭარბობდა უტოპიზმის და მითოსის ელემენტები.

ქართული თავისუფლების დისკურსში ვლინდება ორი ეპისტემე: პირველია, ე.წ. „ნეგატიური თავისუფლების" ეპისტემე, როდესაც მთავარია თავისუფლება რაღაცისაგან. თავისუფლება ნიშნავს ბატონობისაგან გათავისუფლებას და თვითონ გაბატონებას. ეს არის ლომების ეპოქის (ნიცშე) თავისუფლება, რაც ნიშნავს ყველას ომს ყველას წინააღმდეგ, ეს არის ნაბიჯი ბუნებრივი მდგომარეობისაკენ (თ. ჰობსი). იგი უფრო დამახასიათებელია ქართული საზოგადოებრივი დისკურსისათვის დამოუკიდებლობის არქონის პერიოდში. იგი დაკავშირებულია ძალაუფლების დისკურსთან. თავისუფლება ნიშნავს ძალაუფლებას, ოღონდ ეს არის ძალაუფლება იდეის გარეშე.

მეორეა, ე.წ. „პოზიტიური თავისუფლება", თავისუფლება რაღაცისათვის. იგი დამახასიათებელია ქართული დისკურსისათვის დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდში. თავისუფლება ნიშნავს პასუხისმგებლობას. იგი არის თავისუფლება შემოქმედებისათვის და პასუხისმგებლობა ამ შემოქმედების შედეგებზე. ამ შემთხვევაში ძალაუფლება ნიშნავს პასუხისმგებლობას.

ქართულ საზოგადოებაში თავისუფლების დისკურსი და თავისუფლების დისკურსის ეპისტემეს ცვლილება გამოწვეული იყო დასავლურ-ევროპული დისკურსის გავლენით და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებით. ამის დადასტურებაა არასამთავრობო ორგანიზაციების და ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ განხორციელებული ქმედებები და დისკურსის შინაარსი. ქართულ ისტორიას ახასიათებს თავისუფლების კონფლიქტური დისკურსების არსებობა, რაც განპირობებული იყო ქართული ისტორიის თავისებურებით.

თავისუფლების დისკურსული ფორმაციების კომუნიკაცია ძალზედ დაბალია ქართულ საზოგადოებაში. ქართველი არ აცნობიერებს თავისუფლებას, როგორც პროცესს. მისთვის თავისუფლება არის მდგომარეობა. თავისუფლება არის დაშვება, როგორც მიზანი, რომელმაც უნდა გააერთიანოს საზოგადოება, რაც ძნელი მისაღწევია ქართული საზოგადოებისათვის და ამას თავისი ისტორიული საფუძვლები აქვს.

ასევე ძალზედ დაბალი იყო თავისუფლების მოპოვების შემდეგ მისი თემატიზაციის მცდელობა, რაც თავისუფლების შენაჩუნების აუცილებელი პირობაა. თავისუფლება, როგორც მოვალეობა თავისუფლების დაცვისა. დღეს ადამიანი უფრო მეტად თავისუფალია თავისი მოსაზრების დაფიქსირებაში, მაგრამ იგი მაინც თვითცენზურით არის შეზღუდული. საკუთარი აზრის გამოთქმის და დაფიქსირების პირობები ჯერ კიდევ უნდა გაუმჯობესდეს.

დღეს ქართულ საზოგადოებას ახასიათებს რამდენიმე მოვლენა, რაც აბრკოლებს თავისუფლების დისკურსის სრულყოფილ გამოხატვას. ესენია პათოსური აქტივიზმი, პროპაგანდისტულ-ნიჰილისტური ნაციონალიზმი, რომელიც შევსებულია „ნჯო" კოსმოპოლიტიზმით. ქართულ საზოგადოებაში ჯერ კიდევ დაბალია თავისუფლების რეფლექსურობის დონე.

ქართული ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ ძალაუფლება უფრო ხშირად მტრული და უცხოეროვანი იყო. ძალაუფლებაში მეტია თვითნებობის და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრეცედენტი, რადგან ძალაუფლება ბოროტებაა. თავისუფლებაშიც დიდია თვითნებობის წილი. თავისუფლება ქართველისათვის ნიშნავს მტრული ძალისაგან თავისუფლებას, „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდვნოდეს". ამიტომ ქართველისთვის თავისუფლება ხშირად იღებს თვითნებობის, პასუხისმგებლობაზე უარის თქმის სახეს, რადგან არ იცის რამდენ ხანს გაგრძელდება ეს თავისუფლება.

ხანგრძლივ დროზე გათვლილი თავისუფლება პასუხისმგებლობას მოითხოვს. იყო თავისუფალი ნიშნავს, იყო პასუხისმგებელი. მისთვის თვითნებობა თავისუფლების ყველაზე ცხად და აშკარა გამოხატულებად არის მიჩნეული. თავისუფლება ნიშნავს ბატონად დამკვიდრებას,

როგორც უნდა, ისე იქცევა – ეს არის თავისუფლება. იგი ხშირად არის ნეგატიური თავისუფლების მიღწევისათვის ბრძოლაში ჩართული. მაგრამ ნაკლებ განიხილავს პოზიტიური თავისუფლების შინაარსს; განასხვავებს პიროვნულ და სახელმწიფოებრივ თავისუფლებას, ანუ პიროვნული თავისუფლება არ არის გამოხატულება სახელმწიფოებრივი თავისუფლებისა და პირიქით, პიროვნულ თავისუფლებაში არ აისახება სახელმწიფოს თავისუფლება. ქართველი მიეჩვია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის არარსებობის პირობებში პიროვნული თავისუფლების ილუზიის შექმნას. მისთვის მთავარია პირადი ურთიერთობების აწყობა უცხო დამპყრობელთან და პირადი თავისუფლების მოპოვება, რაც თვითნებობაში გამოიხატება. სწორედ ამაში ხედავს თავისუფლებას.

ქართული საზოგადოების განვითარების გზა უნდა იყოს ქვეშევრდომული თავისუფლებიდან კანონის უზენაესობით შეზღუდული თავისუფლებისაკენ, რაც ამ თავისუფლებაზე პასუხისმგებლობის გაცნობიერებასა და აღებას გულისხმობს. ამ გზის წარმატებით გავლაში უმთავრესი როლი ეკისრება საზოგადოებისა და პიროვნების განათლებას.

ლიტერატურა:

1. ილია II, ეპისტოლენი, ქადაგებანი, სიტყვანი, ნაწ. III, თბ., 2014.
2. მამარდაშვილი მ., ცნობიერების ტოპოლოგია, ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2011.
3. მონტესკიე შ., კანონთა გონი, თბ., 1996.
4. ნანეიშვილი მ., „თავისუფლება“ და თავისუფლება სიტყვა და ცნება, თბ., 2012.
5. რამიშვილი ვ., აბსურდი და პასუხისმგებლობა, თბ., 2009.
6. რამიშვილი ვ., ფილოსოფია, თბ., 2015.
7. რამიშვილი ვ., ადამიანის ადამიანობა მის ღირსებაში მდგომარეობს, თბ., 2012.
8. ფუკო მ., სიტყვები და საგნები, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა არქეოლოგია, გამომცემლობა „დიოგენე“, 2004.
9. ქიქოძე გ., ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი, გაზეთი „დროება“, თბ., 1910, გვ. 8.
10. პრეზიდენტ მარგველაშვილის სიტყვით გამოსვლა დამოუკიდებლობის დღეს. 26 მაისი, 2014, civil.ge.

VALERI RAMISHVILI

DISCOURSE OF FREEDOM AND RESPONSIBILITY

Summary

The paper discusses the issues connected with freedom and responsibility in political and mental discourse. The path of Georgian society development should be limited by supremacy of law from subordinate freedom to freedom. It means taking responsibility and understanding for freedom. The major role in the successful implementation of this path is assigned to the education of the individual and society.

ნანა ზაზაძე

გლობალური ოფშორული ბაზრის ინტენსიური განვითარება გლობალიზაციის პირობებში

მსოფლიო მეურნეობის განვითარებამ განაპირობა მსოფლიო ეკონომიკაში ოფშორული სექტორის შექმნა, რაც მის ერთ-ერთ განუყოფელ და შემადგენელ ნაწილად იქცა. ოფშორული ინდუსტრიის განვითარებას ხელი შეუწყვეს როგორც გლობალურმა მოვლენებმა, ისე ცალკეული ქვეყნების საგადასახადო კანონმდებლობებში არსებულმა მნიშვნელოვანმა განსხვავებებმა. ოფშორული ცენტრების წარმოშობით გადასახადის გადამხდელი დიდი კომპანიები ეროვნულ ქვეყანაში მძიმე საგადასახადო ტვირთს განერიდნენ, ხოლო ყოფილმა კოლონიებმა და ამჟამინდელმა დამოუკიდებელმა ქვეყნებმა განვითარებული ინფრასტრუქტურა შექმნეს. ოფშორული ცენტრების შექმნამ დააჩქარა ადამიანებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა.

გლობალიზაციის გეოგრაფიული არეალის გაფართოებამ საერთაშორისო ფინანსური ოპერაციების სფეროში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, რადგან ამ პროცესში ჩართო თანამედროვე საფინანსო ბაზარი, რომელიც აღარ ცნობს არც სივრცობრივ და არც დროით საზღვრებს.

ოფშორული ბიზნესის სწრაფი განვითარების ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია: ფინანსური ბაზრების გლობალიზაცია და ლიბერალიზაცია. ფინანსური ბაზრების გლობალიზაციამ და ლიბერალიზაციამ საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობა მსოფლიო ეკონომიკის დამოუკიდებელ სფეროდ წარმოაჩინა, სადაც ოფშორულმა კაპიტალმა ფინანსური კაპიტალის სპეციფიკური ფორმა შეიძინა. ამგვარად, ოფშორული ეკონომიკა გლობალური ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაციის შედეგად გააქტიურდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ტნკ-ის საქმიანობის გააქტიურება. ცნობილია, რომ მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია დაკავშირებულია ეროვნული კორპორაციების საქმიანობის გლობალიზაციასთან, რომლებიც ბიზნესის გაფართოებითა და დივერსიფიკაციით მძლავრ ტნკ-ად, მათ შორის, ტრანსნაციონალურ ბანკებად გადაიქცნენ.

გლობალური ოფშორული ქსელის ფორმირება და ფუნქციონირება მსოფლიო ეკონომიკის ოფშორიზაციის პროცესია. იგი გლობალური ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთი ფორმაა. თავის მხრივ, „ოფშორიზაცია“, როგორც მსოფლიო ოფშორული ქსელის ფორმირების პროცესი, წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ერთ-ერთ თანამედროვე კანონზომიერებას და მის ერთ-ერთ თავისებურებას. გლობალიზაციასა და ოფშორულ ურთიერთობას შორის პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს, კერძოდ: გლობალიზაციამ განაპირობა ტრანსნაციონალური ფინანსური კაპიტალის ფუნქციონირების სრულიად ახალი ფორმა – ოფშორული კაპიტალი, რომელიც მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს ფლობს, სახელდობრ, „არაგამჭვირვალობისაკენ“ სწრაფვა, ანონიმურობა, სახელმწიფო რეგულირებისაგან გაქცევა, გადასახადების გადახდისაგან თავის არიდება და „ჩრდილოვან“ პროცესებთან კავშირი.

საზოგადოების ნაწილი ოფშორს აღიქვამს როგორც შავი ფულის გათეთრების ცენტრს, ნაწილს კი მიაჩნია, რომ ოფშორი მხოლოდ საბანკო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების

ლეგალიზების ადგილია. თუმცა ამ ორი ვერსიიდან არ შეიძლება რომელიმე იყოს აბსოლუტურად სწორი, რადგან ოფშორი, რომელსაც პირობითად შეღავათიან საგადასახადო გარემოს ვუწოდებთ, სხვა მრავალი ასპექტით ხასიათდება.

გლობალიზაციის ეპოქაში კორპორაციული კაპიტალი კაპიტალისტური ბაზრის სრულიად ახალ თვისებებს იძენს. ოფშორული კაპიტალი არის ტრანსნაციონალური, ფინანსური, ფიქტიური და ვირტუალური კაპიტალის ფუნქციონირების სრულიად ახალი ფორმა, რომელიც გლობალური მასშტაბით ქმნის ვირტუალურ ოფშორულ ქსელს. ამასთან, ტრანსნაციონალური ოფშორული კაპიტალი კიდევ ერთ თვისებას იძენს – იგი არა მარტო სხვადასხვა ქვეყანაში, არამედ სხვადასხვა იურისდიქციაშიც თავისუფლად მოქმედებს. ოფშორულ ზონებში რეგისტრირებულ კომპანიას, რომელსაც პრეტენზია აქვს საგადასახადო და სხვა შეღავათებზე, არ მოეთხოვება იყოს იმ ქვეყნის რეზიდენტი, სადაც მდებარეობს ოფშორული ცენტრი.

გლობალური ოფშორული ბაზრის ინტენსიური განვითარება თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ თავისებურებად მიიჩნევა. ბოლო პერიოდში ოფშორულმა ურთიერთობებმა გლობალური ხასიათი შეიძინა და საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების სპეციფიკურ ნაირსახეობად მოგვევლინა. შედეგად, სულ უფრო მეტმა ქვეყანამ შექმნა ოფშორული ცენტრები და ამით აქტიურად მიიზიდა როგორც მსხვილი საფინანსო ორგანიზაციები, ისე საქმიანი წრეები და კერძო პირები, რამაც თანდათან გლობალური ოფშორული ბაზარი ჩამოაყალიბა.

OECD-ის პერიოდული მონაცემებით, ისეთი ოფშორული ცენტრები, როგორებიცაა –ჯერსი და ბაჰამა მსოფლიოს მთელი ქონების მესამედს „მასპინძლობენ". საქსტატის ინფორმაციით, საქართველოში ოფშორული კომპანიების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს. საქსტატი ცნობებს მხოლოდ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ ფლობს, საიდანაც დგინდება, რომ საქართველოში ფული შემდეგი ოფშორული ქვეყნებიდან შემოდის: აშშ-ის ვირჯინიის კუნძულები, ბაჰამი, ბელიზი, გიბრალტარი, კაიმანის კუნძულები, მარშალის კუძულები, პანამა, სეიშელი, სენტ კიტსი და ნევისი. ყველაზე დიდი რაოდენობით თანხები საქართველოში ვირჯინიის კულძულებიდან და ბელიზიდან შემოდის, ვირჯინიის კუძულები: 2012 წელი – 19 804,0 $, ბელიზი 14 907,4 $ (4).

ბოლო მონაცემების მიხედვით, საქართველოსთვის ოფშორული ზონების ჩამონათვალი შემცირებულია: 2010 წელს საქართველოს მთავრობის განკარგულების მიხედვით, 79 ოფშორული ქვეყანა არსებობდა, თუმცა 2013 წელს შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნების ჩამონთავალი საქართველოსთვის 66-მდე შემცირდა.

ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოდან ოფშორებში ფულის გადინება და პირიქით, იქიდან კაპიტალის შემოდინება ძირითადად 2004 წლიდან შეინიშნება. ყველაზე დიდი მოცულობით, თითქმის $150 მილიონი, საქართველოში 2007 წელს კვიპროსიდან შემოვიდა. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ბოლო წლებში ადგილი აქვს კაპიტალის გადინებას და პირდაპირი ინვესტიციების შემცირებას, რაც ასევე საყურადღებოა. 2012 წლის მესამე კვარტალში საქართველოდან უცხოეთის 19 ქვეყანაში 60 მლნ აშშ დოლარის კაპიტალი გავიდა. ყველაზე მეტი კაპიტალის გადინება ჩეხეთში მოხდა – 38,323 მლნ აშშ დოლარი, შემდეგ მოსდევს საუდის არაბეთი, სადაც წლის აღნიშნულ პერიოდში 6 მლნ აშშ დოლარის გადინება მოხდა. 2012 წლის მესამე კვარტალში საქართველოდან ინვესტიციების გადინება აღინიშნებოდა შვედეთში – 5,050 მლნ აშშ დოლარი, შვეიცარიაში – 3,357 მლნ დოლარი, აზერბაიჯანში – 2,229 მლნ, უკრაინაში – 1,803 მლნ და ნორვეგიაში – 1,020 მლნ. აღსანიშნავია, რომ საქართველოდან კაპიტალის გადინება აღინიშნა ისეთ ქვეყნებში, რომლებიც მანამდე ამ ნუსხაში არასდროს მოხვედრილა. მაგალითად, სენტ კიტს-ნევისში საქართველოდან 724 ათასი დოლარი გავიდა. კაპიტალის გადინება ასევე აღინიშნა ყაზახეთში – 453 ათასი, იორდანია – 359 ათასი, ლიტვა – 216 ათასი აშშ დოლარი. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2012 წლის მესამე კვარტალში საქართველოში

სულ 195 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია შემოვიდა, ყველაზე მეტი ნიდერლანდებიდან – 49 მლნ აშშ დოლარი. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის პირველ კვარტალში საქართველოდან 117 მლნ აშშ დოლარი, 2012 წლის მეორე კვარტალში კი 23 მლნ აშშ დოლარი გავიდა (3).

ბოლო ათწლეულების ისტორია ცხადყოფს, რომ თავად ოფშორების არსებობა დიდი ფულის მიტაცებას შესაძლებელს ხდის, რაც არაერთი ქვეყნის გაღარიბების მიზეზი ხდება. სხვადასხვა მონაცემით, ოფშორებში დაახლოებით, $11,5-დან $22 ტრილიონამდეა გადამალული, ამიტომ გასაკვირი არა რის, რომ ოფშორების წინააღმდეგ მთელ მსოფლიოში იწყება ბრძოლა.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ ოფშორებთან ბრძოლა საერთაშორისო ტენდენციად იქცა. ბევრი ორგანიზაცია გაერთიანდა ოფშორების არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში თანდათანობით ყალიბდება და ძლიერდება მრავალწახნაგოვანი „ანტიოფშორული“ კანონმდებლობა, ვინაიდან ამჟამად მოქმედ 70-ზე მეტ საერთაშორისო ოფშორული ფინანსური ცენტრის საქმიანობას სათანადოდ ვერ არეგულირებენ დასავლეთის მაღალგანვითარებული ქვეყნები, ამიტომ ერთადერთი, რაც განვითარებულ ქვეყნებს შეუძლიათ, არის ის, რომ ლიმიტირება გაუკეთონ საკუთარ კომპანიებს ოფშორში გასვლისას. მიუხედავად ამისა, თანამედროვე მსოფლიოს დამოკიდებულება ოფშორული ბიზნესის მიმართ მეტად არაერთგვაროვანია. არაერთგვაროვნება თავს იჩენს როგორც ცალკეულ სახელმწიფოთა შორის, ასევე ქვეყნებს შიგნით არსებულ პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის.

სავარაუდოა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში, გლობალიზაციის გაძლიერების კვალობაზე, ეროვნული საგადასახადო იურიდიული ნორმების უნიფიცირება-ჰარმონიზაციის შედეგად შესაძლებელია ოფშორული იურისდიქციების ფუნქციონირების ამჟამინდელი მოდელიც შეიცვალოს და დროის მოთხოვნების შესაბამისი გახდეს.

ლიტერატურა:

1. შენგელია თ., გლობალური ბიზნესი, თბ., 2010.
2. აბაშიშვილი გ., რა არის ოფშორული ზონა? 17.11.2010,http://netgazeti.ge/
3. http://www.kvirispalitra.ge/economic/,12.12.2012.
4. http://www.bri.ge/commersant/,15.02. 2014.
5. http://www.geostat.ge, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

NANA ZAZADZE

GLOBAL OFFSHORE MARKET INTENSIVE DEVELOPMENT IN GLOBALIZATION CONDITIONS

Summary

The paper considers the intensive development of the offshore market in globalization conditions. The creation of the offshore sector has been conditioned by the world economy development. The offshore industry development has been contributed by the development of a global event, as well as the significant differences existing in the taxation laws of individual countries.

According to OECD- periodic data, such offshore centers as Jersey and the Bahamas host the world's third of the entire property. By the reports of National Statistics Office of Georgia there is no information about the number of offshore companies in Georgia. National Statistics Office of Georgia holds information only on FDI determining from which offshore countries on-flows money to Georgia.

On the base of National Statistics Office data for 2010-2014 the outflow of capital from Georgia and the reduction of direct foreign volume of investments is noticed.

The last decades of history shows that the existence of offshores gives the opportunity of big money grabbing which makes many of the country's impoverishment.

გივი ედიშერაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

გლობალიზაციის ფაქტორი ადამიანურ რესურსში

თანამედროვე ეტაპზე ექსპერტების უმრავლესობა ეთანხმება აზრს, რომ მენეჯმენტი, როგორც მმართველობითი პროცესი, ოთხი ზოგადი ფუნქციის გარდა, როგორებიცაა: დაგეგმვა, ორგანიზაცია, ხელმძღვანელობა და კონტროლი, მოიცავს მეხუთე ფუნქციას – სამუშაო ადგილების დაკომპლექტებას (staffing) – ადამიანების შერჩევა, პერსპექტიული კადრების დასაქმება, თანამშრომელთა ტრენინგი და განვითარება, საქმიანობის სტანდარტების ჩამოყალიბება, საქმიანობის განვითარება, დასაქმებულებთან გასაუბრება, დასაქმებულების შრომის ანაზღაურება.

ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, როგორც მენეჯმენტის ერთ-ერთი ძირითადი სფერო, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორგანიზაციის წარმატებაში.

ადამიანური რესურსების მენეჯმენტი არის მმართველობის პროცესი, რომელიც ორგანიზაციაში მაღალი შედეგების მისაღებად უზრუნველყოფს დასაქმებულთა მიზიდვას, ტრენინგს, განვითარებას, დაწინაურებას, შრომის ანაზღაურებას, ასევე შრომით ურთიერთობებს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას.

ადამიანური რესურსების მენეჯმენტის გარემო. ადამიანური რესურსების მენეჯერები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ორგანიზაციის სამუშაო ადგილების დაკომპლექტებაში. ადამიანურ რესურსების მენეჯმენტზე და საერთოდ, კომპანიის მენეჯმენტზე, გავლენას ახდენენ დღევანდელი მსოფლიოსათვის დამახასიათებელი ისეთი ძირითადი ტენდენციები, როგორებიცაა: გლობალიზაცია და ტექნოლოგიური ინოვაციები, დემოგრაფიული ცვლილებები, ეკონომიკური გამოწვევები.

გლობალიზაცია და ტექნოლოგიური ინოვაციები. გლობალური პროცესები მსოფლიოში 50 და მეტი წლის წინ დაიწყო. კომპანიებმა ორიენტაცია აიღეს გლობალურ ბაზრებზე, რომ გაეზარდათ შემოსავლები, ერთი მხრივ, გაყიდვების მოცულობის, მომხმარებლების რაოდენობის ზრდის, მეორე მხრივ, დაბალი დანახარჯების (დაბალი გადასახადები, იაფი რესურსები, იაფი სამუშაო ძალა) ხარჯზე. გლობალიზაციის თანამდევი პროცესია კომპანიების პროდუქციის გაყიდვა, საკუთრების გაფართოება, საზღვარგარეთის ბაზრებზე გასვლა, წარმოებული სამუშაოების გადანაცვლება იმ ქვეყნებში, სადაც დაბალი ხელფასებია. მაგალითად, კომპანია TOYOTA აწარმოებს CAMRY-ს ავტომობილს კენტუკში, მაშინ, როდესაც კომპანია DELL აწარმოებს PCS-ს ჩინეთში; ზოგიერთი კომპანია აწარმოებს და ქმნის ნახევარფაბრიკატებს მაიამიში და შემდეგ აგზავნის ცენტრალურ ამერიკაში, სადაც სამუშაო ძალა შედარებით იაფია.

გლობალიზაცია ნიშნავს კონკურენციის გაღრმავებას, რაც აიძულებს კომპანიებს ყველაფერი გააკეთონ ყველაზე უკეთესად და იაფად. გლობალიზაციას კომპანიისათვის მოაქვს უპირატესობა და მოგება, მომხმარებლისათვის – იაფი და მაღალხარისხიანი პროდუქცია, დასაქმებულისათვის – გულმოდგინედ მუშაობა.

გლობალიზაცია განუყოფელია ტექნოლოგიური ინოვაციებისაგან. ტექნოლოგიამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ადამიანებზე, მათ სამუშაოზე, სწავლებასა და განვითარებაზე. ძველად, საწარმოო სფეროში სამუშაოები ძირითადად ორიენტირებული იყო ფიზიკურ დატვირთვაზე; ტექნოლოგიების განვითარებამ, წარმოების პროცესის ავტომატიზაციამ და კომპიუტერიზაციამ სამუშაო ძალას სხვა მოთხოვნები წაუყენა. მაგალითად, აშშ-ში ტანსაცმლის ერთ-ერთმა წამყვანმა კომპანიამ – LEVIS STRAUSS-მა – რამდენიმე წლის წინ დახურა თავისი ამერიკული ქარხნები და წარმოების ახალი ტექნოლოგია დანერგა, რამაც საშუალება მისცა მას გაე-

ზარდა წარმოების მოცულობა, შეემცირებინა შრომის დანახარჯები. ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენებით, საწარმო დროულად ახდენდა მომხმარებლისათვის საჭირო რაოდენობის მასალის გადამუშავებას, ხოლო მას შემდეგ, რაც კომპანიამ დაიწყო ინტერნეტის ქსელის საშუალებით მომხმარებლის შეკვეთის მიღების სისტემის გამოყენება, დაგეგმვა გახდა უფრო ზუსტი და მობილური, წარმოება კი – უფრო მომგებიანი, ქსელის ეფექტი იყო უმოკლეს ვადაში კომპანიის მიერ მეტი რაოდენობის პროდუქციის წარმოება ნაკლები დასაქმებულის გამოყენებით.

ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენებამ შეცვალა სამუშაოების თანაფარდობა კომპანიების შიგნით და რეგიონებს შორის, კერძოდ, თანდათან მცირდება სამუშაოები წარმოების სფეროში და იზრდება მომსახურებაში, ცვლილება მოახდინა ადამიანური კაპიტალის განვითარებაშიც. თანამედროვე წარმოებამ მოითხოვა მეტი განათლება, მათემატიკის ცოდნა და კომუნიკაციის გამოცდილება. მსოფლიოში ადამიანური რესურსების წამყვანი მენეჯერების აზრით, წარმატების მისაღწევად „კრიტიკული აზროვნება“ და „საინფორმაციო ტექნოლოგიების აპლიკაცია“ არის ის ორი ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც უნდა ფლობდეს თანამედროვე ადამიანური რესურსი.

დემოგრაფიული ცვლილებები. კომპანიებში დასაქმებულთა მოზიდვაზე, შერჩევასა და დაქირავებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დემოგრაფიული სიტუაცია და ამ სფეროში მიმდინარე ტენდენციები. თითოეული ქვეყნის მიხედვით იგი განსხვავებულია. მაგალითად, ცნობილია, რომ აშშ-ის სამუშაო ძალა სწრაფად დაბერებადი და მულტიეთნიკური მოსახლეობაა.

ამავე დროს, დემოგრაფიული ტენდენციები დასაქმებულთა მოზიდვის, დაქირავებისა და მართვის კუთხით მეტად ცვალებადია. ამ დარგის სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ასაკიანი დასაქმებულები სამუშაოზე არიან კონცენტრირებულნი, აფასებენ კარიერას, მეტ ყურადღებას უთმობენ სამუშაოს, ვიდრე ოჯახს; ახალგაზრდები კი კონცენტრირებულნი არიან ოჯახზე, ან ორივეზე ერთად, აბალანსებენ ოჯახურ ცხოვრებას და სამუშაოს. ამასთან, ახალგაზრდა თაობა გამორჩევა კომპიუტერის, ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი ათვისების უნარით და ასეთი დასაქმებულები იწვევენ ცვლილებებს, ქმნიან ნოვაციებს, ისინი არიან უმთავრესი სამუშაო ძალა („ყველაზე ფასეული თაობა“) კაცობრიობის ისტორიაში. მნიშვნელოვანი ადგილი დემოგრაფიულ ტენდენციებში უკავია არატრადიციული მომუშავეების რიცხოვნობის ზრდას. მათში ისინი იგულისხმებიან, რომლებსაც გააჩნიათ რამდენიმე სამსახური ან წარმოადგენენ ჯგუფს, რომლებიც შეთანხმების მიხედვით ინაწილებენ ერთ სამუშაოს.

ეკონომიკური გამოწვევები. ადამიანური რესურსების მართვაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარების ზოგადი ტენდენციები: მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის დინამიკა, რეალური შემოსავლის ზრდა, ეროვნული პროდუქტის სტრუქტურის ცვლილება, ინფლაციის ტემპი და ა.შ. ყველა ამ ტენდენციის დადებითი კუთხით განვითარება ხელს უწყობს ეკონომიკის საქმიანი აქტივობის ამაღლებას, დამსაქმებლის გამოცოცხლებას, უმუშევრობის დონის შემცირებას, სულ უფრო მეტი სამუშაო ძალის დასაქმებას. უარყოფითი კუთხით განვითარების შემთხვევაში – ეკონომიკა ჩერდება.

მნიშვნელოვანი ტენდენციები ადამიანური რესურსების მენეჯმენტში. ადამიანური რესურსების მენეჯმენტმა თანამედროვე სახით ჩამოყალიბებამდე გარკვეული გზა გაიარა. მე-20 საუკუნეში ადამიანური რესურსების/პერსონალის მენეჯერების უმეტესობა ფოკუსირებას ახდენდა ტრანსაქციურ საკითხებზე. ისინი კომპანიებში ახდენდნენ, ძირითადად, პერსონალის დაქირავება-გათავისუფლებას. შემდეგ მათი ფუნქციები გაფართოვდა, დაემატა დასაქმების სექცია და ტრენინგი. 1960-70 წლებიდან მათ მოვალეობათა ნუსხაში მნიშვნელოვანი გახდა დამსაქმებლის დახმარება.

დღეს, როცა კომპანიებს საქმიანობა უხდება ისეთ რთულ გარემოში, რომლისთვისაც დამახასიათებელია გლობალიზაცია, კონკურენციის გაღრმავება, ტექნოლოგიური ინოვაციები,

სამუშაო ძალის სტრუქტურის ცვლილება, ეკონომიკური პრობლემები, ადამიანური რესურსების მენეჯმენტში გამოიკვეთა შემდეგი თანამედროვე ტენდენციები:

1) ადამიანური რესურსების ახალი ტიპის მენეჯერები, რომლებსაც თანამედროვე ეტაპზე მოეთხოვებათ შემდეგი სამი მოვალეობის შესრულება:

ა. კომპანიის განვითარების მიმართულების ფორმირებაში ჩართულობა. მათი ფუნქციები არ უნდა შემოიფარგლოს ისეთი მარტივი პროცედურით, როგორიცაა მომუშავეების მიღებაზე ხელის მოწერა, ისინი უნდა იყვნენ ფირმის შიდა კონსულტანტები, მოახდინონ იმ ცვლილებების იდენტიფიცირება და ჩამოყალიბება, რომლებიც კომპანიას წარმატებას მოუტანს და დაეხმარება წამყვან მენეჯერებს გრძელვადიანი გეგმების, სტრატეგიების ფორმულირებასა და რეალიზაციაში, ანუ ადამიანური რესურსების მენეჯერებმა ყურადღება ტრანსაქციური მომსახურებიდან უნდა გადაიტანონ წამყვანი მენეჯმენტის განვითარებაზე და ამის საფუძველი უნდა იყოს „ინფორმირება და ნდობა“.

ბ. საქმიანი მომსახურების ახალი გზების გამოყენება. ისინი უნდა იყენებდნენ ისეთ ტექნოლოგიებს, როგორებიცაა: ტექნოლოგიური გარე წყაროები და მომსახურების პროვაიდერები, ქსელის პორტალები, ინტერნეტ-ქსელით პროგრამული უზრუნველყოფა და ა.შ.

გ. ახალი უნარების ფლობა. ადამიანური რესურსების მენეჯერებს სჭირდებათ არა მარტო ისეთი უნარები, როგორებიცაა: სტრატეგიების შემუშავება, შიდა კონსულტაციები, გარე ტექნოლოგიური წყაროების გამოყენება და ფლობა, არამედ მათ სჭირდებათ უნარები ისეთ სფეროში, როგორიცაა: პერსონალის შერჩევა, ტრენინგი და ანაზღაურება. ასევე, მათ დამატებით მოეთხოვებათ ბიზნესის ცოდნა და გამოცდილება.

2. ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა, რაც ნიშნავს ადამიანური რესურსების კანონების და პრაქტიკის ფორმულირება-რეალიზაციას, რომელიც განსაზღვრავს დასაქმებულის კომპეტენციებსა და ქცევას, რაც კომპანიას თავისი მიზნების მიღწევისათვის სჭირდება.

3. მაღალეფექტიანი სამუშაო სისტემა. კონკურენციის გაღრმავება და ეკონომიკური გამოწვევები მოითხოვს დამსაქმებელმა მეტი ყურადღება გაამახვილოს პროდუქტიულობასა და შედეგების გაუმჯობესებაზე, რაშიც მნიშვნელოვან როლს ადამიანური რესურსების მენეჯერი ასრულებს. ის კომპანიები, რომლებსაც აქვთ მაღალი მწარმოებლურობის მქონე შერჩევის, ტრენინგის, უსაფრთხოების დაცვის პროგრამები, საუკეთესო შედეგებით გამოირჩევიან. მაღალეფექტიანი სამუშაო სისტემა არის ადამიანური რესურსების მენეჯმენტის კანონებისა და პრაქტიკის ნაკრები, რაც უზრუნველყოფს წარმოების მაღალი შედეგების მიღწევას.

4. ადამიანური რესურსების მართვა რეალური მონაცემების საფუძველზე არის ფაქტობრივი მონაცემების ანალიზის, მეცნიერული კვლევის, კრიტიკული შეფასებისა და ძიება/სწავლების გამოყენება ადამიანური რესურსების მენეჯმენტის მიზნების, გადაწყვეტილებების, პრაქტიკისა და დასკვნების განსახორციელებლად. მარტივად რომ ვთქვათ, იგი რეალობის გააზრებული გამოყენებაა გადაწყვეტილებების მიღებისას.

5. მმართველობითი ეთიკა დაკავშირებულია ისეთ საკითხებთან, როგორებიცაა: სამუშაო ადგილის უსაფრთხოება, დასაქმებულთა პირადი უფლებების დაცვა და სხვა.

6. ადამიანური რესურსების სერტიფიკაცია. თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში შექმნილია სასერტიფიკაციო ინსტიტუტი, რომელიც ადამიანის რესურსების მენეჯერებს გამოცდებს სთავაზობს. გამოცდა მოიცავს ამ საქმიანობის ყველა ასპექტს: ეთიკა, მენეჯმენტის პრაქტიკა, პერსონალის განვითარება, კომპენსაცია, საქმიანი ურთიერთობა, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. ის, ვინც ამ გამოცდებს წარმატებით ჩააბარებს, ადამიანური რესურსების პროფესიონალი მენეჯერის სერტიფიკატს მიიღებს.

ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, როგორც მეცნიერება და სასწავლო დისციპლინა. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, როგორც მეცნიერება, ეკონომიკური მეცნიერე-

ბის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მისი საგანია ადამიანური რესურსების მართვა თავისი ფუნქციებით, სუბიექტებითა და მეთოდებით. ის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, პირველად ჩამოყალობდა აშშ-ში, XX საუკუნის 60-70-იან წლებში.

ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, როგორც მეცნიერება, არსებობს თეორიულ და გამოყენებით დონეზე. თეორიის მიზანია ფუნქციურ და სხვა ურთიერთკავშირებისა და მათ შორის კანონზომიერებათა დადგენის გზით, ახალი ცოდნის მიღება, ხოლო გამოყენებით დონეზე დაკავებულია ისეთი საკითხებით, როგორებიცაა: რეალური წარმოებრივი სიტუაციების ცვლილება და განახლება, მომუშავეთა გამოყენებისას ეფექტიანობის ამაღლებისათვის კონკრეტული მოდელების, პროექტებისა და წინადადებების დამუშავება.

ადამიანური რესურსების მენეჯმენტი კომპლექსური ხასიათისაა. მისი მთავარი შემადგენელი ნაწილებია:

● სპეციფიკური ცოდნა იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს მომუშავეთა სხვადასხვა მახასიათებელი მათ ორგანიზაციაში მოზიდვაზე, შერჩევასა და ორგანიზაციულ ქცევაზე.

● ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით, არსებული ურთიერთკავშირების გამოყენების წესები და ხერხები. ამასთან ერთად, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ეყრდნობა და ნაწილობრივ მოიცავს სხვადასხვა თეორიას – ეკონომიკური თეორიები, ფსიქოლოგიური თეორიები, სოციოლოგიური თეორიები, შრომისა და სოციალური სამართალი.

ლიტერატურა:

1. http://en.wikipedia.org/wiki/Human_resources
2. http://managementhelp.org/humanresources/#anchor69711
3. http://www.shrm.org/hrdisciplines/technology/articles/pages/hr,-it-weigh-in-on-google,-apple-$415-million-settlement-in-anti-trust-suit.aspx;
4. http://www.oecd.org/gov/pem/OECD%20HRM%20Profile%20-%20Belgium.pdf;
5. https://books.google.ru/books?id=vefB8b9YC&pg=PA120&lpg=PA120&dq=human+resources+management+country+profiles&source;
6. http://lexicon.ft.com/Term?term=globalisation;
7. http://www.theguardian.com/world/2002/oct/31/globalisation.simonjeffery;
8. http://ec.europa.eu/economy_finance/international/globalisation/index_en.htm;
9. http://www.unesco.org/education/tlsf/mods/theme_c/mod18.html?panel=4#top;

GIVI EDISHERASHVILI

THE FACTOR OF GLOBALIZATION IN HUMAN RESOURCES

Summary

Nowadays globalization is very important process and it has the greatest impact on many aspects of our everyday's life such as social, economic or political ones.

Globalization has also played a significant role in the transformation of human resources reflected in the changes of official attitudes and expectations. On the basis of global necessity several factors of human resources have been shown with a new perspective.

ნანა შატბერაშვილი

საკადრო პოლიტიკის თავისებურებები

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები ნათლად მიანიშნებენ შედარებით ახალი მოვლენის შესახებ, რომელსაც შეიძლება ცოდნის ეკონომიკა ვუწოდოთ. ბოლო წლებში თანამედროვე ეკონომიკური პროგრესის მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალად იქცა ადამიანი, რომელიც წარმოადგენს ცოდნის, როგორც განსაკუთრებული და სპეციფიური ტიპის კაპიტალის დაგროვების ფორმას.

მსოფლიოს განვითარების ყველა ეტაპზე იყო პერიოდი, როდესაც ადამიანების უფლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავდა მათი მემკვიდრეობითი, რასობრივი თუ რელიგიური კუთვნილება. დღევანდელ მსოფლიოში კი, ეს ტენდენცია მხოლოდ ცალკეულ ქვეყნებში შეინიშნება. ქვეყნების უმრავლესობაში ძირითადად აღიარებენ არჩევანის თავისუფლების პრინციპებს და ყოველი ადამიანი დაბადებიდანვე იწყებს ზრუნვას საზოგადოებაში სასურველი ადგილის დასაკავებლად. ეს არის „ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ“, რომელიც წარმატების მისაღწევად სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას დასაშვებად ცნობს, თუმცა წარმატების მნიშვნელოვან ბერკეტად, მაინც კონკურენტუნარიანი ცოდნაა, რადგან სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ეფექტურობითა და შრომის ბაზარზე არამდგრადობით ხასიათდება.

დღეს, სწრაფად ცვალებადი ტექნოლოგიური პროცესები და ინფორმაციის გავრცელების სწრაფი ტემპი მოითხოვს, რომ ადამიანი, როგორც კონკურენტუნარიანი ცოდნის მესაკუთრე, კვალიფიკაციის ამაღლებას უწყვეტ რეჟიმში საჭიროებს.

ინფორმაციის სწრაფად გავრცელებისა და ტექნოლოგიების სწრაფი განახლების პირობებში, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მსოფლიოს 500 უმდიდრესი ადამიანის რეიტინგში მესამედს შეადგენენ ის ადამიანები, რომელთაც უმაღლესი განათლება არ მიუღიათ, ხოლო მათი ქონების საშუალო მაჩვენებელი აჭარბებს „დიპლომიანი“ მილიარდერების საშუალო მაჩვენებელს. ეს ინფორმაცია საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ სწრაფად მზარდი განვითარების პირობებში არაეფექტური შეიძლება აღმოჩნდეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიწოდებული ცოდნა და მუდმივ განახლებას საჭიროებდეს ..

აღსანიშნავია, რომ ცოდნის ეკონომიკა დიდ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. ერთი მხრივ, ცოდნის ეკონომიკის გათვალისწინებით, ეკონომიკური ზრდა დამოკიდებული გახდა ადამიანისეულ ფაქტორზე, რომელიც მონაწილეობს მუდმივად განახლებადი ცოდნის კაპიტალის სახით. მეორე მხრივ კი, არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ რაც მეტია განათლებული ადამიანების წილი ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში, მით მაღალია ეკონომიკის დონე ამ ქვეყნებში, რაც თავის მხრივ, განათლების სისტემაში ინვესტიციების ყოველწლიური ზრდით არის განპირობებული.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში განათლების სისტემის დაფინანსების ზრდის ტენდენციაა შეინიშნება, საშუალო ნიშნულთან მაინც არ არის მიახლოებული.

აქედან გამომდინარე, თუ გავითვალისწინებთ ასევე დაბალ სოციალურ პირობებს, რომელიც აუცილებელია ადამიანის, როგორც ცოდნის კაპიტალის მორალური ცვეთის შესაჩერებლად, ადვილი წარმოსადგენია, რომ მკვეთრი ეკონომიკური ზრდის მიღწევა საქართველოში საკმაოდ შორეული პერსპექტივაა.

ეკონომიკური ზრდის მისაღწევად მნიშვნელოვანია თვით მართვადი სამუშაო ჯგუფების (Self Managing Working Teams, SMWT) როლის განხილვა. თვითმართვადი სამუშაო გუნდები ისეთი გუნდებია, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ტექნიკური ამოცანების შესრულებაზე და მართვაზე იმგვარად, რომ გამზადებული პროდუქტი ან მომსახურება შესთავაზონ შიდა და გარე მომხმარებელს, თუნდაც იმ მხრივ, რომ მისმა გამოყენებამ შეამციროს უთანასწორობა და გაზარდოს პროდუქტიულობა. მაგალითად 1000 ყველაზე დიდი კომპანიის გამოკითხვამ ჯერ კიდევ 1987 წელს აჩვენა, რომ ფირმების 17%-ი იყენებდა ამ მეთოდს, 47%-ი 1990 წელს და 69%-ი

1993 წელს თანამშრომლების ნაწილთან მაინც. სხვა კვლევამ აჩვენა, რომ 2000 წლიდან ამერიკული და ევროპული კომპანიების 70-82%-ი დღემდე ასეთ სამუშაო ჯგუფებს იყენებს.

ზოგადად სტატისტიკა სადაოს ხდის თუ რამდენად ეფექტურად შეიძლება კერძო სექტორის გამოცდილების გაზიარება საჯარო სექტორში. თუმცა, საჯარო და კერძო სტრუქტურებში განაწილებული ადამიანური რესურსების ეფექტურობის შეფასებისა და შედეგების გაანალიზების მრავალი გზა არსებობს.

წარმატების გაზომვის სამი საფეხურისგან შემდგარი ცვლადები უნდა გამოვიყენოთ:

- ინდივიდუალური: მოტივაცია და ერთგულება;
- გუნდური: ერთიანობა, ნდობა და კომუნიკაცია;
- ორგანიზაციული: დაჯილდოება და წვრთნა.

სისტემების ეფექტურობისთვის საჭიროა, ადამიანური რესურსების იმ ძირითად ფუნქციებზე გადატანა, რომლებსაც შედეგებზე დიდი გავლენა აქვს, რაც თავის მხრივ ახალი ფუნქციების დამატებასა და არსებული ფუნქციების ნაწილის აქტუალურობის დაკარგვას იწვევს.

ამ შედეგის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა მინიმუმ სამ წელიწადში ერთხელ გადაიხედოს, გაანალიზონ ფუნქციები და დაიგეგმოს გარკვეული ცვლილებები, რომელიც კონკრეტული მოტივით და პროგრამით იქნება დასაბუთებული.

ქართულ ორგანიზაციებში მენეჯმენტის მნიშვნელოვან გამოწვევას, ინიციატივების წრებრუნვის მიმართულება წარმოადგენს. კერძოდ, ქვემოდან ზემოთ წამოსული ინიციატივების არაობიექტური კრიტიკა და საბოლოოდ, ნაწილობრივ ან სრულად უგულველყოფა, რაც უდაოა, რომ თანამშრომლების დემოტივაციას უწყობს ხელს, რაც თავისთავად კონკრეტული ორგანიზაციის და ზოგადად სისტემის არაეფექტურობაში აისახება.

განხილულ სიტუაციაში წარმატებაზე ორიენტირებული ყველა ორგანიზაციისთვის გამოსავალი შემდეგია:

- ინიციატივების და იდეების გენერაციის პროვოცირება;
- ინიცირებული პროექტების განხილვის მექანიზმის შექმნა;
- შერჩეული პროექტების განხორციელების ეფექტური მონიტორინგი.

სახელმწიფო დაწესებულებების მნიშვნელოვან პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს, საკადრო გადაწყვეტილებებში ხელმძღვანელების არასაკმარისი თავისუფლება, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურებს არაეფექტურს ხდის.

აღსანიშნავია,რომ სახელმწიფო სტრუქტურებში ჩატარებული კონკურსების გასაუბრების ეტაპი არ არის სრულყოფილი და სამართლიანი. სახელმწიფო ორგანიზაციებში არსებული გასაუბრების ფორმა სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების საშუალებას იძლევა,რადგან არ არსებობს ყველა კანდიდატზე მორგებული შეფასების სტრუქტურირებული ფორმა.

განსაკუთრებით არაეფექტურია კადრების შერჩევის ან გადარჩევის პროცესზე გავლენა სხვადასხვა ნიშნით (პოლიტიკური,რელიგიური,სქესობრივი და ა.შ.), რაც დისკრიმინაციაში გამოიხატება. ორგანიზაციებში არაპროფესიონალური ნიშნით დასაქმებული კადრების სიმრავლე პრობლემებს ქმნის ფორმალურ და არაფორმალურ ურთიერთობებზეც. ეს სიტუაცია კი უარყოფით გავლენას ახდენს მთლიანად მენეჯმენტზე,რაც ეტაპობრივად უარყოფით გავლენას ახდენს მთლიანად სტრუქტურების ეფექტურობაზე.

საკადრო გადაწყვეტილებებში განსაკუთრებული თავისუფლება საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერების შერჩევისას არის საჭირო. ასევე მნიშვნელოვანია, ცალკეული რიგითი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა, რაც ფინანსურ მხარდაჭერაშიც იქნება განპირობებული.

ყოველი სახელმწიფოს ინტერესში უნდა შედიოდეს ინვესტიციების განხორციელება „ადამიანისეულ კაპიტალში“, რომელიც, გარდა ცოდნისა, მოიცავს ჯანდაცვის, კულტურის, სპორტისა და სხვა სოციალური ინსტრუმენტებს ნაკრებს და რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის, როგორც ინტელექტუალური კაპიტალის მუდმივ განახლებას.

თუ ზემოაღნიშნული პრობლემები დროულად არ გამოვლინდება და ქვეყნაში კადრების შერჩევის მექნიზმი არ შეიცვლება, სახელმწიფო ორგანიზაციების საქმიანობა ჩიხში შევა და ამის შემდეგ პრობლემების იდენტიფიცირება და სტრატეგიის შემუშავება დაგვიანებული იქნება.

ლიტერატურა:

1. ტოლიაშვილი პ., ზოგადი მენეჯმენტი, კადრების მართვა, ორგანიზაციული სტრუქტურა“, 2014, გვ. 4.
2. პავლაიშვილი ს., სახელმწიფო საწარმოთა მართვის სრულყოფისათვის, „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2010, გვ. 5.
3. www.washprofile.org.
4. Education at a Glance, 2007.

NANA SHATBERASHVILI

FEATURES OF HUMAN RESOURCES MANAGEMENT

Summary

The paper deals with the peculiarities of employment in public sector and three stages of human capital measuring success. It also analyzes the necessary forms for all organization's activities oriented on the success and outlines several recommendations. Special attention is placed upon some negative features characterized for the selection process of human resources and the ways of increasing their effectiveness.

სოფიო დეკანოსიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

უცხოურ ლიტერატურაში ლიდერობის როლისებრი დიფერენციაციის მიზეზების განმარტებისათვის

ლიდერობის როლისებრი დიფერენციაციის შესწავლას საფუძველი ჩაეყარა რ. ბეილზის და ფ. სლეიტერის ლაბორატორული ექსპერიმენტების დროს. მკვლევრები მუშაობდნენ მცირერიცხოვან დისკუსიურ ჯგუფებთან 3-6 ადამიანის შემადგენლობით, რომლებშიც არ არსებობდა რაიმე სახის ლიდერი. ლიდერობის ორი სხვადასხვა როლის აღმოჩენის მიზეზებს რ. ბეილზი და ფ. სლეიტერი შემდეგში ხედავდნენ: ითვლებოდა, რომ ჯგუფის წევრებს არათანაბარი წვლილი შეაქვთ ჯგუფური პრობლების გადაწყვეტაში და ამ საქმიანობაში ყველაზე მეტად აქტიური სუბიექტი იქცევა ინსტრუმენტალურ ლიდერად. ჯგუფის წევრების მიერ ჯგუფური ამოცანის ამოხსნაში საკუთარი არათანაბარმნიშვნელოვანი მონაწილეობის აღქმას, ავტორების აზრით, მივყავართ იქამდე, რომ ინსტრუმენტალური ლიდერი მათ მიერ განიხილება, როგორც დაძაბულობის და ფრუსტრაციის მთავარი წყარო. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ნაკლებად შესაძლებელია ლიდერმა მოახერხოს ამოცანის გადაწყვეტისას ეფექტურად მართოს წარმოქმნილი პიროვნებათაშორისი პრობლემები, ჯგუფი ამ როლისთვის გამოჰყოფს თავის მეორე წევრს. ასე წარმოიქმნება ექსპრესიული ან სოციალურ-ემოციური ლიდერი.

შემდგომში ბეილზ-სლეიტერის ინტერპრეტაციამ უცხოელი მკვლევრების კრიტიკა განიცადა. კერძოდ, გამოითქვა ეჭვი იმის მიმართ, რომ შესაძლებელია თუ არა დიფერენციაცია, რომელიც ასე მკვეთრად გამოიკვეთება ლაბორატორულ ექსპერიმენტებში, იმავე ხარისხით იყოს მკვეთრი ბუნებრივ, არალაბორატორულ სიტუაციებში, რადგან მათში საქმიანობის მოტივაციის ფაქტორი უფრო ძლიერად გამოიკვეთება, ვიდრე ლაბორატორულში, და შესაბამისად, მტრული განწყობის წარმოქმნა ამოცანის ამოხსნაში უფრო ეფექტური ჯგუფის წევრის მიმართ არ იქნება იმდენად მნიშვნელოვანი. აქედან გამომიდინარე, ლაბორატორულ პირობებთან შედარებით ბუნებრივ სიტუაციებში ნაკლებად უნდა ველოდოთ ლიდერული როლების დიფერენციაციისკენ სწრაფვას. გარდა ამისა, პ. სეკორდმა და კ. ბეკმანმა შემოგვთავაზეს, რომ როლისებრი დიფერენციაცია ამოცანის ამომხსნელი ქმედებების წარმატების ხარისხის პირდაპირ პროპორციულად უნდა იცვლებოდეს. რაც უფრო ნაკლებად კმაყოფილნი არიან ჯგუფის წევრები ამოცანაზე მუშაობით და რაც უფრო მეტია მათ მიერ მიღებული ზარალი ამ სამუშაოს პროცესში, მით უფრო სავარაუდოა სხვადასხვა პიროვნების ხელში სხვადასხვა ფუნქციის კონცენტრაცია.

ბოლო წლებში ლიდერობის როლისებრი სტრუქტურის ინტენსიურ კვლევას მიმართა პ. ბერკმა. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერიმენტმა ლაბორატორულ პირობებში კრახი განიცადა, ბერკმა, ბეილზ-სკეიტერის კონცეფციის კრიტიკის გათვალისწინებით, სცადა განეხორციელებინა მისი მოდიფიკაცია. მის მიდგომაში ძირითად როლს ასრულებს „ამოცანის ამოხსნის ლეგიტიმური საქმიანობის“ ცნება (The Legitimation of Task Activity), რომელიც გულისხმობს იმას, რომ ამოცანის ამოხსნა არის მისაღები და ნორმატიულად გამართლებული საქმიანობა, და შესაბამისად, როდესაც ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ირთვება მასში, ეს არ უნდა იწვევდეს ჯგუფის სხვა წევრების წინააღმდეგობას. ბერკი თვლის, რომ „ამოცანის ამოხსნის ლეგიტიმური საქმიანობის“ ფაქტორი ასრულებს შუამავლის როლს ამოცანის ამოხსნაში ჯგუფის წევრების არათანაბარფარდოვანი წვლილის შეტანასა და როლისებრი დიფერენციაციის განვითარებას შორის.

სპეციალურად შემუშავებული ინსტრუქციის მეშვეობით ექსპერიმენტებში იქმნებოდა მაღალი და დაბალი ლეგიტიმაციის პირობები. მაღალი ლეგიტიმაციის პირობებში ჯგუფის წევრები უფრო აქტიურად და შეთანხმებულად მოქმედებდნენ, დაბალი ლეგიტიმაციის პირობებში

მსგავსი სტიმული არ არსებობდა. „ამოცანის ამოხსნის ლეგიტიმური საქმიანობის“ ცნების მსგავსი ოპერაციონალიზაცია იძლევა მაღალი და დაბალი ლეგიტიმაციის პირობების, როგორც, ფაქტობრივად, ჯგუფის წევრების მოტივაციის სხვადასხვა ხარისხის განხილვის შესაძლებლობას. მიღებული მონაცემების თანახმად, ამოცანის ამოხსნის საქმიანობაში არათანაბარ-ფარდოვანი მონაწილეობა იწვევს განსაკუთრებული სპეციალიზირებული ინსტრუმენტალური და სოციალურ-ემოციური როლების წარმოქმნას საქმიანობის დაბალი ლეგიტიმაციის პირობებში, ხოლო მსგავსი დიფერენციაცია არ წარმოიქმნება მაღალი ლეგიტიმაციის პირობებში. მეორე დასკვნა, რომელიც გამოიტანა ბერკმა არის ის, რომ საქმიანობის დაბალი ლეგიტიმაციის პირობებში ამოცანის ამოხსნაში ინსტრუმენტალური ლიდერის ინტენსიური მონაწილეობა ამცირებს მის სოციალურ-ემოციურ აქტივობას; მაღალი ლეგიტიმაციის პირობებში ინსტრუმენტალური ლიდერის ექსპრესიული საქმიანობა არ ექვემდებარება მსგავს რედუცირებას. ასეთია დღესდღეობით არსებული მოსაზრებები მცირე ჯგუფებში ლიდერობის როლისებრი დიფერენციაციის მიზეზებზე. ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ მათი წარმოქმნა დაფუძნებულია ხელოვნური, ლაბორატორული ჯგუფების შესწავლაზე და, კერძოდ, სპორტული ფსიქოლოგების. ჩვენს საკუთარ მონაცემებთან, რომლებიც მიღებულია რეალურ ჯგუფებში (საგამომძიებლო ხასიათის კვლევა ჩატარდა იუნიორთა ექვს სპორტულ გუნდში), მათი შეფარდება იწვევს რიგ უთანხმოებას.

• ***პირველ რიგში,*** ლიდერობის როლისებრი დიფერენციაციის ფაქტი, მაგალითად, იუნიორთა სპორტულ კოლექტივებში არანაირად არ ეთანხმება იმ მტკიცებულებას, რომ საქმიანობის მაღალი ლეგიტიმაციის პირობებში, ანუ არსებითად ჯგუფური საქმიანობის მოტივაციის მაღალი ხარისხის პირობებში, დიფერენციაცია არ იარსებებს. სპორტული გუნდების წევრებთან და მწვრთნელებთან საუბრები, ახალგაზრდა სპორტსმენების ქცევაზე დაკვირვება ვარჯიშების და შეჯიბრების დროს საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ახალგაზრდული სპორტული კოლექტივების წევრებისთვის სპორტულ საქმიანობას ენიჭება მეტისმეტად პიროვნული მნიშვნელობა და, შესაბამისად, მათი მოტივაცია საქმიანობისთვის საკმაოდ მაღალია. მიუხედავად ამისა, ლიდერობის როლების დიფერენციაციას ადგილი ჰქონდა ოთხ გუნდში;

• **მეორე,** ინსტრუმენტალურ ლიდერებსა და სპორტული კოლექტივების დანარჩენ წევრებს შორის არ აღინიშნება რაიმე სახის ანტოგონიზმი. ამაზე მსჯელობა შესაძლებელია იქიდან გამომდინარე, რომ შესასწავლ კოლექტივებში ინსტრუმენტალური ლიდერები იღებდნენ საკმაოდ მაღალ შეფასებას ექსპრესიული ლიდერობის საზომებშიც კი. ამასთან, ორ შემთხვევაში ორივე ლიდერობის როლს ახორციელებდა ერთი და იგივე პიროვნება.

თუმცა მთავარი წინააღმდეგობა, რომელიც თავს იჩენს ზემოთ განხილული ინტერპრეტაციების შემთხვევაში, იმაში მდგომარეობს, რომ ყველა მათგანი მიმართულია იქითკენ, რომ ახსნას ურთიერთობები შემთხვევით ინდივიდებს შორის შემთხვევით ჯგუფებში: სწორედ ასეა შესაძლებელი ლაბორატორული, მ. შოუს სწორი შენიშვნის მიხედვით, გამოსაცდელთა „ორმოცდაათ წუთიანი“ ჯგუფების დახასიათება, რომლებსაც არ გააჩნიათ ისტორია, ტრადიციები და ამოღებულნი არიან ცხოვრებისეული კონტექსტის მრავალფეროვნებიდან. შესაბამისად, ბუნებრივია ის, რომ მრავალი თეორია, რომელიც მსგავსი ხელოვნური ჯგუფების შესწავლას ეყრდნობა, უუნაროდ იქცევა ადამიანთა რეალურ ჯგუფებში მიმდინარე პროცესებისა და ფენომენების ახსნის მცდელობისას, – ეს არის გარემოება, რომელსაც ბოლო დროს მრავალჯერ მიექცა ყურადღება სამამულო და უცხოურ ლიტერატურაში.

სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევის ფოკუსის გადაყვანა ლაბორატორული სფეროს მიმართულებით, რომელიც „გასუფთავებულია“ რეალური ცხოვრებისეული გამომჟღავნებისაგან, ფაქტობრივად, ნიშნავს ფუნდამენტური მეთოდოლოგიური მდგომარეობის იგნორირებას, რომლის მიხედვით, „ადამიანის პიროვნების რეალურ ბაზისს წარმოადგენს მისი სამყაროზე თავისი

შინაარსიდან გამომდინარე საზოგადოებრივი შეხედულებების ერთობლიობა“ განხორციელებადი „მისი საქმიანობით, უფრო კონკრეტულად, მისი მრავალ ფეროვანი საქმიანობების ერთობლიობით“. რასაკვირველია, მცდარი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ლაბორატორიულ ექსპერიმენტს საერთოდ არ აქვს არსებობის უფლება სოციალურ ფსიქოლოგიაში. ლაბორატორული მონაცემები, რა თქმა უნდა, შეიძლება იყოს სასარგებლო შესასწავლი სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენების გაგებისთვის, თუმცა მხოლოდ იმ ფაქტებთან შეთავსებით, რომლებიც მიღებულია ამ ფენომენების რეალურ სოციუმში შესწავლის დროს და არავითარ შემთხვევაში, როგორც საფუძველი რაიმე თეორიული მოდელის აგებისთვის. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ლაბორატორიაში მიღებული სოციალურ-ფსიქოლოგიური მონაცემები (ამ შემთხვევაში განმარტება „სოციალურ-ფსიქოლოგიური“ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ დიდი სიფრთხილით) ვერ ასახავენ ვერც ადამიანების საქმიანობების მრავალფეროვნებას, ვერც უკანასკნელების მნიშვნელობას სუბიექტებისათვის და თავისით წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ რეალური ცხოვრებისეული პროცესების სუსტ აბსტრაქციას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ: ადრე განხილული ბეილზ-სლეიტერის, ბერკის და სხვა ავტორების ახსნითი მოდელები არასაკმარისად ადეკვატურებია ჯგუფში ლიდერობის როლისებრი სტრუქტურის შექმნისა და განვითარების ინტერპრეტაციისთვის. დასავლური მკვლევრების კონცეპციების ალტერნატივად უნდა იქცეს პრინციპულად ახალი მიდგომა, რომელსაც საფუძვლად დაედება სოციალური ჯგუფის, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების ფართო სისტემაში ჩართული ფუნქციური ერთეულის გაგება.

ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., ასათიანი თ. მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების თავისებურებები მენეჯმენტში, ჟურნალი ეკონომიკა 5, 2009.
2. ბარათაშვილი ე., ბოლქვაძე ა., ლიდერობა და გუნდური მუშაობა მენეჯმენტის ეფექტიანობის განსმსაზღვრელი ფაქტორი, ჟურ.სოციალური ეკონომიკა 5-6, 2009.
3. ხარაძე ე., ლიდერობა და ადამიანთა მართვის ხელოვნება, თბ., 2009.
4. Kotter John P. Leading Change. Boston, MA: Harvard Business School Press, 1996.
5. Менегетти А. Психология лидера. 2004.
6. htpp:/al24.ru?wpuploads 201207Menegetti Psihologiya – liderstva Pdf

SOPIO DEKANOSIDZE

ON REASONS OF ROLE DIFFERENTIATION OF LEADERSHIP IN FOREIGN LITERATURE

Summary

The paper explains some issues of the role differentiation of leadership in foreign literature and examines the working materials in discussing teams conducted by the researchers. It also focuses on two reasons of revealing leadership in the group, the conditions of high and low legitimacy and differentiation between instrumental and expressive leadership roles.

თამარ ბუკია-ვერულაშვილი
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი

ექსტრემალური ტურიზმის რაობა

XX საუკუნის ბოლოს სათავგადასავლო ტურიზმმა განვითარება დაიწყო, რომლის მიზანია ახალი შთაბეჭდილებების მიღება, ტურისტთა ფიზიკური ფორმის გაუმჯობესება და ახალი სპორტული შედეგების მიღწევა. ტურიზმის სპეციალურ სახეებს მიეკუთვნება სათავგადასავლო ტურიზმის ერთ-ერთი სახესხვაობა, – ექსტრემალური ტურიზმი, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტ პოპულარობას იძენს. სულ უფრო მეტი ადამიანია დაინტერესებული, გაეცნოს წყალქვეშა სამყაროს ზღაპრულ სილამაზეს, თხილამურებით დაეშვას დათოვლილი მწვერვალებიდან ან გადმოხტეს პარაშუტით და განიცადოს ფრენის საოცარი შეგრძნება. და მაინც, ტურისტთა ჯერ კიდევ დიდ უმრავლესობას ურჩევნია ისეთი სახის ტურები, როგორებიცაა საექსკურსიო, შემეცნებითი, საკურორტო და სხვ. ამის მიზეზი კი არის ის, რომ ტურისტებმა არ იციან, რას მოიცავს ექსტრემალური ტურიზმი და რა ღირს ყოველივე ეს.

დასვენების აქტიური სახეობებიდან **ყველაზე მეტი პოპულარობა მოიპოვა დაივინგმა ანუ წყალქვეშა ცურვამ.** დაივინგი ყველაზე ექსტრემალურია დანარჩენ სახეობებთან შედარებით. ის სახიფათო, მიმზიდველი და მოდურია! დაივინგმა შეავიწროვა ისეთი სახეობები, როგორიცაა პარაშუტით ხტომა და სამთო-სათხილამურო სპორტი. თავად დაივერებს მიაჩნიათ, რომ წყალში 40 მ. სიღრმეზე ჩასვლა ზურგზე მოკიდებული მძიმე ბალონებით – ყველაზე მშვენიერია ყველა სხვა გასართობს შორის. სტატისტიკური მონაცემები ყველაფერს თავად ამბობენ: 40 წლის წინ დაივერთა საერთო რაოდენობა მსოფლიოში იყო სულ რამდენიმე ასეული ადამიანი, მაშინ, როცა დღეისთვის მსოფლიოში 40 მლნ დაივერზე მეტია.

პოპულარობის მიხედვით მეორე ადგილზეა პარაშუტით ხტომა, რომელიც ჯერ კიდევ 50 წლის წინ დაიწყეს, მაგრამ დასვენების სახეობად ისინი გადაიქცნენ 15 წლის წინ. ამჟამად არსებობს პარაშუტით ხტომის რამდენიმე სახეობა: სქაისერფინგი, ჯგუფური აკრობატიკა, ბეიზ-ჯამფინგი და ა.შ.

თუ ვინმეს არ მოსწონს წყალში ყვინთვა ან პარაშუტით ხტომა, მას შეუძლია მოსინჯოს **ვინდსერფინგი,** ანუ იალქნიანი სერფინგის დაფით სრიალი წყალზე ქარის საშუალებით. ტურიზმის ასევე ძალიან პოპულარული სახეობა. მაგრამ ვინდსერფინგისტებს ძალზე ხშირად უწევთ წყალში ვარდნა, რის გამოც მაღალია დახრჩობის რისკი.

საწყალოსნო ექსტრემალურ ტურიზმს მიეკუთვნება ჯომარდობაც ანუ რაფტინგი, – ნავებით დაშვება მთის სწრაფ მდინარეებზე, რაც საკმაოდ მაღალ რისკთან არის დაკავშირებული.

ტურიზმის ყველაზე ექსტრემალურ სახეობად ითვლება ალპინიზმი, რომლის დროსაც მოწმდება ადამიანის როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ამტანობა.

ალპინიზმის ალტერნატივად ითვლება სპელეოტურიზმი – მოგზაურობა მიწისქვეშა მღვიმეებში.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ექსტრემალური ტურიზმის საწყლოსნო სახეობები

დავინგი (ყვინთვა და წყალქვეშა ცურვა) – ექსტრემალური ტურიზმის ძალზე პოპულარული სახეობაა და ელიტარულ ტურიზმს მიეკუთვნება. დაივერების საშუალო ასაკი 30-36 წელია. მათ ურჩვნიათ ყვინთვა და ცურვა წითელ ზღვაში, ან თუნდაც ხმელთაშუა ზღვაში. ამიტომ

ისინი სპეციალურად მიემგზავრებიან შარმ-ელ-შეიხში ან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სადაც მათ წარმოუდგენელი სილამაზის წყალქვეშა სამყაროს ხილვა ელოდებათ.

დაივინგისთვის მომზადება და სრული აღჭურვილობის შეძენა ახალბედებს დაუჯდებათ დაახლოებით 1000 $. დამატებით გადასახდელი ექნებათ ტურპაკეტის ღირებულებაც. თუ აღჭურვილობას არ შეიძენენ, ეს 250 $-ით ნაკლები დაუჯდებათ, მაგრამ მყვინთავის კოსტუმის, აკვალანგისა და სხვა აუცილებელი ნივთების დაქირავება დღეში 30-40 $ ჯდება. ტურიზმის ამ სახეობის ჭეშმარიტ მოყვარულებს ურჩევნიათ ხარისხიანი აღჭურვილობის შეძენა, რომელიც 1500 $-ზე მეტი ღირს.

დაივინგის უამრავი სახეობა არსებობს: ავტონომიური, არაავტონომიური, მოხალისეთა, სამკურნალო და სხვა. მოხალისეთა ყვინთვის მიზანია დასვენება. იგი სრულდება ინსტრუქტორების თანხლებით და თავის მხრივ გულისხმობს ყვინთვის ისეთ სახეობებს, როგორიცაა წყალქვეშა ნადირობა, წყალქვეშა ფოტოგრაფია, ორიენტალური ყვინთვა კომპასით და სხვა.

საქართველოში დაივინგი საკმაოდ პოპულარული და განვითარებულია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შავი ზღვა არც თუ სახარბიელო ადგილია დაივერთათვის, რადგან აქ 50 მ-ის ქვემოთ ფაქტიურად აღარ არის სიცოცხლე. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე წყალქვეშა ცურვა შესაძლებელია სარფში, კვარიათში, ციხისძირსა და პალიასტომის ტბაზე.

ვეიკბორდინგი – ექსტრემალური სპორტის ასევე ძალზე პოპულარული სახეობაა. ის წარმოადგენს წყლის თხილამურების, სნოუბორდის, სკეიტისა და სერფინგის კომბინაციას. კატერს ბუქსირით მიჰყავს რეიდერი, რომელიც დგას მოკლე და განიერ ფიცარზე. მოძრაობს რა 30-40 კმ/სთ სიჩქარით, კატერი წარმოქმნის ტალღას, რომელსაც რეიდერი ტრამპლინივით იყენებს. ხტომის დროს შესაძლებელია უამრავი რთული ილეთის შესრულება. ვეიკბორდინგის სრული აღჭურვილობის ფასი 400 $-ზე მეტია. ამასთანავე საჭიროა სპეციალური კატერებიც, რომლებიც საკმაოდ სოლიდური თანხა ჯდება. სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ ვეიკბორდინგისტთა რაიდენობა ძალიან მცირეა და მხოლოდ და მხოლოდ მსოფლიო მოსახლეობის ელიტარულ ნაწილს შეუძლია სპორტის ამ სახეობით გართობა.

წყლის თხილამურები – აქტიური დასვენების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ისინი პირველად 1922 წელს გამოიყენა ამერიკელმა რალფ სამუელსონმა, რომელმაც ჩვეულებრივი თოვლის თხილამურებით მოსინჯა სრიალი წყლის ზედაპირზე. პირველი სასინჯი სრიალი ლეიქ-პლესიდის ტბაზე მოეწყო. სპორტის ეს სახეობა იმდენად პოპულარული გახდა, რომ 1998 წელს საბერძნეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა განაცხადი შეიტანა, რათა სპორტის ეს სახეობა შეეტანათ 2004 წლის ოლიმპიადის პროგრამაში, თუმცა ეს გადაწყვეტილება დღემდე არ მიუღიათ. წყლის თხილამურებით სრიალისთვის საჭიროა თავად წყლის თხილამურები (რომლის ფასიც 120–1000 $-ია), მაშველი ჟილეტი, ხელთათმანები და ჰიდროკოსტუმი (ამ სამეულის საერთო ფასი 150–200 $-ია).

იახტინგი (ცურვა იალქნიანი იახტით) – ექსტრემალური ტურიზმის ელიტარული სახეობაა.

აკვაბაიკი (ანუ წყლის მოტოციკლეტი) – ეს არის რბოლა ჰიდროციკლებით. მისი წარმოშობის სამშობლო არის ამერიკა. არსებობს აკვაბაიკის სამი სახეობა: წრიული რბოლა, ფრისტაილი და სლალომი. მათ შორის ყველაზე ლამაზი და ეფექტურია ფრისტაილი. სპორტსმენები ასრულებენ მეტად რთულ და სახიფათო ილეთებს.

სერფინგი – (სერფინგის დაფით სრიალი დიდ ტალღებზე) – დაედო საფუძვლად ვინდსერფინგის სპორტის სახეობად ჩამოყალიბებას. ქარის სიჩქარის შესაბამისად, სერფინგის სიჩქარე 10-12 კმ/სთ-ია, თუმცა დღეისთვის რეკორდად ითვლება 70 კმ/სთ.

ვინდსერფინგი – (იალქნიანი სერფინგის დაფით სრიალი წყალზე ქარის საშუალებით) იალქნიანი სპორტის ერთ-ერთი სახეობაა. ჩაისახა აშშ-ში, 1968 წელს. ვინდსერფინგის დაფა

კარბონოპლასტიკისგან არის გაკეთებული ოვალური ფორმისაა, რომელზეც დრეკადი სამაგრითაა მიმაგრებული მცირე ზომის იალქანი. ვინდსერფინგის აღჭურვილობის ღირებულებაა 1700 $ და მეტი.

რაფტინგი (დაშვება მთის სწრაფ მდინარეზე კანოეთი, გასაბერი ნავებით ან სპეციალური ტივებით) – ქართულად „ჯომარდობა“, მთელს მსოფლიოში პოპულარული გახდა 1970 წლიდან. მოგვიანებით კი ტრანსპორტირების საშუალებები როდესაც დაიხვეწა და გაუმჯობესდა, ჯომარდი იქცა გასართობ, ექსტრემალურ სპორტად. ექსტრემალური ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეობაა. უკანასკნელ წლებში ტურიზმის ამ სახეობას იმდენად ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა, რომ რაფტინგის სპეციალისტებმა სპეციალური რაფტინგ-ტურებიც კი შექმნეს. ახლა ტურიზმის ამ სახეობას მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ნახავთ, სადაც კი შესაბამისი მდინარეები არსებობს.

ჯომარდის მთავარი და ყველაზე სასიამოვნი პრინციპია, გაჰყვეთ მდინარის დინებას და გადაეშვათ სხვადასხვა ჩანჩქერებზე გასაბერი ნავით. ნავზე ადგილების რაოდენობა მერყეობს ერთიდან თორმეტამდე, ეს დამოკიდებულია გასაბერი ნავის ტიპზე.

ჯომარდობა მიეკუთვნება საშიში სპორტის სახეობას, მითუმეტეს თუ უსაფრთხოების ზომები არ არის დაცული. ის კატეგორიებად არის დაყოფილი, რაც დამოკიდებულია მდინარის დინების სიჩქარეზე: I კლასი მიეკუთვნება ყველაზე იოლ ჯომარდობას, IV კლასი კი – ყველაზე საშიშს.

რაფტინგ-ტურების ხანგრძლიობაც ცვალებადია: **ნახევარი დღით** (25–75 $), **ერთი დღით** (60–150 $) და **რამდენიმე დღიანი** (ფასი – შესაბამისად დღეების რაოდენობისა). რაფტინგ-ტურების მინიმალური ღირებულება 1000 $–ია.

კაიაკინგი (სწრაფ მდინარეზე დაშვება სპეციალური ნავით, რომელსაც <u>კაიაკი</u> ეწოდება) – არის რაფტინგის ერთ-ერთი სახეობაა. კაიაკში ზის მხოლოდ ერთი ადამიანი, თუმცა არსებობს ორადგილიანი კაიაკებიც, და ნიჩბოსნის საკმაოდ დიდ გამოცდილებას მოითხოვს. კაიაკინგი ვითარდება სამი მიმართულებით: **სლალომი ნიჩბოსნობით, როდეო და დაცურება.**

სლალომის დროს ნიჩბოსანი უნდა გრძნობდეს ნავსაც და წყალსაც. სლალომი სპორტის სახეობაა, რომლის დროსაც ნიჩბოსანმა მონიშნული ტრასა უნდა გაიაროს რაც შეიძლება მცირე დროში.

როდეო, სლალომისგან განსხვავებით, ნიჩბოსნისგან მოითხოვს არა მხოლოდ ვირტუოზულ ტექნიკას, არამედ თამაშის ელემენტებსაც, – კაიაკით სრულდება რამდენიმე ურთულესი ილეთი, მდინარის შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

და ბოლოს, **დაცურება** – ეს არის წყალზე შესრულებული ლაშქრობა, როცა თითოეული ნიჩბოსანი მის კუთვნილ კაიაკში ზის, მაგრამ დაცურებაში მონაწილეობს ერთდროულად რამდენიმე კაიაკი.

კაიაკერის ეკიპირებას წარმოადგენს ნავი, შლემი, მაშველი ჟილეტი, შარვალი, „ქვედაბოლო“ (რომლის დანიშნულებაა ხელი შეუშალოს კაიაკში წყლის ჩასვლას), გარეზინებული ჩუსტები და ნიჩაბი.

კაიაკინგის ერთდღიანი ტურის ღირებულება – 200 -600 $-ია, ორდღიანის – 600 – 1100 $, სამდღიანის კი – 1200 $ და მეტი.

ექსტრემალური ტურიზმის მიწისზედა სახეობები

მაუნთინბაიკინგი – (მთის გზებსა და უგზოობაში მოძრაობა ველოსიპედით) – საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნებაა. დამწყებთათვის ველოსიპედის ღირებულება 300-500 $-ია, თუმცა პროფესიონალთა ველოსიპედის ფასი 10.000 $-ზე მეტიც შეიძლება იყოს. დანარჩენი

ეკიპირებისა და აუცილებელი სათადარიგო ნაწილების ღირებულება დამატებით 800 $-ია.

სპელეოლოგია – მღვიმეების შესწავლას ნიშნავს. თუ გავითვალისწინებთ, რომ სპელეოლოგები, უზარმაზარი ზურგჩანთებით, რამდენიმე დღით ჩადიან ამ მღვიმეებში, სპელეოლოგია – ტურიზმის ერთ-ერთი სახეობაა. შეუსწავლელი მღვიმეები – ეს არის უკანასკნელი თეთრი ლაქები დედამიწაზე, სადაც არათუ არ დადგმულა ადამიანის ფეხი, არამედ ადამიანის თვალსაც კი არასოდეს უნახავს ისინი. სპელეოლოგიით დაინტერესებული პირები კარგად უნდა იყვნენ მომზადებულნი როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად.

სპელესტოლოგია – ხელოვნურად შექმნილი მიწისქვეშა შენობების შესწავლას გულისხმობს. სპელესტოლოგია მჭიდრო კავშირშია სპელეოლოგიასთან, მაგრამ სპელესტოლოგებს არ აინტერესებთ ბუნებრივი მღვიმეები. მათი მიზანია შეძვრნენ ქალაქის მიწისქვეშა სტრუქტურაში და შეისწავლონ მისი დანიშნულება და აშენების ტექნიკა.

X-რბოლა – ეს არის ექსტრემალური ტურის სახეობა, რომლის დროსაც მონაწილეები იმდენად უნივერსალურად არიან მომზადებულები ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც, რომ ერთნაირად წარმატებულად შეუძლიათ კლდეზე ცოცვაც, ცხენით ჯირითიც, კაიაკით დაშვებაც, მთებზე ველოსიპედით რბოლაც და ჩანჩქერის ქვეშ თოკით დაშვებაც. ასეთი ადამიანები ჯგუფებად ერთიანდებიან და მონაწილეობენ შეჯიბრებაში 300-400 კმ მანძილის გავლაზე რაც შეიძლება მცირე დროში. X-რბოლას თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ **მულტისპორტი ან ექსტრემალური რბოლა.** დასავლეთ ევროპაში წელიწადში 200-მდე ასეთი X-რბოლა იმართება, თუმცა მათ შორის ყველაზე მსხვილმასშტაბიანი X-რბოლა იმართება – ხოლმე დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში.

ექსტრემალური ტურიზმის სამთო სახეობები

ალპინიზმი – დასვენების ყველაზე ექსტრემალურ სახეობად ითვლება. როგორც წესი, მთაში ასასვლელად ალპინისტები ზაფხულს ირჩევენ, როცა ამინდი საშუალებას იძლევა მინიმალური დანაკარგებით მწვერვალამდე ააღწიონ. თუმცა ექსტრემალებს არც ზამთრის სირთულეები აშინებთ და თუნდაც ზვავის ჩამოსვლის საფრთხის ქვეშ მიიწევენ მწვერვალებისკენ. მწვერვალზე ერთხელ ასვლით არასოდეს ჩერდება ალპინისტი. მთიდან დაშვების შემდეგ მას ისევ მთებისკენ მიუწევს გული და კვლავაც ადის იმავე ან სხვა მწვერვალზე, რათა კიდევ ერთხელ გამოსცადოს თავი, გარისკოს, გადალახოს ყველა დაბრკოლება და დაამარცხოს მთა! ალპინისტთა აღჭურვილობა საკმაოდ ძვირი ჯდება. სრული კომპლექტის ღირებულება 1500-2000 $-ია. თავად ტურის ღირებულება – შედარებით იაფია და 10 დღიანი ტური მხოლოდ 200 $ ღირს.

მწვერვალების დაპყრობა ყველა ჩვენთაგანის სურვილია, მწვერვალზე ასვლის შემდეგ, ალპური ზონები და ულამაზესი ხეობები იშლება ჩვენს თვალწინ და თავისუფლების მშვენიერი განცდა გვეუფლება.

ისტორიულ-ლიტერატურული და ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, რომ კავკასიელი ხალხები, მათ შორის ქართველები, ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე იცნობდნენ ალპინისტური ტექნიკის საფუძვლებს და ფართოდ იყენებდნენ მთაში სიარულისთვის საჭირო ძირითად საჭურველს. კავკასიონის მწვერვალებზე, მათ შორის საქართველოს პიკებზე (მყინვარწვერი, უშბა, შხარა და სხვ.) პირველამსვლელებად ითვლებიან ინგლისის, გერმანიის, შვეიცარიის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების ალპინისტები. უცხოელ მთასვლელებს გამყოლებად და მეგზურებად, როგორც წესი, ახლდნენ ქართველი ალპინისტები, რომლებმაც კარგად იცოდნენ მთის პირობები და მთაში მოძრაობის ტექნიკა. ისტორიამ შემოგვინახა ზოგიერთი მათგანის სახელი: მიტო არღვლიანი, კოტე ფიცხელაური, ლალა ხუციშვილი. უფრო გვიან ცნობილი გამყოლები

იყვნენ კახა წიკლაური, იაგორ კაზალიკაშვილი, გიო ლობჟანიძე, გიგლა იჭრიაული, პავლე (ბახვა) ფიფია და სხვები.

ქართული სპორტული ალპინიზმის ისტორია ოფიციალურად 1923 წლიდან იწყება, როცა პროფესორების გიორგი ნიკოლაძისა და ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით აგვისტო-სექტემბერში ზედიზედ ორი ექსპედიცია მოეწყო მყინვარწვერზე. ორი წლის შემდეგ ასევე გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით განხორციელდა პირველი საბჭოური ასვლა კავკასიონის უმაღლეს მწვერვალზე იალბუზზე. ამ ასვლებით საფუძველი ჩაეყარა ქართული სპორტული ალპინიზმის განვითარებას, რომელიც უფრო და უფრო დიდ სიმაღლეებს აღწევდა.

სამთო-სათხილამურო ტურიზმი – აქტიური დასვენების ერთ-ერთი ყველაზე ძველი სახეობაა, რომლის მიმდევართა რაოდენობა ყოველწლიურად მნიშვნელოვნად მატულობს. ყველა სამთო-სათხილამურო კურორტზე არის სწრაფდაშვების როგორც მარტივი, ისე რთული ტრასები. მათი ეკიპირების კომპლექტში შედის თხილამურები, სამაგრები, სათხილამურო ჯოხები, მაღალყელიანი თბილი ფეხსაცმელი, კოსტუმი, შლემი, ნიღაბი და ხელთათმანები. ყოველივე ამას დაახლოებით 700-900 $ სჭირდება. ამას გარდა, ალპინისტს თან მიაქვს: კარავი, საძილე ტომარა, პარალონი, ფანრები, ნაჯახი, თოკები, დანა, თეფში, კოვზი, ჩანგალი, ჭიქა, ასანთი, აფთიაქი, წყლის ასავსები ჭურჭელი, კომპასი, რუქა, საწვიმარი, ჩაიდანი, ქვაბი (პატარა ზომის), პრიმუსი (ალპური ზონისთვის), მობილური ან გადამცემი, ზურგჩანთა, სასურველია – GPS (რუკა ნავიგატორისთვის).

სნოუბორდი – მთის ფერდზე სწრაფდაშვებას ნიშნავს სპეციალური დაფების საშუალებით. ეს გაცილებით უფრო აქტიური და ექსტრემალური სახეობაა სამთო თხილამურებთან შედარებით. პირველი სნოუბორდისტები გაჩნდნენ აშშ-ში 1960-იან წლებში, თუმცა მასიურ აღიარებას მან მხოლოდ 1990-იან წლებში მიაღწია.

ჰელისკი – თხილამურებით ან სნოუბორდით სრიალია გაუკვალავ, ფაფუკი თოვლით დაფარულ მთიან ფერდობებზე, სასრიალო ბილიკებიდან მოშორებით. თავისუფალი სტილით სრიალის სხვა სახეებისგან განსხვავებით (classic freeride, backcountry, snowcat skiing), ჰელისკის დროს მოთხილამურეები და სნოუბორდერები დაშვების ადგილამდე ვერტმფრენს აჰყავს. სწორედ ვერტმფრენის საშუალებით აღმოჩნდებით მწვერვალებზე, რომლებიც აქამდე მიუწვდომლად გეჩვენებოდათ. გარემომცველი სამყაროს უმაღლესი მწვერვალებიდან შეცნობა და ფაფუკ თოვლში სრიალით მიღებული განუმეორებელი სიამოვნება ის მთავარი მიზეზებია, რის გამოც ჰელისკი ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება პროფესიონალებსა და მოყვარულებში.

ექსტრემალური ტურიზმის საჰაერო სახეობები

საპარაშუტო სპორტი – არც თუ მარტივი სახეობაა და სპეციალურ მომზადებას მოითხოვს.

კლასიკური პარაშუტიზმი ორ დავალებას მოიცავს:

1. გადმოხტომა დაშვების სიზუსტეზე. პარაშუტისტი უნდა დახტეს მიზანზე, რომლის დიამეტრი სულ 3 სმ–ია.
2. თავისუფალი ვარდნის დროს რიგი ილეთების შესრულება რაც შეიძლება მცირე დროში.

პარაშუტიზმი სპორტის საკმაოდ კონსერვატიული სახეობაა, – უკვე მრავალი წელია ილეთები არ განიცდიან ცვლილებებს.

ჯგუფური აკრობატიკა (RW, – Relative Work და FS, – Formation Skydiving) – ფიგურების აგება თავისუფალი ვარდნის დროს. მისი მიზანია, რამდენი პარაშუტისტისგან შემდგარმა

ჯგუფმა თავისუფალი ვარდნის პროცესში შეადგინოს მაქსიმალურად ბევრი და რთული ფიგურა. ჯგუფში პარაშუტისტთა რაოდენობა არის 4, 8 ან 16. თუმცა არსებობს გაცილებით მრავალრიცხოვანი ჯგუფებიც. 4-კაციანმა ჯგუფმა ერთი გადმოხტომის დროს შეუძლია ააგოს 30-მდე ფიგურა.

არსებობს ჯგუფური აკრობატიკის ორი სახე:

1. **ჩქაროსნული დისციპლინები,** როცა სპორტსმენებს ევალებთ მაქსიმალურად სწრაფად შეადგინონ ფიგურა;
2. **ფიგურიდან ფიგურაზე გადაწყობის სისწრაფე** (ჩვეულებრივ, 35 წმ 4-კაციანი ჯგუფისთვის და 50 წმ – 8 კაციანი ჯგუფისთვის).

გუმბათოვანი აკრობატიკა – მდგომარეობს სხვადასხვა ფორმის ფიგურების შექმნაში გახსნილი პარაშუტებით. ამით ის მკვეთრად განსხვავდება პარაშუტიზმის სხვა სახეობებისგან, რომლებშიც ფიგურების შექმნა ხდება პარაშუტების გახსნამდე.

პარაშუტები რომ ცაში ფრენის დროს არ გადაეხლართოს ერთმანეთს, საჭიროა სპეციალური მოწყობილობები. ფიგურის აგების შემდეგ პარაშუტისტები უნდა მოსცილდნენ ერთმანეთს და დასაშვებად მოემზადონ. თუ პარაშუტები გადაიხლართა, ეს ძალზე დიდ რისკთან არის დაკავშირებული. ამდენად გუმბათოვანი აკრობატიკა ერთ-ერთ ყველაზე სარისკო და სახიფათო სახეობას წარმოადგენს.

ფრისტაილი – პარაშუტიზმის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა სახეობაა, რომელიც 2000-იან წლებში წარმოიქმნა. სპორტსმენმა თავისუფალი ვარდნის დროს უნდა შეასრულოს რამდენიმე რთული ფიგურა. აქ ფასდება ამ ფიგურათა სილამაზე და სირთულე, რომელიც დამოკიდებულია არა მხოლოდ სპორტსმენის გამოცდილებაზე, არამედ საჰაერო ოპერატორის ოსტატობაზეც, რომელმაც ფირზე უნდა აღბეჭდოს სპორტსმენის ფრენის მომენტი.

პარაპლანი – არის ძალების აღმდგენი და გასართობი სპორტი. ეს არის ისეთივე თავისუფლება, როგორიც აქვთ პილოტებს, მაგრამ პარაპლანით ფრენის სწავლა უფრო მეტად მოსახერხებელი და ადვილია. პარაპლანით ფრენა არ იზღუდება მთა-გორიან ადგილებზე.

პარაპლანით ტანდემური ფრენა ეს არის ფრენა ორი ადამიანისთვის: მგზავრისა და პილოტისთვის. პილოტს ფრენის დროს შეუძლია ადვილად ელაპარაკოს მგზავრს და აუხსნას, როგორ მართოს პარაპლანი. თუ მგზავრი გამოთქვამს სურვილს, პილოტს შეუძლია ნება დართოს მას, თვითონ მართოს პარაპლანი. ტანდემური ფრენები სასარგებლოა დამწყები და საშუალოდ მცოდნე მფრინავებისთვის, წესებისა და მანევრირების შესასწავლად.

სკაისერფინგი – ეს არის თვითმფრინავიდან პარაშუტითა და სერფინგის დაფით ხტომა, რომლის მიზანია თავისუფალ ვარდნაში საკმაოდ რთული ილეთების შესრულება. ილეთების შესრულების ტექნიკას ფირზე იღებს საჰაერო ოპერატორი, რათა შემდეგ ჟიურიმ შესძლოს ელემენტთა სირთულისა და შესრულების სიზუსტის შემოწმება. ამდენად, გუნდი შედგება ორი ადამიანისგან: სპორტსმენი–პარაშუტისტისაგან და საჰაერო ოპერატორისაგან. მოწმდება მხოლოდ და მხოლოდ ნახტომის ჩანაწერის პირველი 50 წამი.

ბეის-ჯამფინგის (BASE jumping) განსახორციელებლად არ არის აუცილებელი თვითმფრინავი ან სხვა საფრენი აპარატი. ბეისერი ადის მაღალი შენობის სახურავზე, ან ტელეანძაზე, ან კლდეზე და იქიდან ხტება დაბლა. მიეკუთვნება სპორტის საკმაოდ სარისკო სახეობას. მრავალ ქვეყანაში მას უბრალო ხულიგნობად თვლიან და ბეისერს სჯიან კანონის მთელი სიმკაცრით.

საჰაერო ბურთებით ფრენა – სპორტის ერთ-ერთი უალამაზესი სახეობაა. დამოკიდებულია ქარის სიჩქარეზე. ყველაზე მისაღებად ითვლება, როცა ქარის სიჩქარე 20-30 კმ/სთ-ია. დაშვების ადგილი სრულად არის დამოკიდებული მეტეოპირობებზე.

დელტაპლანერიზმი – სპორტის სწრაფგანვითარებად სახეობას მიეკუთვნება. დღეის-

თვის მსოფლიოში 90.000-ზე მეტი დელტაპლანერისტია. ეს სახეობა სპორტმენისგან მოითხოვს კარგ ფიზიკურ მომზადებას. თანამედროვე დელტაპლანები საკმაოდ დიდი სიმტკიცითა და საიმედოობით ხასიათდებიან. ფრენის შეზღუდვის მიზეზი შეიძლება გახდეს მხოლოდ და მხოლოდ ცუდი მეტეოპირობები.

ექსტრემალური ტურიზმის ეგზოტიკური სახეობები

კოსმოსური ტურიზმი – ანუ მოგზაურობა დედამიწის ორბიტაზე, – ყველაზე ეგზოტიკური და ყველაზე ძვირი სახეობაა. ჯერჯერობით **კოსმოტურისტთა** რაოდენობის დათვლას მთელ მსოფლიოში ადამიანის ცალი ხელის თითებიც ეყოფა, – ასეთი მოგზაურობა 20 მლნ დოლარი ღირს!

კაიტსერფინგის არსი შემდეგში მდგომარეობს: სპორტსმენი დგას სერფინგის დაფაზე და მისრიალებს წყლის ან ნებისმიერ სწორ ზედაპირზე საჰაერო ფრანის მეშვეობით, რომლის თოკიც თავად მას უპყრია ხელთ. თუ ზაფხულში კაიტსერფინგს მისდევენ ტბების ან წყალსატევების პირას დამსვენებლები, ზამთრში არაფერი სჯობს დათოვლილ ველზე გასრიალებას. ზოგიერთი პროფესიონალი სპორტსმენი ახერხებს რომ ახტეს 30 მ სიმაღლეზე, ხოლო მათი ნახტომის სიგრძე 100 მ-მდეა. სრიალისთვის აუცილებელ პირობას ქარის არსებობა წარმოადგენს. კაიტი საშუალებას იძლევა, რომ სერფინგისტმა განავითაროს ქარის სიჩქარეზე ორჯერ მეტი სიჩქარე.

ტურიზმი ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსებზე – ერთ-ერთი ეგზოტიკური სახეობაა. სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანს უნდა გაეცნოს ბუნების ექსტრემალურ პირობებს, ნახოს ეგზოტიკური ცხოველები თუ ფრინველები (მაგალითად – პინგვინები) არა ზოოპარკებში, არამედ მათსავე ბუნებრივ საცხოვრებელ გარემოში.

ჯაილოო ტურიზმი – არანაკლებ ეგზოტიკური სახეობაა, რომელიც გულისხმობს პირველყოფილ ტომებთან ცხოვრებას და მათი ყოფის გაზიარებას. მაგალითად, ჯუნგლებში მოგზაურობის დროს ტურისტი მოკლებულია ყოველგვარ კომფორტს, თითქმის სრულად არის მომწყდარი მსოფლიო ცივილიზაციას. თუ ტურისტულ ჯგუფს აქვს კიდეც ცივილიზაციასთან თანამგზავრიდან დაკავშირების საშუალება, მაშველის მოსვლამდე შეიძლება არა ერთი და ორი საათი თუ დღე გავიდეს. ამიტომ აქ ყოველი საგანგებო სიტუაცია შესაძლებელია საბედისწერო გახდეს.

ცხადია, რომ ყოველივე ზემოჩამოთვლილის შეჯამებისას, ექსტრემალურ ტურიზმს წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო მეტი მიმდევარი ჰყავს მთელ მსოფლიოში, მიუხედავად ასეთი ტურების საკმაო სიძვირისა.

ექსტრემალური ტურიზმი დიდი პოპულარობით სარგებლობს აღმოსავლეთ აზიაში, ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკაში. აქ ექსტრემალურ ტურიზმს მიაწერენ ყველაზე მეტ პოპულარობას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ქვეყნებში მოსახლეობის შემოსავალი გაცილებით მაღალია, ამიტომ ექსტრემალური სპორტით თუ ტურიზმით დაკავება შეუძლია ნებისმიერ მსურველს.

ექსტრემალურ ტურიზმში არსებული რისკ-ფაქტორები

ექსტრემალური ტურიზმის უსაფრთხოებაზე კონტროლი უნდა ხორციელდებოდეს მუდმივად, სეზონის გახსნამდეც და შემდეგ ყოველ ტურში გამგზავრების წინაც. ტურებში ყველაზე ხშირად წარმოიშვება:

- **ტრავმის საშიშროება** – სხვადასხვა მექანიზმისა და საგნების (ქვების, ზვავების, მეწყე-

რის) გადაადგილების, აღჭურვილობის ცუდი ერგონომიკური მახასიათებლების, სახიფათო ატ-მოსფერული მოვლენების შედეგია.

- **ხანძრის საშიშროება**;
- **ულტრაიისფერი და რადიაციული დასხივების საშიშროება;**
- **ქიმიური ზემოქმედება –** ტოქსიკური, გამაღიზიანებელი, მასენსიბილიზებელი (ანუ მგრძნობელობის მომატების ხარჯზე ალერგიის გამოწვევა);
- **ფსიქოლოგიური დატვირთვები**;
- **გარემო პირობების ზემოქმედება**;
- **ბიოლოგიური ზემოქმედება** – საფრთხე, წარმოქმნილი ცხოველებისა და ისეთი შხამიანი მწერების ნაკბენების გამო, რომელთაც ადამიანის ორგანიზმში გადააქვთ ინფექციები და შხამიანი მიკროორგანიზმები.
- **რისკის სპეციფიკური ფაქტორები –** მარშრუტზე ბუნებრივი ან ტექნოგენური კატას-ტროფების წარმოქმნის საშიშროება, ობიექტების ცუდი ტექნიკური მდგომარეობა, მომსახურე პერსონალისა და ინსტრუქტორების დაბალი მომზადების დონე, მარშრუტზე ინფორმაციული სიმწირე.

ლიტერატურა:

1. Бабкин А.И. Специальные виды туризма. Учебное пособие. Ростов-на-Дону, 2008.
2. ინტერნეტ მასალები, 2015-2016.

TAMAR BUKIA-VERULASHVILI

THE ESSENCE OF EXTREME TOURISM

Summary

The paper deals with extreme tourism that is a niche in the tourism industry involving travel to dangerous places (mountains, jungles, deserts, caves, canyons, etc.) or participation in dangerous events.

Extreme tourism overlaps with extreme sport. The two share the main attraction, "adrenaline rush" caused by an element of risk, and differing mostly in the degree of engagement and professionalism.

ზურაბ ჭავჭანიძე

საგანმანათლებლო დაწესებულებებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის საკითხისათვის

დღეისათვის, როდესაც ცხოვრების ჯანსაღი წესი ფართოდ არის დანერგილი მთელ ცივილიზებულ სამყაროში და ფიზიკური ვარჯიში ყოველდღიური ცხოვრების წესად გადაიქცა, ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა გააჩნდეს თუნდაც მარტივი ტიპის ძალისმიერი ტრენაჟორებით აღჭურვილი დარბაზი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მრავალსართულიანი სახლების უმეტეს ნაწილში მოწყობილია სპორტული დარბაზები, სადაც სავარჯიშო პროგრამებს თითოეულ ტრენაჟორზე დამონტაჟებული კომპიუტერები კარნახობენ მოვარჯიშეებს, მათი პულსის, წნევის და სხვა პარამეტრების გათვალისწინებით. მსგავსი სიტუაციაა ევროკავშირის ქვეყნებშიც.

ექვთიმე თაყაიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი ქვემო ქართლის რეგიონში მოწინავე საგანმანათლებლო დაწესებულებაა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვაშიც გააჩნია სტრატეგიული შორსმიმავალი გეგმები. ჯერ-ჯერობით სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია რამდენიმე ტრენაჟორი, მათ შორის სარბენი ბილიკი, სათხილამურო ტრენაჟორი და მულტიფუნქციური ძალისმიერი ტიპის ტრენაჟორი, ჰანტელები, შტანგა, ტენისის სპორტული ინვენტარი და სხვ.

მალე მთლიანად მოეწყობა ჩვენი სპორტული ინფრასტრუქტურა, სადაც სპორტული თამაშებით დაწყებული ძალისმიერი სახეობებით დამთავრებული, ფიზიკური აღზრდის ფართო სპექტრი იქნება წარმოდგენილი.

გთავაზობთ ელემენტარული ვარჯიშების კომპლექსს, სადაც განხილული იქნება მოძრაობები კუნთების ამა თუ იმ ჯგუფის განსავითარებლად. ეს ვარჯიშები განსაკუთრებით გამოადგებათ განათლების მიმართულების სტუდენტებს, რადგან მათ მოუწევთ მუშაობა მოსწავლეებთან, რომლებიც ადრეული ასაკიდან უნდა ეზიარონ ცხოვრების ჯანსაღ წესს.

1. მკერდის კუნთების განსავითარებელი ვარჯიშები:

ა) წოლჭიმი განიერი ჭიდით

6 მისვლა 5-5 გამეორებით;

ბ) წოლჭიმი ვიწრო ჭიდით

4 მისვლა 6-6 გამეორებით;

გ) ტრენაჟორის სახელურების მოზიდვა

4 მისვლა 10-10 გამეორებით,





2. ფეხის კუნთების განსავითარებელი ვარჯიშები:
ა) ტრენაჟორის დაფაზე მიწოლით ფეხების გამართვა (ფეხები ერთად),
4 მისვლა 8-8 გამეორებით;
ბ) ტრენაჟორის დაფაზე მიწოლით ფეხების გამართვა (ფეხები მხრების სიგანეზე),
4 მისვლა 8-8 გამეორებით.



3. ბიცეპსის (მხრის ორთავა კუნთის) განსავითარებელი ვარჯიშები:
ა) ტრენაჟორების ღერძის ამოწევა იდაყვების დახრილ დაფაზე დაყრდნობით,
6 მისვლა 10-10 გამეორებით;
ბ) შტანგის ღერძის ამოწევა იდაყვების დახრილ დაფაზე დაყრდნობით,
6 მისვლა 10-10 გამეორებით.



4. მუცლის კუნთების განსავითარებელი ვარჯიშები:
ა) მუცლის პრესის ვარჯიში პირამიდაზე,

4 მისვლა 20-20 გამეორებით;

ბ) მუცლის პრესის ვარჯიში შვედურ კედელზე (გამართული ფეხები აიტანეთ რაც შეიძლება ზემოთ),

4 მისვლა 20-20 გამეორებით.



5. წელის კუნთების განსავითარებელი ვარჯიში სპეციალურ ტრენაჟორზე (ხელები თავს უკან, აიწიეთ რაც შეიძლება მაღლა),

4 მისვლა 12-12 გამეორებით.

ვარჯიშებს ასრულებენ ექვთიმე თაყაიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის განათლების მიმართულების სტუდენტები: ნატო ნარიმანიძე და თინათინ გოგობერიშვილი. მასწავლებელი ზურაბ ჭავჭანიძე.

ლიტერატურა:

1. ზ. ჭავჭანიძე, ზ. ჯაფარიძე, ნ. დავითური, ძალისმიერი ტიპის ტრენაჟორების გამოყენების საკითხისათვის, არისტოტელეს სახელობის ბერძნულ-ქართული უნივერსიტეტის შრომები, ტ. III, ნაწ. 2, თბილისი, 1995.
2. ზ. ჭავჭანიძე, ზ. ჯაფარიძე, ნ. დავითური, ძალისმიერი ვარჯიშების კომპლექსი, არისტოტელეს სახელობის ბერძნულ-ქართული უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, ნაწ. 2, თბილისი, 1993.
3. ზ. ჭავჭანიძე, ფიზიკურ აღზრდაში სპორტული ტრენაჟორების გამოყენების საკითხისათვის, სასწავლო უნივერსიტეტი რვალის სამეცნიერო შრომების კრებული „მერმისი“, ტ. IV, რუსთავი, 2010.

ZURAB CHAVCHANIDZE

INTRODUCTION OF THE HEALTHY LIFE STYLE AT EDUCATIONAL INSTITUTIONS

Summary

The paper deals with the healthy life style, especially its main component – physical training. The paper presents training exercises on the pieces of gym apparatus. The training exercises are recommended for beginners as well as qualified sportsmen.

ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხისმგებელია ავტორი.

კომპიუტერული უზრუნველყოფა
Computer Provider

ნანა ყანდაშვილი
Nana Kandashvili

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
Ekvtime Takaishvili Teaching University

მისამართი: საქართველო, რუსთავი, 3700, ბოსტანქალაქის ქ. №3.
A d d r e s s: 3, Bostankalaki str., 3700, Rustavi, Georgia.

www.rvali.edu.ge
rvaliuni@gmail.com

ტელ.: +995 0 341 24 18 98;
ფაქსი: +995 0 341 24 18 98

გამომცემლობა **„უნივერსალი"**

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com